ᲩᲔᲠᲘᲡ REGION

ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

ᲤᲐᲡᲘ 1.50 ᲚᲐᲠᲘ

№4 2015 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲘ ᲜᲐᲜᲐ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲐᲕᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲗᲘᲫᲛᲔᲚᲡ

ქართული

ჩაი

გიორგი მაისურაძე
შპს „მილმართი“
მობ: 599 95 25 95
ელ.ფოსტა: info@milmartea.ge

„მთათა მეფედ" წოდებული დიდი ჯავჯასიონი 2
ოთარ სეფიაშვილს, ქვინსი, რეგო პარჯი, ნიუ-ორჯი 5
სიტყვის ძალა 7
ბორიტების ბანალურობა 9
ევროპული გზა 1
EBRD-ის ფორუმი 13
გენდერული ძალადობა 15
სიმღერა მშვიდობას ჯეთილდღეობას მოითხოვს 16
სუვენირები საქართველოდან 19
ანტიგონე ოხურგეთის სცენაზე 20
გურანდა გაბუნიას შემოქმედება 21
ჭავშნოსანი ეკიპაჟი 23
ლამარა დოლიძის შემოქმედება 25
ლეგენდა ნატანებზე 26
სიცოცხლის ხანგრძლივობა ბუნებიდან მოდის 28
ჩაის კომპანია „მილმართი" 30
თავისუფლება 32
მკვლელობის ვერსია 33
მკვლელობის ვერსია 34
როგორ შევიღებოთ თმა 35
ნიშნის შინაარსი, ანუ ბრენდის გურული ხუმრობები 36

მთავარი რედაქტორი — **ლელა სურმავა**

მისამართი: თბილისი, ვ.გაბაშვილის 5 №38
ტელ: 558 25 65 50; 555 55 98 44; 790 46 48 01
ელფოსტა: **Guriaregion14@mail.ru**

ძვირფასო მკითხველებო!
მოგვაწოდეთ თქვენი პუბლიკაციები, მოთხრობები, ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ თქვენი პრობლემები და მოგვიყევით საინტერესო ამბები. გაითვალისწინეთ, მოწოდებული მასალის ჟურნალში განთავსება ფასიანია.

ჟურნალი თავისუფალი პრესის პრინციპით ხელმძღვანელობს.
რედაქციაში შემოსული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი,
ხოლო სარეკლამო ტექსტზე პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

„ჭოჭოა ბეფელ“ ნოლებული ლილი კავკასიონი

ხალხი, რომელიც თავისი უფლების შელახვას დუმილით პასუხობს, ამ გულგრილობით თავს დასაღუპად წირავს. ერი, რომელიც ნებას აძლევს მეზობელს, დაუსჯელად მიიტაცოს თუნდაც ერთი გოჯი კუთვნილი საძოვრელოსი, მის დანარჩენ ნაწილსაც დაკარგავს, ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, საკუთარი მას აღარაფერი დარჩება და, როგორც სახელმწიფო, შენყვეტს არსებობას: თუმცღა სხვაგვარ ხვედრს ასეთი ერი არც იმსახურებს.

რუდოლფ ფონ იერინგი

რა არის სახელმწიფო საზღვარი?

ეს არის სახელმწიფო ტერიტორიის ფარგლების განმსაზღვრელი ხაზი, რომლის უკან დგას ეროვნული, სუვერენული სახელმწიფო და ერი, რომელმაც შექმნა ეს სახელმწიფოებრიობა; დგას ისტორია. თანამედროვე მსოფლიოში დამოუკიდებელი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი (თუ უმთავრესი არა) ფაქტორია მისი ტერიტორია, სახელმწიფო საზღვრები და მისი ხელშეუხებლობა. ჩვენი სამშობლოს დღევანდელი საზღვრები მოიცავს ყოფილ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში „ნებაყოფლობით“ გაერთიანებული საქართველოს ტერიტორიას. თუ რამდენად „სამართლიანი“ და „ისტორიული“ იყო ჩვენი ქვეყნისთვის სსრ კავშირში „მიჩენილი“ სივრცე, ეს ცალკე საკითხია, ერთი რამ უდავო ფაქტია – სსრკ-ს დაშლის შემდეგ საქართველო მსოფლიო თანამეგობრობის წევრი ქვეყანა სწორედ ამ „საბჭოური“ ტერიტორიითა და საზღვრებით გახდა.

ისტორიის ხანგრძლივი მსვლელობის პერიოდში, ასწლეულების განმავლობაში, მსოფლიოს პოლიტიკური რუკა მუდმივად იცვლებოდა. დედამიწის ზურგზე არ დარჩენილა არც ერთი სახელმწიფო, რომლის საზღვარი ამა თუ იმ მოვლენის (ძირითადად ომის) გამო არ შეცვლილა. ცხადია, ცვლილებები საქართველოსაც შეეხო. წარსულში ქართული სახელმწიფოს ტერიტორია ბევრად უფრო დიდი იყო (კიდევ უფრო ვრცელი – ქართულ ტომთა განსახლების არეალი). საქართველოც, როგორც სხვა სახელმწიფოები, თავისი ძლიერების ხანაში დროდადრო იერთებდა და კარგავდა ტერიტორიებს. ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო ძველ დროში. დღევანდელ საქართველოს არ უპყრია სხვისი ტერიტორიის ერთი მტკაველიც კი. პირიქით, მას დაკარგული აქვს ისტორიული მიწაწყლის საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელიც მოქცეულია მეზობელი სახელმწიფოების (თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი) ფარგლებში.

დღევანდელ დღეს, ჩვენი სახელმწიფოს გარეთ არსებულ საქართველოს ისტორიულ მიწაწყალზე იურისდიქციას ავრცელებს მხოლოდ საქართველოს სამოციქულო, მართლმადიდებელი ეკლესია, რომლის შემადგენლობაში შემავალი ეპარქიები მოიცავენ საინგილოს, ლორე-ტაშირს, კოლა-არტაანს, ერუშეთს, ტაოს, კლარჯეთს, შავშეთს და ლაზეთს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა თითქოს არ უნდა დარღვეულიყო, მაგრამ ცალკე სეპარატისტულმა მოძრაობამ ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში, ცალკე რუსეთის აგრესიულმა პოლიტიკამ ჩვენი ქვეყნის მიმართ მძიმე შედეგებამდე მიგვიყვანა – ქართული ისტორიული მიწაწყლის ნაწილი მიტაცებული და ფაქტობრივად ოკუპირებულია. დღეს კვლავ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე გვიხდება საუბარი...

წარსულის ნებისმიერი მოვლენის გადმოცემისას აუცილებლად ვამბობთ, რომ ის მოხდა „ოდესღაც“ და „სადღაც“, მაგრამ ეს „სადღაც“ სულაც არ არის აბსტრაქტული გეოგრაფიული სივრცე. იგი ყოველთვის გარკვეულ საზღვრებში მოქცეული კონკრეტული ტერიტორიაა.

ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე, ქართველი ერის ბედი, მეტწილად, ჩვენი სამშობლოს საბედისწერო გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ განაპირობა. ქართველებმა ბევრჯერ თავისზე გაცილებით ძლიერი და მრავალრიცხოვანი გარეშე მტრის მოგერიება და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება შეძლო. ეროვნული ტერიტორია იქ მოსახლე ეთნოსის შემოქმედებაა, მისი კოლექტიური მეხსიერების ხატია და მისი შელახვა, თუნდაც ნაწილობრივი, თაობების ეთნოფსიქოლოგიაში ხელშესახებ ცვლილებებს იწვევს.

რა არის კოლექტიური მეხსიერება?

ადამიანი არასოდეს არ არის „მარტო“. ის მუდამ რომელიმე სოციალური კოლექტივის, ჯგუფის წევრია. ნებისმიერი სოციალური ერთობა (მათ შორის: ოჯახი, გვარი, ტომი, ხალხი, ერი, რელიგიური ერთობა და სხვა) კი თავისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად საჭიროებს ამ თვითმყოფადობის გამომხატველ სიმბოლოებს, მოგონებებს, რასაც კულტურული მეხსიერების ხატებს უწოდებენ. სწორედ, ამგვარი ხატების ერთობლიობა ქმნის კოლექტიურ მეხსიერებას.

ეთნოსისთვის ამგვარი კოლექტიური მეხსიერების ხატი შეიძლება იყოს მითი საერთო წინაპარზე, წარმოდგენა მშობლიურ მიწაზე, სარწმუნოება, ერთი განმანათლებელი, მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი, თუ პიროვნება, წმინდანები და სხვა.

ეთნოსის კოლექტიურ მეხსიერებაში მშობლიური მიწის აღქმას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამის თვალსაჩინო მაგალითად ისიც გამოდგება, რომ სწორედ გარკვეული გეოგრაფიული ადგილი გახდა ერთი კონკრეტული ჯგუფის – ებრაელი ერის – გამაერთიანებელი სიმბოლო. ამიტომაც იყო, რომ ჯერ კიდევ პირველყოფილმა ადამიანმა ზედმიწევნით ზუსტად იცოდა ამ საცხოვრისი ტერიტორიის საზღვრები, სადაც თავად ის, მისი ოჯახი, მისი ტომი სახლობდა.

როდესაც ეთნოსზე ვსაუბრობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არის ადამიანთა კრებული, რომელიც საკუთარ თავს უპირისპირებს ყველა სხვა ასეთივე გაერთიანებას. ჯგუფში შემავალი ადამიანების მსოფლხედვა მეტ-ნაკლებად უნიფიცირებულია, რადგან მასზე ზემოქმედებას ახდენს ხანგრძლივი თანაცხოვრების მანძილზე ენის, საერთო ისტორიის (ტრადიციები, მოგონებები, რიტუალები), კულ-

ტურის (რწმენა-წარმოდგენები, ღირებულებები, სიმბოლოები, ძეგლები) ჩამოყალიბება, რაც მათ ერთმანეთთან აახლოებს და ქმნის ერთიანობის, მთლიანობის, განუმეორებლობის განცდას.

ნებისმიერი ჯგუფის თვითმყოფადობის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმა მეზობელი ჯგუფებისაგან გამიჯვნაა. ეთნიკური ჯგუფების წევრები თვითიდენტიფიკაციას სხვებთან დაპირისპირებით ახერხებენ. ყალიბდება „ჩვენ“ ცნობიერება, რომლის საპირწონე ხდება „ისინი“. ხშირად ამ პროცესის დაჩქარებაში, ჯგუფის თვითმყოფადობის განმტკიცებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს „მტრის ხატი“. ის უფრო ძლიერ აკავშირებს და ეხმარება მას, მკვეთრი ზღვარი გაავლოს საკუთარსა და სხვა ჯგუფებს შორის.

ცნება „ჩვენ“, ანუ „თვისი“, თავდაპირველად ადამიანთა შედარებით მცირე ერთობის (გვარი, თემი) სისხლით ნათესაობის გაცნობიერების შედეგად გაჩნდა. ამ ჯგუფის წარმომადგენელი ინდივიდი თავს „დაბადებით თავისუფლად“, „დაცულად“ მიიჩნევდა და უპირისპირდებოდა „სხვას“, „უცხოს“, „მტერს“, „მონას“. ისტორიული პროცესების განვითარების კვალდაკვალ ცნება „თვისი“ გაფართოვდა. მან ახალი დატვირთვა შეიძინა: „თავისი ტომი“, „თავისი ხალხი“, „თავისი ერი“. „თვისი“ და „უცხო“ ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ეთნიკური ცნობიერების განვითარების გარკვეულ ეტაპს ასახავს.

ზაზა აბაშიძე

უხსოვარი დროიდან ეთნოსები, ხალხები კარგად ამჩნევდნენ ერთმანეთისაგან განმასხვავებელ ნიშნებს. მაგალითად, ძველ ეგვიპტეში სემიტებს თეთრი, ზანგებს შავი, ეგვიპტელებს ყვითელი, ხოლო ლივიელებს მოწითალო-მოყავისფრო ფერებით გამოხატავდნენ. მოგვიანებით ძველმა ბერძნებმა ადამიანთა კიდევ მეტი ისეთი ჯგუფი გამოყვეს, რომლებიც მათ არ ჰგავდა. ამ ჯგუფებს მათ „ეთნოსები“ უწოდეს. საინტერესოა, ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა იყო „ჯიში“.

უძველესი კულტურის ხალხების წარმოდგენაში „სამყარო“, „ქვეყანა“ იყო ის ადგილი, სადაც ცხოვრობდა „ჩემი გვარი“, „ჩემი ტომი“ ანუ „ჩვენ“. ეს იყო კეთილმოწყობილი, მოწესრიგებული კარგად ნაცნობი კონკრეტული ტერიტორია, სადაც ადამიანთა შორის თანხმობა სუფევდა. აღნიშნული გეოგრაფიული არეალი მკაცრად იყო გამიჯნული იმ სივრცისაგან, სადაც „სხვები“, „უცხოები“ სახლობდნენ. იქ ბატონობდა უწესრიგობა და უკანონობა, რაც „ჩვენ“ ჯგუფისათვის მოსალოდნელი საშიშროების განცდას ბადებდა. ასე გაჩნდა ძველ ბერძნულ ენაში ურთიერთდაპირისპირებული ცნებები: „კოსმოსი“ და „ქაოსი“. პირველის თავდაპირველი მნიშვნელობა იყო „წესრიგი“, ხოლო მეორისა – „ცარიელი სივრცე“. ჩვენი წინაპრებიც განარჩევდნენ „შინასა“ და „გარეს“. გარეს ბინადარი იყო „გარეული“ და აქედანვე ნაწარმოები „გარეწარი“, რომელიც ქართულ ენაში უარყოფითი შინაარსით დამკვიდრდა და მორალურად გადაგვარებულ ადამიანს აღნიშნავს.

დღეს, ეთნოსებს შორის განსხვავების ურთულეს პრობლემას იკვლევენ ეთნოფსიქოლოგები, ისტორიკოსები, ენათმეცნიერები, ფილოსოფოსები, ეთნოლოგები. მეცნიერების ამ დარგების სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ეთნოსების დაყოფა, დაპირისპირება „თვისი“ – „უცხო“ მხოლოდ იმ საზღვრებშია შესაძლებელი, რომელიც „მშობლიურ მიწას“ სხვისი ტერიტორიიდან“ გამოყოფს.

კაცობრიობის ისტორიის შემოქმედნი არიან კულტურის სუბიექტები – ერები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ამ განსხვავებულობის აღქმა კი ეროვნული ტერიტორიის საზღვრების ზედმიწევნით გაცნობიერების გარეშე წარმოუდგენელია. ეროვნული თვითმყოფადობის განმტკიცებისათვის ერის კოლექტიური მეხსიერების ხატების და, რა თქმა უნდა, მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესის – მშობლიური მიწის – სათუთად მოვლა-შენახვას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „სამშობლო“ არის „დედის სახლი“. მშობლის საცხოვრისი, მშობლიური მიწა, მამული, წინაპართაგან ანდერძად ბოძებული ის განძია, რომლის შენახვა და თვალის ჩინივით გაფრთხილება ყველა თაობის წმინდათაწმინდა ვალია. სამშობლოს დაცვაში მისი მხოლოდ გარეშე მტრის ხელყოფისაგან დაცვა არ იგულისმება. ნებისმიერი ეთნოსის სისხლსავსე, სრულფასოვანი ცხოვრებისათვის აუცილებელია ჰარმონიული კავშირი მშობლიურ გარემოსთან, მის ლანდშაფტთან. მკვლევარები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ თუკი რადიკალურად იცვლება ლანდშაფტი, ძირეულად იცვლება იქ მოსახლე ეთნოსიც. ხოლო ლანდშაფტის იმგვარი ცვლილება, როცა იგი გარკვეულ კრიტიკულ ზღვარს აჭარბებს, ძველი ეთნოსების ადგილზე ახლის გაჩენას იწვევს. ასე რომ ჩვენი მიწაწყლის ეკოლოგიაზე ზრუნვა საშვილიშვილო საქმეა. ერსა და ბერს უნდა ახსოვდეს, რომ სამშობლო ერთადერთია და იგი უფლის დარი თაყვანისცემის ღირსია.

ქვეყანა... გვაქვს უთვალავი ფერითა

ევროპა-აზიის საზღვარზე, შავ და კასპიის ზღვებს შორის, ამოზიდულ ხმელეთს ძველთაგანვე კავკასიის ყელი, ან, უბრალოდ, კავკასია ეწოდა. მის სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას ქმნის მთათა ორი ჯაჭვი: დიდი და მცირე კავკასიონი.

„მთათა მეფედ“ წოდებული დიდი კავკასიონი ტამანის ნახევარკუნძულიდან აფშერონის ნახევარკუნძულამდე დაახლოებით 1300 კილომეტრზეა გადაჭიმული. მისი დასავლეთი და აღმოსავლეთი კიდეების სიგანე 150 კილომეტრს აღემატება; ცენტრალური ნაწილი, იალბუზიდან მყინვარწვერამდე, შედარებით ვიწროა.

დიდი კავკასიონი ერთმანეთისგან ყოფს ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს, მიმართულებას აძლევს მათ მდინარეებს, აპირობებს კლიმატს. მცირე კავკასიონი მოიცავს კავკასიის ყელის სამხრეთ ნაწილს სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთიდან მდ. არაქსის ხეობის შუა მონაკვეთამდე. ეს რეგიონი კავკასიონთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალია.

სამხრეთ კავკასიას ხშირად ამიერკავკასიის სახელითაც მოიხსენიებენ. მისი ტერიტორია, ძირითადად, სამ სახელმწიფოს უჭირავს: საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს. მცირე ნაწილი თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებშია მოქცეული.

ჩრდილოეთ კავკასია თითქმის მთლიანად რუსეთის ფედერაციის საზღვრებშია შესული. იქ სხვადასხვა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულია: ადიღეს, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, ინგუშეთის, ჩეჩნეთისა და დაღესტანის რესპუბლიკები, აგრეთვე, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეები.

კავკასია უხსოვარი ხანიდან კულტურათა და ცივილიზაციათა ურთიერთშეხვედრის არეალს წარმოადგენდა. დღესაც ის ხალხთა, ენათა და ტრადიციათა დაუშრეტელ საუნჯედ რჩებოდა.

საქართველო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს და კავკასიის ყელის დასავლეთ ნაწილს მოიცავს; ჩრდილოეთიდან მას რუსეთი ესაზღვრება, სამხრეთიდან – თურქეთი და სომხეთი, აღმოსავლეთიდან – აზერბაიჯანი.

ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული გარემო უჩვეულო მრავალფეროვნებით ხასიათდება: შავი ზღვის ნაპირებსა და კავკასიონის მარადთოვლიან მწვერვალებს შორის ერთმანეთს ენაცვლება ვაკე, დაბლობი, ზეგანი, მთისწინეთი, მაღალმთიანეთი.

საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა. მისი ტერიტორიის ფართობის 1/3-ზე მეტი კავკასიონის მაღალმთიანეთს უკავია. კავკასიონის მთავარი წყალგამყოფის სიგრძე საქართველოს ფარგლებში 690 კვ-ს აღემატება.

ქვეყნის სამხრეთ ნაწილს ანტიკავკასიონის მთიანეთი სერავს. საქართველოს საზღვრებში მცირე კავკასიონი ქმნის შავშეთის, არსიანის, აჭარა-იმერეთის, თრიალეთისა და ლოქის ქედებს... სამხრეთ საქართველოს საშუალო სიმაღლის მთა-ხეობიანი რელიეფი ახასიათებს. აქ ვხვდებით ერუშეთის მაღლობს, ჯავახეთის ზეგანს, წალკისა და ხრამის პლატოებს.

კავკასიონსა და ანტიკავკასიონს შორის მოქცეულია საქართველოს მთათაშორისი ბარი, რომელიც მოიცავს კოლხეთის დაბლობს, ზემო იმერეთის პლატოს და ივერიის ბარს. საქართველოს ბარი მჭიდროდ დასახლებული და ეკონომიკურად ყველაზე მძლავრი მხარეა. მას ქვეყნის ტერიტორიის დაახლ. 45% უკავია და ზღვის დონიდან 1000 მ. სიმაღლემდეა განფენილი.

რელიეფის ნაირგვარობა დიდად აპირობებს კლიმატის მრავალფეროვნებას. საქართველოში თითქმის ყველა სახის კლიმატური ზონაა – დაწყებული დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ნოტიო და აღმოსავლეთ საქართველოს მშრალი სუბტროპიკებიდან, დამთავრებული კავკასიონის მარადი თოვლისა და მყინვარების სამეუფოთი.

ჩვენი სამშობლო განსაკუთრებით მდიდარია წყლის რესურსებით (მდინარეები, ტბები, მყინვარები, ჭაობები და მიწისქვეშა წყლები). ამ პატარა ქვეყანაში 26 ათასზე მეტ მდინარეს ითვლიან. წყალუხვობით მდინარე რიონი გამოირჩევა. ის სათავეს კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, ფასის მთასთან იღებს და 333 კმ-ზე მიედინება. მისი ძირითადი შენაკადებია ყვირილა, ცხენისწყალი, ტეხური, ხანისწყალი... ცალკე აუზებს ქმნის მდინარეები: ენგური, კოდორი, ბზიფი, სუფსა, კინტრიში, ჭოროხი და სხვა. აღმოსავლეთ საქართველოს ძირითადი სამდინარო არტერია მტკვარია. ის სათავეს თურქეთიდან იღებს. მისი საერთო სიგრძე 1364 კმ-ია; აქედან, საქართველოში – 351 კმ. მტკვრის შენაკადებიდან საქართველოს ტერიტორიაზე აღსანიშნავია: დიდი ლიახვი, ქსანი, არაგვი, ფარავანი, ქცია, ალაზანი, იორი და სხვა. კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე გაედინება თერგი, თუშეთის ალაზანი, არხოტის წყალი, არღუნი. დასავლეთ საქართველოს მდინარეები შავ ზღვაში ჩაედინება, აღმოსავლეთისა – კასპიის ზღვაში. ტბები განსაკუთრებით მრავლად საქართველოს სამხრეთ რაიონებში გვხვდება.

წყლის სიუხვე დიდ როლს ასრულებდა ქართველთა სამეურნეო ცხოვრებაში, კერძოდ, მიწათმოქმედების განვითარებაში. მან თავისი კვალი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ ყოფასაც დაატყო. საქართველოს უძველესი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები („ხევები“) ხეობებსა და ტაფობებში წარმოიქმნა.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

ზაზა აბაშიძე

სოლომონ გერშოვი, მარკ შაგალი, ლევან გოთუა, სოსო ჯინჯიხაშვილი, ლადო გუდიაშვილი, ჯემალ თუშურაშვილი და სხვები...

ოთარ სეფიაშვილს, ქვინსი, რეგო პარკი, ნიუ-ორკი.

ძვირფასო ბატონო ოთარ!

ნიუ-იორკიდან სამწუხარო ამბავი შემატყობინა ქალბატონმა ცისანა ჯანაშვილმა – ბატონი სოსო ჯინჯიხაშვილი გარდაცვლილა.

გთხოვთ, დამდოთ პატივი და სამძიმარი გადასცეთ გარდაცვლილის ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს. თქვენ იმიტომ მოგმართავთ, რომ ბატონი სოსოს პიროვნება და შემოქმედება, ფაქტობრივად, თქვენი შესანიშნავი სტატიებით გავიცანი. მართალია, ჩვენ – სოსო და მე – ხშირად ვსაუბრობდით ტელეფონით, მაგრამ ეს მაინც ზოგად-ეპიზოდური საუბრები იყო; თუმცა, ერთ დღეს ძალიან გამახარა! აღმოჩნდა, რომ ცნობილი მოქანდაკე ჯემალ თუშურაშვილი მისი მეგობარი ყოფილა. ჯემალი ჩემთვის ძალიან ძვირფასია, – მან არმაზში, გამოჩენილი მწერლის ლევან გოთუას საფლავზე ბრინჯაოში შესრულებული შესანიშნავი მემორიალური კომპოზიცია დადგა, რომელიც სრულიად უანგაროდ შეასრულა. სოსოსთან საუბრის შემდეგ, უმალ თბილისში, შინ დავრეკე და მეუღლეს ვთხოვე შესანიშნავი მხატვრის ნაამბობი ჯემალისათვის ეცნობებინა. ასე იპოვეს თითქმის ორმოცი წლის უნახავმა მეგობრებმა ერთმანეთი...

მას შემდეგ, სოსომ რომ შეიტყო, ცნობილ მხატვარს სოლომონ გერშოვს მეც ვიცნობდი, – ძალიან გაიხარა, უფრო ენაწყლიანი გახდა. მიამბო, რომ ბატონი სოლომონი მას სახელოსნოშიც სწვევია, როდესაც სოსო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობდა მთავარ მხატვრად. მე ვუამბე, სოლომონ გერშოვს ინტერვიუ რომ ჩამოვართვი, რომელიც დაიბეჭდა კრებულში „საქართველოს დღეები“. უფრო მეტი! – ბატონი სოლომონის პატივსაცემად ცნობილი ხელოვნებათმცოდნის ბიჭიკო ჩხეიძის ბინაზე გამართულ ბანკეტზე მიმიწვიეს. არაჩვეულებრივი საღამო იყო, მეფის საკადრისი სუფრა, დახვეწილი სიტყვა-პასუხი, ამაღლებული, ოღონდ ყველაფერი ზომიერი, ჭეშმარიტად ქართულ სუფრას რომ ეკადრება! ბატონმა სოლომონმა ძალიან გაიხარა. დამშვიდობებისას ვთხოვე, რაც ამ დღეებში მიამბეთ, დამიწერეთ; თქვენს ავტოგრაფს მალე დიდი ფასი დაედება და გავმდიდრდები-მეთქი,-ვუთხარი ხუმრობით.

– მაგის იმედი ნუ გექნება. მე ისეთი ცხოვრება გავიარე, ჩემ ნაწერში კაპიკს არავინ მოგცემს. პირიქით, ფული იქით არ მიგატანინონო, – გაიცინა... მეორე დღეს ჩხეიძეებთან რომ მივედი, ბატონმა სოლომონმა ხელნაწერი გადმომცა, რომელშიც აღწერილი იყო ვორკუტის საკონცენტრაციო ბანაკში წამების დღენი, ლევან გოთუასთან დაკავშირებული ამბები. (მალე ამ ხელნაწერს თბილისის სახელმწიფო არქივს გადავცემ, – სოლომონ გერშოვის ვორკუტლაგელი მეგობრის, მწერალ ლევან გოთუას არქივის შესავსებად).

ამერიკიდან თბილისში რომ დავბრუნდი, ბატონმა სოსომ გამომიგზავნა წერილი „ის, რაც დავიწყებას არ ეძლევა“, სოლომონ გერშოვის სურათების რეპროდუქციებთან ერთად. წერილი ლევან გოთუას შესახებ კრებულში გამოსაქვეყნებლად შემოვინახე.

მაგრამ, რაკი განგებამ ასე ინება და ბატონი სოსო ამქვეყნად აღარაა, გიგზავნით მის წერილს (ასლს ვიტოვებ). ის ჩემთვის ძვირფასია, რადგან ბატონი სოსოსა და ძალზე ნიჭიერი მხატვრის სოლომონ გერშოვის ურთიერთობას ეხება; სოლომონ გერშოვისა, რომელსაც დიდოსტატმა ლადო გუდიაშვილმა „თანამედროვეობის უდიდესი მხატვარი“ უწოდა.

ნათელში სუფევდეს ბატონი სოსოს სული...

უღრმესი პატივისცემით

მარად თქვენი – ჯუმბერ ჯიშკარიანი

თბილისი, 27 სექტემბერი, 2013

აქვე გთავაზობთ სოსო ჯინჯიხაშვილის ბარათს.

ის, რაც დავიწყებას არ ეძლევა

შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე ბევრ საინტერესო ადამიანთან მქონია ურთიერთობა, რომლებმაც ჩემს მეხსიერებაში წარუშლელი კვალი დატოვეს. თავისი საქმიანობით ისინი სათუთად უფრთხილდებოდნენ კაცობრიობის მონაპოვარს – იქნებოდა ეს მეცნიერების თუ ხელოვნების დარგში. სწორედ ასეთი ადამიანების რიცხვს ეკუთვნის ცნობილი ფერმწერი სოლომონ გერშოვი, თხემით ტერფამდე ებრაელი მხატვრის – მარკ შაგალის ყრმობის მეგობარი, რომელმაც, როგორც თვითმყოფადმა და უაღრესად საინტერესო შემოქმედმა, თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა მეოცე საუკუნის რუსეთის სახვით ხელოვნებაში.

თანამედროვეობის ეს ორი დიდი მხატვარი ერთ მიწაწყალზე ეზიარა ხელოვნებას. მაგრამ რა უცნაურად წარიმართა ამ ორი შემოქმედის ბედი. ცხოვრებამ ისინი სამარადჟამოდ დააშორა ერთმანეთს. ერთი ევროპაში გადაიხვეწა, მეორე კი რუსეთში ჩარჩა ჩაკეტილი. და რაკიღა მარკ შაგალი ვახსენე, უნებლიედ გამახსენდა სოლომონ გერშოვის მონათხრობი, რომელიც მან 1980 წლის 17 მარტს ჩემთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდიაში სტუმრობისას გამანდო დიდი გულისტკივილით: – „იცით, სოსო, როდესაც 50 წლის უნახავი მარკ შაგალი რუსეთს ეწვია, განგებ განვერიდე ლენინგრადს, ვინაიდან დარწმუნებული ვიყავი, რომ „ოფიციალური პირები“ აუცილებლად დაესწრებოდნენ ჩვენს შეხვედრას და მასთან გულახდილი საუბრის საშუალება არ მომეცემოდა. ამიტომ მარკ შაგალის ცდა ჩემთან შეხვედრისა ამაო აღმოჩნდა“.

ორ ათეულ წელზე მეტი მაწუხებდა კითხვა: – განა ისეთი რა უნდა მომხდარიყო სოლომონ გერშოვის, ამ უკეთილშობილესი ადამიანის ცხოვრებაში, რომ წარსულის გახსენებაც კი არ უნდოდა; რით იყო გამოწვეული, რომ თავს არიდებდა მარკ შაგალთან – ბავშვობის მეგობართან შეხვედრას? მეც, მისადმი უდიდესი პატივისცემით გამსჭვალული, ვერ ვეკითხებოდით მიზეზს.

ბატონო ჯუმბერ! 2005 წელს ნიუ-იორკში გაზეთ „დავითის ფარში“ გამოქვეყნებულმა თქვენმა წერილმა, ბატონ ლევან გოთუას დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით, ნაწილობრივ პასუხი გასცა ჩემს კითხვას, რომელიც თავის დროზე ვერ შევბედე სოლომონ გერშოვს, თუ რატომ ირიდებდა ოფიციალურ მუშაკებთან შეხვედრას. გაოცებული დავრჩი, როცა გავეცანი თქვენს წერილს. ლევან გოთუა, იმ დროისათვის ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, ყინულოვან ჩრდილოეთში გადასახლებული, ახლობლებს სულის შემძვრელ სიტყვებს სწერდა: „ვერ გამიგია, სამშობლო იმიტომ მიყვარს ასე ძლიერ, რომ ასე შორსა ვარ, თუ იმიტომ ვარ ასე შორს, რომ ასე ძლიერ მიყვარს სამშობლო!“

სულით რა ძლიერი და შეუდრეკელი ბუნების უნდა ყოფილიყო, რომ გაეძლო არაადამიანური პირობებისათვის ვორკუტის საკონცენტრაციო ბანაკში, თითქმის საუკუნის მეოთხედი. სამშობლოში დაბრუნებული მწერალი მოგვიანებით გვეტყვის: „გულში ჩაქსოვილმა იმედის ნაპე-

რწკალმა გამაძლებინა ყოველივე“...

რისთვის ატარებდნენ მოუშუშებელ ტკივილს, – თქვენი თქმისა არ იყოს, – „შურსა და ცილზე“ დამყარებულ არაადამიანური რეჟიმის მძიმე სასჯელს? სამწუხაროდ, ასე იჩაგრებოდნენ განათლებისა და კულტურის ელიტარულ წრეებში მოღვაწე, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული უდანაშაულო ადამიანები.

ან რისთვის დაისაჯა სილამაზისა და სიკეთის სამსახურში მდგომი შესანიშნავი მხატვარი სოლომონ გერშოვი, თავის ირგვლივ ყველაში და ყველაფერში მშვენიერების მაძიებელი, ჩრდილოეთის იმ მუდმივ ყინულოვან მხარეში?

საუკუნეების მანძილზე ბევრი სტუმარი და კეთილის მსურველი ჰყოლია თბილისს; ვინ მოთვლის მათ. ერთი მათგანია მხატვარი სოლომონ გერშოვი, რომელიც უსაზღვროდ იყო შეყვარებული თბილის-ქალაქზე, მის ყოფა-ცხოვრებაზე, მის ხალხზე და, რაღა თქმა უნდა, უძველეს ისტორიასა და კულტურაზე.

თბილისმა ყოველთვის იცოდა სტუმრის მიღება. მით უფრო, თუ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ მხატვარს მასპინძლობდა. სოლომონ გერშოვი 1976 წელს გავიცანი თბილისში ხელოვნების მუშაკთა სახლში გამართულ მისი ნამუშევრების პერსონალურ გამოფენაზე... 1980 წელი. ისევ თბილისი, ისევ მისი გამოფენა და კვლავ ხელოვნების მუშაკთა სახლი, კარგად მახსოვს გერშოვის ეს გამოფენა, რომელმაც თბილისელ ხელოვნების მოყვარულთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია, რამეთუ სტუმრის შემოქმედებას უკვე ბევრი თბილისელი გულშემატკივარი იცნობდა. გამოფენას ესწრებოდნენ: მხატვრები, მწერლები, ჟურნალისტები, თბილისის ახალგაზრდობა. აქვე მინდა გავიხსენო ცნობილი ეთნოგრაფი, სოლომონ გერშოვის ნიჭის დამფასებელი და მფარველი ბიჭიკო ჩხეიძე. თაწმინდის შესანიშნავ უბანში მხატვარს დათმობილი ჰქონდა მისი ბინა, სადაც სტუმარს ყველა პირობას უქმნიდნენ ნაყოფიერი მუშაობისათვის. თბილისში შესრულებული ნამუშევრებით ლენინგრადში დაბრუნებული სოლომონ გერშოვი მზად იყო ახალი ვერნისაჟისთვის.

სოლომონ გერშოვი შესაძლოა მოსაუბრესთან სიტყვაძუნწის შთაბეჭდილებას ტოვებდა, სამაგიეროდ თავის ნამუშევრებით ღრმად მოაზროვნე დიდი კულტურის მხატვრად გვევლინებოდა. მინდა ხაზი გავუსვა მის კიდევ ერთ შესანიშნავ თვისებას – მსჯელობის დროს საკუთარ აზრს არასოდეს თავს არ მოგახვევდა.

მაგრამ, როდესაც საუბარი ჩამოვარდებოდა საქართველოს მთა-ბარზე და თბილისის ძველ უბნებზე, გერშოვი ხშირად უპირისპირდებოდა ლენინგრადის მონუმენტალურ სილუეტს და მის მონაცრისფრო ცას, ხოლო როდესაც შევეხებოდით თბილისის კოლორიტს, უნდა გენახათ, რა აღტაცებული საუბრობდა სამხრეთის მზით გასხივოსნებულ ჩვენს მიწა-წყალზე, მის სილამაზეზე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თბილისში შესრულებულ ნამუშევრებში, ლენინგრადის პერიოდთან შედარებით, აშკარად იგრძნობოდა განსხვავებული კოლორიტი. როგორც თავად გერშოვი აღტაცებით აღნიშნავდა, – „საოცარია, თბილისში ჩემს პალიტრას უმეტესად თბილი ფერები იკავებსო“. მართლაც, ჩვენებური მზით იყო გასხივოსნებული ნამუშევრები: „ძველი თბილისი“, „მხატვრის სახელოსნოში“, „სვეტიცხოველი“, „ტაძართან“, „დავით გარეჯი“, „აღმოსავლური მოტივები“, „აბანოთუბანი“ და სხვა. მეც სიამოვნებას მგვრიდა სტუმრის თვალით დანახული საქართველო.

გერშოვის მიერ აღქმული უმნიშვნელო მოვლენაც კი ემოციურობითა და დრამატიზმით იყო დატვირთული. ყოველ ჩანაფიქრს თავისებურ ჟღერადობას ანიჭებდა. მისთვის უცხო იყო წინასწარ დამზადებული ფერი და წინდაწინ შემუშავებული საშუალებანი. სოლომონ გერშოვს სწორედ ეს განასხვავებდა სხვა მხატვრებისაგან – იგი ახლის მაძიებელი გახლდათ.

გერშოვი მუდამ მიჯაჭვული იყო მოლბერტთან ან მაგიდასთან ფუნჯით ხელში, იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს იმ ავადმოსაგონარი წლებით გამოწვეულ დანაკარგის შევსებას ცდილობდა. მხატვარი თავისი ნიჭიერებითა და შინაგანი კულტურით მოყვასის მიმართ განსაკუთრებულ განწყობილებას ჰქმნიდა.

მახსოვს, როგორი პატივისცემით იხსენებდა სოლომონ გერშოვი ბატონ ლადო გუდიაშვილს და მის შემოქმედებას. განსაკუთრებით აღნიშნავდა პარიზში მოდილიანთან და სხვა ცნობილ ფერმწერებთან მისი ურთიერთობის შესახებ. მოგვიანებით, როდესაც ლადო გუდიაშვილი გაეცნო სოლომონ გერშოვის ნამუშევრებს, მან კოლეგას „თანამედროვეობის უდიდესი მხატვარი“ უწოდა.

ვინ იცის, მეოცე საუკუნის ამ ორ შემოქმედს – მარკ შაგალსა და სოლომონ გერშოვს, რომლებიც ერთ ცისქვეშეთში ეზიარნენ ხელოვნებას, 50 წლის ერთმანეთის უნახავთ, რამდენი რამ ექნებოდათ სათქმელი. შეხვედრის შეუძლებლობამ განაპირობა ის, რომ მარკ შაგალმა სოლომონ გერშოვს 1973 წელს პარიზიდან მოსწერა: – „ძვირფასო გერშოვ! თქვენს ნამუშევრებში გულწრფელად ეძებთ სიმართლეს ხელოვნებაში, და ესაა მთავარი და მნიშვნელოვანი“.

ჩვენი დროის დიდი მხატვარი სოლომონ გერშოვი, თუმც შემოქმედებას „ტანჯვის გზად“ მიიჩნევდა, დიდ ხელოვანს ღრმად სწამდა, რომ ეს არის ერთადერთი გზა მიმავალი მშვენიერებისაკენ. მე კი დავამატებდი: – არ არსებობს უკეთილშობილესი და უმშვენიერესი გზა სულის განწმენდისათვის, ვიდრე ხელოვნება.

1980 წლის 17 მარტს ჩემთან, თბილისის უნივერსიტეტის სახელოსნოში, სტუმრად მყოფმა სოლომონ გერშოვმა (იმ დროისათვის ქ. რუსთავის კულტურის სასახლისათვის დიდი ქართველი ჰუმანისტისა და პოეტის შოთა რუსთაველის ჭედურ გორელიეფს ვასრულებდი), ცნობილმა მხატვარმა შთაბეჭდილების წიგნში წერილი დამიტოვა, რომელშიც ასე მომმართა: „ვაშ ტოვარიშჩ პო მუკამ“.

ვსარგებლობ შემთხვევით და მივესალმები ჩემს მეგობარს, ნიჭიერ მოქანდაკეს ჯემალ თუშურაშვილს, ქართული ქანდაკების ტრადიციების გამგრძელებელს, დიდი ქართველი მწერლის ბატონ ლევან გოთუას შთამბეჭდავი მემორიალის ავტორს.

ბატონო ჯუმბერ! უდაოდ, უკეთილშობილეს საქმეს აკეთებთ, მრწამსის, იდეის სამსახურისათვის დასჯილ ადამიანთა გახსენებით და მათი უანგარო ღვაწლის დაფასებით. ამით თქვენ ერთხელ კიდევ ხაზს უსვამთ საზოგადოების მორალურ ვალდებულებას – უფრთხილდებოდნენ არამარტო თანადროულობას, არამედ მის წარსულსაც.

გმადლობთ, ბატონო ჯუმბერ! ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ მთელი ქართველი ებრაელების სახელით.

ეს კი თავისთავად ნათელი მომავლისათვის ბრძოლის შესანიშნავ ასპარეზს ქმნის.

უდაოა, ზოგი კალმით, ზოგი ფუნჯით ალამაზებს ჩვენს ყოფას და უაღრესად უმართებულო იქნებოდა, რომ მათ საქმიანობას მხოლოდ კრიტიკის ქარცეცხლით და სასჯელის არაადამიანური ზომებით უსწორდებოდნენ.

დღეგრძელობა თქვენს კალამს და თქვენს ამაღლებულ, კაცთმოყვარე მისწრაფებებს!

სოსო ჯინჯიხაშვილი

ნიუ-იორკი 18 ნოემბერი, 2009.

სიტყვის ძალა

თინათინ მღვდლიაშვილი – პოეტი, მხატვარი, საზოგადო მოღვაწე, ხატთა შემამკობელი.

თინათინის ლექსებზე შექმნილია საქვეყნოდ ცნობილი სიმღერები: „ხმალი ავლესოთ, ქართველებო!“, „აღმაშენებელი თბილისს მობრძანდება“, „მარტოსულო ქალბატონო“, „ქართველები შეარიგე, მერაბ“ და სხვა. მისი ლექსები თარგმნილია ფრანგულ, ინგლისურ, ჩეჩნურ, რუსულ ენებზე.

თინათინის მიერ შემკული ხატები დაბრძანებულია საქართველოს უბრწყინვალეს ეკლესია-მონასტრებში.

ღმრთის სიტყვის ქადაგებისათვის, ეროვნული ცნობიერების განმტკიცებისათვის, პატრიოტიზმისათვის პოეტი წმინდა ნინოს ჯვრით დააჯილდოეს;

2014 წლის 31 მარტს ზვიად გამსახურდიას სახელობის პრემია მიენიჭა;

2014 წლის 28 დეკემბერს წმიდა ილია მართლის სახელობის პრემია – „ივერია“ – მიაკუთვნეს ნომინაციაში პოეზიის დედოფალი;

2015 წლის 7 აპრილს, „ხარებას“, პოეტის დაბადების დღეს, „გალაკტიონის“ პრემიით დააჯილდოეს.

თინათინ მღვდლიაშვილი რთული შემოქმედია...

იპოვო ხმა, ნიშნავს შეიგრძნო სიტყვის ძალა. ლექსში „დავით მეფეს“ ფიზიკურად გრძნობ პოეტის ინტელექტუალურ და ემოციურ დაძაბულობას. იგი რთულია და, ამავე დროს, სადა შინაგანი აგებულებით. ფოლადისებრი კონსტრუქციითა და თვითმყოფადი, ლაზათიანი, მსუბუქი ნაჭედობით გამოირჩევა. ისტორიის რეალური გზა ჩანს. ზიგზაგები და პერიპეტიები ფაქტის ფიქსირებით განზოგადებამდე მიდის.

აღმაშენებელი
თბილისს მობრძანდება
ყალყზე შემდგარი რაშით.

აწმყო შედეგია წარსულის და მინიშნებაა მომავალზე. მის უმაღლეს, უკეთილშობილეს სინამდვილეს სულიერი მხარე შეადგენს, ე.ი. გრძნობა, გონება, ნებისყოფა, რომელშიც მარადიული, წარუვალი, აუცილებელი არსი გამოიხატება.

გული გაიმაგრე,
გული გაიმაგრე,
გული გაიმაგრე,
დავით!

ლექსს შინაარსობრივად და მხატვრულად ალტრუისტული იდეა კრავს. ჩაახშე ეგოიზმი შენი, ფეხით გათელე ანგარებითი მე, სხვათა ბედნიერებისათვის იცოცხლე. ყველაფერი მოყვასის, სამშობლოს სასიკეთოდ, კაცობრიობის სასარგებლოდ მიიტანე მსხვერპლად.

ლექსში ძალუმად იგრძნობა ეროვნული ტკივილი. ეს ეგზოტიკური სამკაული როდია, ჭეშმარიტი ერისკაცობისაკენ გვახედებს. პოეტი ისტორიის რეალურ სვლას, ზოგჯერ მის რთულ ზიგზაგებს ითვალისწინებს.

რა დაგვიტოვე
და რას გახვედრებთ,
რით მოვიწონოთ თავი?

ლექსის ესთეტიკური ენერგია იმ ზნეობრივ სიწმინდეშია თავმოყრილი, რომელსაც მამულის და ხალხის წინაშე წმინდა მოვალეობა ასაზრდოებს.

თინათინ მღვდლიაშვილის სულს უყვარს, სჭირდება ძლიერი,არაჩვეულებრივი განცდა. ამაღლებული ვნებების გარეშე ლირიკული გმირის არსებობა წარმოუდგენელია. მაშინ მისთვის სამყარო დაცარიელდებოდა.

ვერ ვიდავითეთ,
ვერ ვითამარეთ,
ვერ ვიდიდგორეთ,
დავით! – გულისტკივილით ასკვნის.

რწმენა ერთგულებას ითხოვს. საჭიროა სუბსტრატი, რომელსაც შეიძლება ამოუხსნელის პასუხისმგებლობა დაეკისრო. თინათინ მღვდლიაშვილს ამგვარი ზეარსება სწამს,როგორც ცის თაღი, ცის კამარა. ისიც იცის, რამდენიც გინდა თვალი დახუჭო, ცა, როგორც სურათი, როგორც შთაბეჭდილება არსებობს.

მიწა გაგვიყიდეს,
ხორცი დაგვიფლითეს,
გული ამოგვგლიჯეს ტანჯვით!
გარეჯს გვიფეთქებენ,
რუსთველს გვიგინებენ,
სულში გვაფურთხებენ,
დავით! – გოდებს პოეტი.

თავისი პრობლემატიკით „ისტორიული“ თემაც რომანტიკულ პლანშია გადაწყვეტილი. მოუშუშებელი ჭრილობებით მშფოთვარე გმირი რომანის გმირივით გვაინტერესებს. ერთი ამბავია და ვრცელ ამბად აღვიქვამთ:

გადამიარეთო!
ასე დაგვიბარე.
გადაგვიარეს დავით!
ვერ დავიცავით
სრულიად საქართველო,
ვერ მოვუფრთხილდით, წამით!

ემოცია აზრითაა გადმოცემული. აზრი – სიტყვით. პოეტი თავისივე შექმნილ სამყაროში დავით მეფესთან ერთად გამოსულა ბედნიერების საძებნელად. აკი ამბობს კიდეც:

ხმალი დაგვიჟანგდა,
სისხლი გაგვიწყალდა,
დავპატარავდით,
დავით!

მომავლის სიყვარულით, ერთგულებით, ხალხის კეთილდღეობაზე ფიქრითა და ზრუნვითაა გამსჭვალული ლექსი. ეს არაა სტანდარტული გრძნობების ყალიბში მოქცევა. საკუთარი კუთხეა მოძებნილი, ხედვის თავისებური ნიუანსია შერჩეული. ქვეყნისადმი მისი სიყვარული ლოცვაა, ოცნებაა მომავლის ბედნიერებისათვის თავდადე-ბაა. პოეტი გრძნობის სიღრმეს ენდობა და არა ელვარებას.

შემოქმედს ძალა შესწევს, არსებობის სიბრძნეც ამოიცნოს და სიმამაცეც ჰყოფნის, რეალობას გამომცდელად გაუსწოროს თვალი:

კვნესის საქართველო,
შენი საქართველო,
გულში დაჭრილია ხარი!
სულის კივილი გრძელდება...
ესაა სამშობლოს ბედის ჩანახატი.

ლექსის ლირიკული გმირი რომანის გმირივით ცხოვრებისეულად ტევადი და საინტერესოა. ამ პატარა ლექსს თავისი მოქმედი პირები ჰყავს, თავისი დამთავრებული ისტორია აქვს. ლექსის გმირი სამშობლოს სიყვარულის გენიაა.

პოეტს უნდა ლექსმა იფიქროს. ლექსი ჩვენთან ერთად ფიქრობს. იგი ალქიმიკოსივითაა. ფილოსოფიურ, ყოვლისშემძლე ქვას ეძებს, რომელმაც შემთხვევა ოქროდ უნდა აქციოს...

გავიდა ერთი წამი... წამი გრძნობის, აზრის, იმედის...

მუხლი მაგარი აქვს,
არ დაიჩოქებს,
ნუ გეშინია,
დავით!

თინათინ მღვდლიაშვილმა – ფსიქოლოგმა, სოციალური მოვლენების აზრი

და წონაც იცის. საკუთარი სამყარო აქვს, სადაც თავს მეუფედ გრძნობს.

თინთინ მღვდლიაშვილთან სამყაროს მრავალფეროვნების შემეცნების სათავეა თვითანალიზი. ლექსში არსებითია ფსიქოლოგიური თემა. იდეა თითქმის მის საფუძველზეა გაანალიზებული. სიუჟეტად სიყვარული ჩაითვლება, რომელშიც ვნებისა და გრაციის გარდა, ბევრი სინაზეა, ხანდახან სევდა და ტანჯვა. უმთავრესი ელემენტია სურვილი, რომელსაც ფსიქოლოგიური სურათი აგვირგვინებს.

პოეტი სიტყვებს აგვირისტებს და აზრებსაც დახატულს გვაწვდის. ამიტომაც მისი ლექსები გვესმის, თითქოს ხილულია.

სიყვარულის მაცდურ, მარად მიუწვდომელ მხარეში სულის საგზლად თინათინმა ეს ლექსი შემოგვთავაზა და გაგვანდო:

თბილისი მაინც
ისევ თბილისობს,
გელათი ისევ ჰყვავის!
იბადებიან დღესაც ლეკვები,
სადიდგორენი,
დავით!

მწვავე საზოგადოებრივი მოვლენების განცდა ღრმა პოლიტიკური ვნებების ხარისხშია აყვანილი. ესაა მრისხანე მამაკაცური შემართების ხმა, რაინდული გამოსარჩლება, რომელიც სიფხიზლისა და პრინციპულობისაკენ გვიხმობს.

მზადაა, გამოეპასუხოს ხმას, სამშობლოს ციდან რომ მოესმის. ყური დავუგდოთ პოეტის აღსარებას: აღმაშენებელო,

თბილისს შემობრძანდი,
თეთრი გიორგის მადლით!

ლექსის იდეა მამულის სიყვარულია. პოეტი ღირსეულ შვილადაა დაბადებული. მან ადამიანის სულის გეგმა თითქოს ქვეყნის რუქაზე დადო და მის ისტორიულ ანალებში ჩაიძირა. ოცნება იზრდება. რწმენა ღმრთის რწმენამდე მაღლდება. ზნეობრივი სიუჟეტია. თინათინ მღვდლიაშვილს შეუძლია განსაჯოს, იბრძოლოს, ააგოს, მოიგოს!

მუმლი მუხასაო!
მუმლი მუხასაო!
მუნლი მუხასაო!
დავით!

ლექსში ყველაფერი რუხია. რუხი ვარდისფერი განთიადისას და სანთლების შუქზე.

ძნელია თინათინ მღვდლიაშვილის ლექსების კანონები გამოიცნო, რადგან სიმართლის ხელოვნებასთან მიახლოება ეს სფეროს სფეროსთან მიდგმა როდია, მაგნიტური არეა, რომელიც ხაზებს შეხების გარეშე ცვლის. ამჩნევს დაფარულს, აზრი საკუთარ ბილიკს ეძებს, ბოროტსა და კეთილს არჩევს, ხორბალს რწყავს, ეკალს კი ახმობს.

ლექსში „ხმალი ავლესოთ, ქართველებო“... პოეტი მოწოდებით მიმართავს ერს. მთელი ენერგია სამშობლოზე ფიქრითაა დამუხტული. ცენტრში სამშობლოა. მისითაა განმსჭვალული თინათინის ყველაზე ამაღლებული, წმინდა გრძნობა. სხვა რაღაა პოეტის ვალი, თუ არა მამულისათვის ხელმეორედ შობის ორომტრიალი და წვა?

ხმალი ავლესოთ, ქართველებო, ხმალი ავლესოთ!
და მოვუქსოვოთ საქართველოს ჯაჭვის პერანგი.
უნდა მოვთიბოთ, უნდა ვიმკათ, უნდა გავლეწოთ,
გადავარჩინოთ საფიცარი თეთრი გელათი!

ამ სიტყვებში პიროვნების მთელი ცხოვრება და მრწამსია. პოეტმა ჯაჭვის პერანგი მოირგო და წინ გაგვიძღვა, უსასრულო სამყაროს შეუერთა ქართველის გენი და სულიერება.

„ხმალი ავლესოთ, ქართველებო“... ეს სტრიქონები განსაკუთრებული სიცხადით გვაზიარებს თინათინ მღვდლიაშვილის შემოქმედებით არსს, როისთვისაც უცხოა როგორც ფლეგმა, ისე ნერვული რეაქცია. ოცნებაა, მთელი სამყარო ეკუთვნოდეს მის იდეას.

ლექსში სიყვარული ზოგჯერ ბედნიერებასავით სადღაც მიიმალება, მაგრამ არსებობს. იგი აქ მოულოდნელი საჩუქარივით, სამყაროს მარადიული კანონივითაა. თემის მიუხედავად, სიყვარული უდევს საფუძვლად მის ყველა ლექსს:

ჩვენ სიყვარულის სარეცელზე შეგვქმნა განგებამ,
ჩვენ სათნოება დაგვანათლა არსთა გამრიგემ,
ჩვენ ვაშენებდით ბანას, ზარზმას, გელათს, იყალთოს
და ვმაღლდებოდით ნიკოფსიიდან დარუბანდამდე.

სიყვარულს უამრავი ასპექტი აქვს. თითოეულ მათგანს თავისი ნათელი, თავისი სევდა, თავისი ბედნიერება, თავისი კეთილსურნელება გააჩნია... პოეტი ყველგან ეძებს ძალას, რომელსაც შეუძლია ადამიანი შინაგან სრულყოფილებამდე აამაღლოს, გააბედნიეროს.

„სიყვარულის სიმფონიის“ თითოეული პერსონაჟი, ყოველი მოქმედი პირი ხასიათს წარმოადგენს. ხასიათი კი, როგორც გარკვეული მორალურ-ფსიქოლოგიურ თვისებების, მოქმედების, ინტელექტუალურ-სულიერი სამყაროს მისწრაფებების, ინტერესების მთლიანობით ნათელმოსილ თავისებურ სახედ გვევლინება.

ეს ლექსი ნაწილების სიმრავლეს, რეალურად თავისებურსა და თვითღირებულ ერთიანობას შეიცავს: მივუყვები მსუბუქ ნისლებს,

სადაც ბზა და სიონია
და იღვრება მზის სარკმლიდან
სიყვარულის სიმფონია...

ლექსში დაკვირვების ცენტრი პიროვნებაა. წინაა წამოწეული ადამიანის ფსიქოლოგიის კვლევის პრინციპები და მისი კავშირი ცხოვრებასთან. პოეტი საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალფეროვნებას, ადამიანის სულის სიმდიდრეს წარმოგვიჩენს. გარემო, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, რეალურია და მართალი. პოეტს აქ არაფერი შეუთხზავს, არც ის უცდია, ცხოვრება უფრო მომხიბვლელი გაეხადა, ვიდრე არის. მან იცის, ცხოვრება თვითონაა საინტერესო, ღრმა და დამაჯერებელი. თინათინ მღვდლიაშვილი ღრმად მოაზროვნე პიროვნებაა...

პოეტი ცდილობს გმირის მცირედი თვისებაც არ დატოვოს უყურადღებოდ. სულ ერთია, იქნება ეს ფსიქოლოგიური, ფიზიკური, სოციალური შინაარსის, სუბიექტური თუ ობიექტური ვითარებიდან გამომდინარე ელემენტი. იცის, ყველა მათგანს გარკვეული ადგილი უკავია პიროვნულ მთლიანობაში. თავის მხრივ, ერთგვარ ინფორმაციას გვაწვდის გმირის ბუნების შესახებ, ზოგს ბევრსა და არსებითს, ზოგს – მცირეს.ხოლო ყველა ერთად, პიროვნების თვალმიუწვდომელ ნაირფეროვნებას ავლენს. აქ პერსონა და სამყაროს ურთიერთმოქმედება ნიშნავს ერთი მხრივ, განიცდის სამყაროს ზეგავლენას, მეორე მხრივ, თვითონ ზემოქმედებს სამყაროზე. დეტალი ემსახურება მთლიანის მიზნებს და ამაშია მისი ღირებულება.

უეჭველად, უეჭველად შემიწყნარებს მარიამი...
და დამლოცავს მწუხარეს და სახიფათოდ დამცირებულს,
და განმკურნავს სატრფიალო შეცდომებით
დამძიმებულს...

უცებ პოეტის ოპტიმისტი ლოზუნგი: **„ჩემი ლექსის სითამამეს, ალბათ, ღმერთიც მაპატიებს“.**

ადამიანებს ძიება გვაერთიანებს... დრო მიდის, დრო ამტკიცებს ჭეშმარიტებას!

ლუიზა ბოჩკოვა-ხვიჩია

ბოროტების ბანალურობა, თუ უკეთესობისკენ სვლის ნება

ირაკლი კაკაბაძე

აუშვიცის ბანაკის თანამშრომელი ოსკარ გროინინგი დაიჭირეს და ახლა ასამართლებენ მისი როლის თაობაზე აუშვიცის ბანაკში. მართალია, გროინინგი უშუალოდ არც ხელმძღვანელობდა და არც მონაწილეობდა მკვლელობებში, მაგრამ მას მასიური განადგურება ნანახი ჰქონდა. ის, ამ დროს SS-ის ერთი რიგითი ახალგაზრდა თანამშრომელი იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა ამ 93 წლის კაცს მაინც განაჩენს გამოუტანენ. მავანი იკითხავს **– რაში სჭირდება ნებისმიერ სახელმწიფოს 93 წლის მოხუცის დაპატიმრება და დასჯა, როდესაც ის არც მთავარი დამნაშავეა და მითუმეტეს უკვე ძალიან მოხუცებულია და საცაა წავა ამ ქვეყნიდან?!** რაში სჭირდება და იმაში რომ ნაციზმის დანაშაული თვითონ სისტემური დანაშაული იყო, რომელიც ადამიანებმა შექმნეს. ნაცისტურ სისტემას კონკრეტული მილიონობით ადამიანი მხარს უჭერდა და უფრო მეტიც – თანამშრომლობდა მასთან. სწორედ ამიტომ კაცობრიობას არა აქვს უფლება აუშვიცი ან ტრებლინკა ან ბუხენვალდი დაივიწყოს.

სწორედ ასევე, საქართველოს არ აქვს უფლება დაივიწყოს ნაცი ზონდერების ტერორი და ის ათასობით უდანაშაულო ადამიანი, რომელიც ამ ბარბაროსულ დროს შეეწირა და რომელიც დაზარალდა. სწორედ ამიტომ არის საჭირო, რაც შეიძლება მეტჯერ და რაც შეიძლება მალე დაიწყოს „ნაციონალური მოძრაობის“ კრიტიკა ღიად.

აუშვიცი აღარ არის მხოლოდ ერთი საკონცენტრაციო ბანაკის სახელი. ეს არის კრებითი სახელი ეგრეთწოდებული რაციონალური აზრის სახელით ჩადენილი უამრავი ანტი-ადამიანური და ბარბაროსული დანაშაულის. იქ, სადაც სუსტი კვდებოდა და ბუნებრივი გადარჩევაში გამარჯვებულიღა რჩებოდა ამქვეყნად.

აუშვიცის გარდა კიდევ ბევრი იყო შემთხვევა, სადაც ადამიანებს ან მათი იდენტობის გამო, ანდაც კიდევ რამე სხვა დახასიათების გამო ხოცავდნენ, აწამებდნენ თუ ამცირებდნენ. დღესაც, ბევრი ადამიანი ეწირება ფსევდო-რაციონალურ თეორიებს და ცრუ-მეცნიერულ მიდგომებს.

დიახ, თუ ჩვენ გვსურს საქართველოში ჯანმრთელი საზოგადოების ხილვა – მაშინ ყველას გვმართებს გვერდში დაუდგეს სიმართლეს და სამართლიანობას. ეს ორი ტერმინი ხომ ასე მჭიდროდ არის დაკავშირებული მშვიდობის დამყარებასთან – სიმართლისა და სამართლიანობის გარეშე ვერც თავისუფლება იქნება და ვერც სამართლიანობა.

ამიტომ დროა, საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ ითქვას სიმართლე და დამყარდეს სამართლიანობა!

იური ვაზაგაშვილის აფეთქებიდან ორი თვის თავზე საკუთარი სახლის სადარბაზოსთან ბიზნესმენი ბესო ხარძიანი მოკლეს! დიახ, როცა იური ვაზაგაშვილის მკვლელობის შემკვეთები ქუჩაში თავისუფლად დადიან, სამართლიანობისთვის მებრძოლ კიდევ ერთ ქართველს ისტუმრებენ იმქვეყნად! მართლაც, შოკში ვარ, ამის ატანა უკვე შეუძლებელია. ხელისუფლების უუნარობის გამო, კიდევ ერთი ტრაგედია დატრიალდა. ადამიანებს, ვინც ხმას იღებს, დღისით, მზისით, ქუჩაში ხოცავენ! ხელისუფლება ძალიან სცოდავს უკვე! პოლიციის მაღალჩინოსნები ზედელაშვილი, ჯანყარაშვილი და ნაცვლიშვილი პასუხისმგებლები არიან ბესო ხარძიანისა და ბევრი სხვა სიმართლისათვის მებრძოლი ადამიანების ბედზე! ეს ადამიანები ბლოკავდნენ და დღესაც ბლოკავენ სამართალს! ამიტომაც ვართ ასეთ საშინელ მდგომარეობაში. ისინი სამართლის კი არა, ნაცების მხარეს არიან, ესენი არიან ჩვეულებრივი ნაცისტები, რომლებსაც ირაკლი ღარიბაშვილი, როგორც თავისიანებს არასწორად პატრონობდა. ამიტომაც ვწერდი ირაკლი ღარიბაშვილს, გარემოცვა შეეცვალა... მისი მთავარი შეცდომა ის არის, რომ ირგვლივ ჭკვიანი ხალხი არ შემოიკრიბა, მხოლოდ ნათესავებისა და პოლიციელების რჩევების იმედად დაიტოვა თავი. იური ვაზაგაშვილმა დამნაშავეების სია რომ მიიტანა ბიძინა ივანიშვილთან, ისინი ყველანი ზედელაშვილისა და ჯანყარაშვილის დატოვებული კადრები იყვნენ. სიმართლე ბოლომდე უნდა ითქვას...

– საქართველო გახდა ბანდიტებისა და კრიმინალების ასპარეზი! იმედია, ბიძინა ივანიშვილმა ეს იცის და ასეთ ხალხს საშუალებას არ მისცემს, მთელი ქვეყანა ამოხოცოს!

ვიმედოვნებ, შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური, რომელიც ამ კლანის წევრი არ არის, შესაბამის ზომებს მიიღებს – შსს მაფიის რვაფეხას, რომელიც ძალიან სახიფათოა ქვეყნისთვის, ბოლოს მოუღებს!

– არ დაგიმალავთ, ძალიან მწყდება გული ირაკლი ღარიბაშვილზე – ამ ბიჭის დიდი იმედი მქონდა. სამი წლის წინ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, იმედია, უკეთესობისკენ შეიცვლება ყველაფერი, თუმცა ამდენი ხანია „იმედია-იმედიას“ გავიძახით, რეალურად კი არაფერი იცვლება. იმის ნაცვლად, რომ ჩვენი რჩევები გაეთვალისწინებინათ, შეცდომას, შეცდომაზე უშვებენ!

მინდა, კიდევ ერთხელ მივმართო პრემიერ ღარიბაშვილს: ქვეყანა უფსკრულის პირას არის. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ძალადობის პოლიციურ მოდელს განაჩენი არ გამოვუტანეთ. ძალიან მტკივა გული, ამას მტერი კი არა, როგორც მოყვარე გეუბნებით. უდე-

სიანები, ფირცხალავები, დონაძეები, ახალაიები, ადეიშვილები თუ სხვა მკვლელები პიროვნულად კი არ არის პრობლემა – მთავარი დამნაშავე ის სისტემაა, რომელიც გულგრილ მკვლელს აყალიბებს. თუ ეს სისტემა არ დაიშალა, დღეში 1000 ახალაია იზდება და ყალიბდება, რომელიც ცივი გულით ათასობით ადამიანს აწამებს და მოკლავს.

ამ მთავრობამ 2013 წლის 1 მაისს უდანაშაულო დომენსტრაცია დაარბია – ახალგაზრდები ცემეს, პროფკავშირების მოთხოვნები უარყვეს, მინიმუმი ხელფასი ნორმამდე არ გაზარდეს! ხუდონჰესის დანაშაულებრივ პროცესს ახანგრძლივებენ! მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი საყდრისი ააფეთქეს! სოციალური სამართლიანობის მოთხოვნით გამოსული ახალგაზრდები დააშინეს, თვითონ კი ფულის ჭამა დაიწყეს – თხვლეპენ ყველას და ყველაფერს და ახლა ისევ ნაციონალებით აშინებენ ხალხს – ჩვენ თუ არ ვიქნებით, ისევ ესენი მოვლენ და გაგაუპატიურებენო! საქართველოშო ქოცების და ნაცების კოლაბორანტული ზეიმია – ლენჩების, აფერისტების, მოძალადეების და მკვლელების! თუ არ დაიწყო ნამდვილი ხალხოსნური მოძრაობა, თუ დროულად არ დასრულდა ეს ყველაფერი, საქართველოს არაფერი ეშველება. ნამდვილი გზა მერაბ კოსტავას გზაა! ამ გზით უნდა წავიდეს ახალი ძალა, პროგრესული, მემარცხენე ძალა, რომელიც ამ საშინელ ოლიგარქოკრატიას და მემარჯვენე უზნეობას დაამარცხებს. საქართველოში ბევრი ნიჭიერი ადამიანია და საჭიროა ასეთ ხალხს დავეყრდნოთ. მაგალითად, საკმარისად არ არის გმოყენებული გია დვალის გამოცდილება, რომელიც ძალიან დიდი მოვლენაა საერთაშორისო მეცნიერებაში. მისი რეფორმა განათლებას ნამდვილად წაადგება. არ არის სათანადოდ გამოყენებული გია მაისაშვილის თანამედროვე პოსტინდუსტრიული ეკონომიკური პროგრამები, რომლებიც, ვფიქრობ, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია. არ არის გამოყენებული ირაკლი მანაგაძის პოტენციალი, რომელიც უნიჭიერესი, გამოცდილი ფინანსისტი და ეკონომისტია. დავით სულაბერიძე, ირაკლი გოგია, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე კრეატიული ადამიანია საქართველოში და ბევრი სხვა. ერთი სიტყვით აუცილებელია მესამე სიჩქარის ჩართვა და საზოგადოების წიაღში არსებული ნიჭის წინ წამოწევა. თუმცა, პირველ რიგში, საზოგადოებამ ძალადობაზე მდგარ რეჟიმს განაჩენი უნდა გამოუტანოს, თორემ, ცოტა ხანში გამწარებული ხალხი ქუჩაში გამოვა და თავად აღასრულებს სამართალს! ბატონო ბიძინა, იმედი გვაქვს, ქვეყანაში კიდევ არის ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობა. მთავარია, უკეთესობისკენ სვლის პოლიტიკური ნება იყოს!

ირაკლი კაკაბაძე

„ევროპული გზა, გზა, რომელიც მე ავირჩიე“

ელენე გოცაძე

საქართველოს სურს, გახდეს ევროპის დემოკრატიული სტრუქტურის ნაწილი, წევრი, ეს ჩვენი არჩევანი ძალიან მტკიცეა და ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

საქართველოში 4 მაისიდან 11 მაისის ჩათვლით ევროპის ტრადიციული კვირეული გაიმართა. ორგანიზატორების განცხადებით, მათი მიზანია ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის საკითხებზე საზოგადოების ინფორმირება. კვირეულის ფარგლებში არაერთი ღონისძიება ჩატარდა. კვირეულის მიმდინარეობასა და მის მიზნებზე რადიო თავისუფლება ესაუბრა „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის“ დირექტორს **ელენე გოცაძეს.**

საქართველოში ცენტრი 2007 წლიდან ფუნქციონირებს. ადრე მასშტაბური ღონისძიებებით იყო დატვირთული. ბოლო დროს უფრო ინოვაციებზე შევაჩერეთ არჩევანი. ჩვენ მოვამზადეთ ორი ახალი და მნიშვნელოვანი პროექტი, თვალსაჩინოა ახალგაზრდების ჩართულობა. პირველი პროექტი ეს არის კომიქსების წიგნი, რომელიც მთლიანად ღირებულებებზეა აგებული, გვიჩვენებს, თუ როგორი იყო ცხოვრება და როგორი გვსურს იყოს, ესე იგი საით მივდივართ. რაც გვსურს, თავისთავად უკავშირდება იმ ევროპულ სტანდარტებს, იმ ცხოვრების დონეს, რომელიც ევროპაშია – განათლება, ჯანდაცვა, კულტურული შესაძლებლობები, ინფრასტრუქტურული პროექტები და ასე შემდეგ. ისეთი ფასეულობები, რომლებსაც ჩვენ ყოველდღიურად ვხვდებით, მაგრამ არ ვფიქრობთ, რომ ეს თავისთავად ევროპულია, რაც ასევე ქართულს გულისხმობს. ყოველივე ეს ცხადად გამოჩნდება ბროშურაში, რომლის სახელწოდებაა „ევროპული გზა, გზა, რომელიც მე ავირჩიე“. გამოვეცით ილუსტრირებული ბუკლეტი, მოვაწყვეთ გამოფენა, გვსურს, საქართველოს რეგიონებში გავიტანოთ, სოფლებში, სკოლებში, სადაც მოსწავლეებთან გვექნება დიალოგი. როცა თვალით ხედავ და აღიქვამ, მეტ საფიქრალს ტოვებს. რაც შეეხება მეორე პროექტს, ეს არის ახალგაზრდა რეჟისორების მიერ დადგმული წარმოდგენა, რომელიც 5 ეტიუდისგან შედგება და ერთ სცენარად ერთიანდება. წარმოდგენის სახელწოდებაა „იქ, სადაც შენი სახლია“, რომელიც ფასეულობებზე და ღირებულებებზეა აგებული, ჩვენი სტუმართმოყვარეობა, სხვადასხვა კულტურული მრავალფეროვნება ახალგაზრდა რეჟისორებს საინტერესოდ აქვთ დანახული.

– როდესაც მსგავსი ტიპის ღონისძიებები ტარდება, ცდილობენ, ევროულ ღირებულებებზე იყოს აქცენტი გადატანილი. ყოველთვის სირთულე ჩნდება, როგორ დავუკავშიროთ ერთმანეთს ევროპული და ქართული ღირებულებები, მათ შორის არის თუ არა განსხვავება. თქვენ როგორ ხედავთ?

– მაისის თვეში გამართული კვირეული შედგებოდა საინტერესო საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებებისგან, მათ შორის სპორტული, სხვადასხვა კულტურული ელემენტები. თბილისში, რეგიონებში, ხონის მუნიციპალიტეტში გაიხსნა ევროპის ხეივანი, ქუთაისში და ზუგდიდში ჩატარდა ევრომარათონი, სულ ახალგაზრდების ჩართულობით. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ევროპის კვირეულის გახსნაზე მისი უწმინდესობის მობრძანება. პატრიარქის საინტერესო გზავნილი – ის ღირებულებები, რომლებიც ჩვენ ასე გვიზიდავს, ევროპას უხვად გააჩნია, ევროპული და ქართული ღირებულებები ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან. ის ღირებულებები, რომლებიც ევროპას გააჩნია, ჩვენ გვიზიდავს და არ არის მიუღებელი.

– რაში გამოიხატება ევროპის ხიბლი?

– ევროპა შედგება 28 ტრადიციული ქვეყნისგან. ყველა მათგანს აქვს საერთო და განსხვავებაც. სწორედ, ამაშია ევროპის მრავალფეროვნება, მაგრამ ძირითადი ფასეულობები – დემოკრატია, ადამიანის უფლებების პატივისცემა, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება, სიტყვის თავისუფლება და ასე შემდეგ. ასეთ მომხიბვლელს

ხდის ევროპაში ცხოვრებას. ამიტომ არის ჩვენთვის მიმზიდველი, ჩვენი კულტურით, ტრადიციით, რელიგიით, ხუროთმოძღვრების ძეგლებით შევდივართ ევროპაში. ამით თვითონ ევროპაც იამაყებს. ეს კიდევ უფრო გაამდიდრებს ევროპას.

– თუმცა არიან ადამიანების კატეგორია, რომლებიც ფიქრობენ, რომ ევროპა ეს არის გარყვნილება, დაღუპვა, ერის თვითმყოფადობის დაკარგვა. თუ გქონდათ ასეთი მოსაზრების ხალხთან შეხვედრა?

– ეს კვირეული უფრო საინფორმაციო-საგანმანათლებლო იყო, საზოგადოება უნდა დაფიქრდეს, ეს პროცესი მართალია ახალი დაწყებულია, სირთულეებით და პრობლემებით მიმდინარეობს, მაგრამ ის გზა, რომელსაც გავდივათ, სწორედ, ჩვენი ქვეყნის მოდერნიზაციის გზაა. როცა ადამიანი რუსთაველის გამზირზე გაივლის, ევროკავშირის და საქართველოს დროშებს დაინახავს, უნდა დაფიქრდეს, თუ რასთან გვაქვს საქმე, რა პროცესშია საქართველო ჩართული. ჩვენ ჯერ რეგიონებში არ გავსულვართ, ძალიან მაღალია სტუდენტების ჩართულობა, ისინი მომხრე საზოგადოებას წარმოადგენენ და ფასეულობებზე საუბრის დროს პირიქით, ჩვენ გვეხმარებიან. იმ მითებს, რომლებიც საქართველოში, უკრაინაში და მოლდოვაში ვრცელდება, ჩვენ ინფორმატიულობით ვუპირისპირდებით. გამართული კვირეულის კონცეფცია სწორედ ეს იყო. კიდევ მეტს უნდა ვუთხრათ, 28 ქვეყნისგან შემდგარ ევროპაში, სადაც 500 მილიონი ადამიანია გაერთიანებული, არიან უმცირესობები და მათი უფლებები დაცულია. რაც შეეხება მართლმადიდებელ რელიგიას, საბერძნეთი მართლმადიდებლობის აკვანია, საბერძნეთი ევროკავშირის ძირძველი ქვეყანაა, ასევეა რუმინეთი და ბულგარეთი. ამ ქვეყნებს ეკონომიკური ზრდის საშუალება სწორედ ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ მიეცათ. როცა ევროკავშირის წევრი ხდები, ეს არ ნიშნავს, რომ შენი ენა იკარგება. პირიქით 28 წევრისგან შემდგარ ქვეყანას 24 ოფიციალური ენა აქვს. ამიტომ საქართველოს და ქართულ ენას ახალი სარბიელი ეძლევა.

– ერთ-ერთმა მოქალაქემ, ზაზა სულამანიძემ ასეთი რჩევა მოგცათ – საინფორმაციო ცენტრის მესვეურებო, იზრუნეთ ადგილობრივ თვითმმართველობებზე, შეიტანეთ საინფორმაციო მასალები გამგეობებში და საკრებულოებში. ამ ინსტიტუტებში „საბჭოთა ადამიანების“ სიმრავლეა და „საბჭოთა პროპაგანდა“ გაცილებით სჭარბობს.

– ღონისძიებებს ეს ორი ელემენტი დაემატა. სპექტაკის ტარება შეგვეძლება რეგიონებში, მათ შორის სამხედრო ნაწილებში, რაც შეიძლება მეტი დიალოგი უნდა გავმართოთ, რომ სანფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია პროდუქტიული იყოს. 2014 წლიდან ჩვენ ვართ სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ორგანიზაცია, სახელმწიფო აპარატს ვექვემდებარებით. საქართველოში 300-მდე შეხვედრა გავმართეთ, პრაქტიკულად პირისპირ 15 000 ადამიანს ვესაუბრეთ, მაგრამ ერთჯერადი შეხვედრები არ არის საკმარისი. საზოგადოებას სჭირდება ინფორმაცია, მაგრამ თუ ის ლამაზად არი არის შეფუთული, საყოველთაო ხასიათს ვერ შეიძენს. ამიტომ ფიარს საინფორმაციო და საგანმანათლებლო ელემენტები დაემატა. ვფიქრობ, ცალ-ცალკე არცერთი არ ამართლებს. პირველი ქმნის ცრუ, არარეალისტურ მოლოდინებს, მეორე კი ვერ ხდება საყოველთაო. ამავე დროს საზოგადოებაში უფრო მეტ კითხვის ნიშნებს აჩენს, სწორად მივდივართ თუ არა, რამე ხომ არ შეიცვალა. ამიტომ აუცილებელია სწორი ბალანსი და ორივე ერთად.

ნიკო ნერგაძე

ვიცე-პრემიერმა EBRD-ის საინვესტიციო სესიაზე სამომავლო გეგმებზე ისაუბრა

„საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოწვევები გვაქვს. ჩვენზე კვლავაც ზემოქმედებას ახდენს ის კრიზისი, რაც მიმდინარეობს უკრაინაში. ასევე ნავთობის ფასების შემცირებამ მოახდინა ზეგავლენა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ იმას, თუ რამდენად ეფექტურია, როდესაც პოლიტიკური გადაწყვეტილებები და რეაგირება არის სწორი და ქმედითი“ – ამის შესახებ საქართველოს ვიცე-პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა EBRD-ის საინვესტიციო სესიაზე განაცხადა.

მინისტრმა კიდევ ერთხელ აღნიშნა ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების განსაკუთრებული მნიშვნელობა და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამ ხელშეკრულებას მოაქვს ახალი შესაძლებლობები არა მხოლოდ ჩვენთვის, როგორც ქვეყნისთვის, არამედ ასევე ინვესტორებისთვის და პარტნიორებისთვის. მისი თქმით, 500 მილიონიანი ბაზარი ხდება ღია და მისაწვდომი სხვადასხვა საწარმოებისთვის, რომლებიც დაინტერესებულები არიან ევროპის ბაზარზე პროდუქტებისა და სერვისების ექსპორტით.

„ჩვენ გვაქვს შემუშავებული 3 წლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის ძირითადი მიზანია ადგილობრივი კანონმდებლობის და ინსტიტუტების მაქსიმალური ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან. ეს დაგვეხმარება ქვეყნის მოდერნიზაციაში და შესაბამისად, ქვეყანა გახდება ბევრად უფრო საინტერესო სხვადასხვა ინვესტორებისთვის. ეს გაზრდის საინვესტიციო კლიმატის განჭვრეტადობას“ – აღნიშნა მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილმა სესიაზე გამოსვლისას ასევე ისაუბრა იმ რეგულაციებზე, რომელიც საშუალებას მისცემს ქართულ კომპანიებს, უფრო ეფექტურად შევიდნენ ევროპულ ბაზარზე. „ჩვენ შემოგვაქვს ხარისხის ინფრასტრუქტურის ახალი სტანდარტები და ამ მიზნით ვამუშავებთ ახალ კანონმდებლობას. მიუხედავად მთელი რიგი გამოწვევებისა, თუ შევხედავთ გარკვეულ სტატისტიკას, არც ისე ცუდია. მშპ-ს რეალური ზრდა 2014 წელს იყო 4,8 პროცენტი, 2014 წლის ბოლოს იყო გარკვეული შენელება და ექსპორტი შემცირდა, ასევე გარკვეულწილად შემცირდა ფულადი ტრანსფერები საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისგან, მაგრამ ამ წლის დასაწყისში, მიუხედავად ექსპორტის მოცულობების შემცირებისა რუსეთსა და უკრაინაში, ჩვენ მაინც გვქონდა საკმაოდ მნიშვნელოვანი 21 პროცენტიანი ექსპორტის ზრდა ევროპის ქვეყნებში. ეს არის ძალიან კარგი მაჩვენებელი და თანმიმდევრულად და მდგრადად უნდა ვიმუშაოთ ამ მიმართულებით“ – განაცხადა ვიცე-პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილი სესიის მონაწილეებს საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიის შესახებაც ესაუბრა „ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი სტრატეგია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მთელ რიგ სფეროებზე, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებენ – ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ფინანსების მისაწვდომობა, ადგილობრივი კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობა, ადამიანური კაპიტალის განვითარება, ამ ყველაფრის წინაპირობა არის მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ასევე ეფექტური სახელმწიფო ადმინისტრირება და მმართველობა. სწორედ ამ ყველაფერზე წარვმართავთ ჩვენს ძალისხმევას“ – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

გიორგი კვირიკაშვილი EBRD-ის ფორუმის ფარგლებში შვეიცარიის დელეგაციას შეხვდა

საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ ისაუბრა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა თავის შვეიცარელ კოლეგასთან, იოჰან შნაიდერ-ამანთან.

საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის ურთიერთობები ინტენსიურად ვითარდება. საქართველო და შვეიცარიის კონფედერაცია აქტიურად თანამშრომლობენ როგორც ორმხრივ ფორმატში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში. მიმდინარეობს თანამშრომლობა ტექნიკურ, ფინანსურ და ჰუმანიტარულ სფეროებში.

საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის ხელმოწერილია 10-მდე შეთანხმება, რომლებიც მოიცავს თანამშრომლობას ისეთ სფეროებში, როგორიცაა ვაჭრობა და ეკონომიკა, ტექნიკური, ფინანსური და ჰუმანიტარული საკითხები, რეადმისია, საჰაერო მიმოსვლა, შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება და ასე შემდეგ.

პერსპექტიულ მიმართულებებად განიხილება ტურიზმი და სოფლის მეურნეობა. ფუნქციონირებს საქართველო-შვეიცარიის ბიზნეს-ასოციაცია და პერიოდულად იმართება ერთობლივი ბიზნეს-ფორუმები. აქტიურად ვითარდება თანამშრომლობა საქართველოს რეგიონებსა და შვეიცარიის კანტონებს შორის.

„შვეიცარიას ძალიან ბევრი შეუძლია გააკეთოს საქართველოსთვის და ჩვენ გვაქვს ძალიან დადებითი და კარგი ურთიერთობები. ვისაუბრეთ ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომ განვითარებაზე. განსაკუთრებით დიდი ინტერესია სოფლის, რეგიონების განვითარების მიმართულებით. მათ გამოთქვეს ძალიან მნიშვნელოვანი დახმარება ამ მიმართლებით. სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით, სასოფლო სამეურნეო წარმოების ევროპულ სტანდარტებამდე აყვანის კუთხით. შემოგვთავაზეს დახმარება იმ სპეციალური პროგრამების მიმართულების, რაც ეხება მთიანი რეგიონების განვითარებას, მთაში და სოფლად მოსახლეობის დამაგრების ინიციატივებს. ძალიან კარგი შეხვედრა იყო, ძალიან ბევრი ინფორმაცია მივიღეთ და უახლოეს პერიოდში შედგება უკვე სამინისტროებს შორის გამოცდილების გაზიარება ყველა ამ მიმართულებით. ჩვენ გვყავს ძალიან კარგი ინვესტორები შვეიცარიიდან და გამოითქვა ასევე ინტერესი ამ ინვესტიციების გაფართოებაზე. მაგალითად, შვეიცარიელი ინვესტორი რაჭაში, რომელიც მცირე მეურნეობებთან ერთად ავითარებს კოოპერაციულ, სასოფლო-სამეურნეო მოდელს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ითვალისწინებს ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას ამ ბიზნესში“ – აღნიშნა მინისტრმა.

ვიცე-პრემიერმა ორ ქვეყანას შორის ტურიზმის განვითარებაზეც ისაუბრა. „ტურიზმი არის შვეიცარიასა და საქართველოს შორის ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი მიმართულება. ჩვენ ძალიან ბევრი ვისაუბრეთ მთიანი რეგიონების, სამთო-სათხილამურო კურორტების განვითარების თემაზე. აღმოჩნდა, რომ ბატონი იოჰან შნაიდერ-ამანი თავად არის საკმაოდ კონკრეტულად ინფორმირებული და დაინტერესებული ამ მიმართულებით. ჩვენ ამ კუთხით შვეიცარიასთან ძალიან კარგი თანამშრომლობა გვექნება,“ – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

შვეიცარია არის ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრი სახელმწიფო. 2012 წლის 28 ივნისს, ქ. გშტაადში ხელი მოეწერა თანამშრომლობის შესახებ ერთობლივ დეკლარაციას EFTA-ს წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის.

2014 წლის 29 სექტემბერს ქ. ჟენევაში გაიმართა საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას შორის თანამშრომლობის ერთობლივი კომიტეტის პირველი შეხვედრა. აღნიშნულ შეხვედრაზე ქართული მხარის მიერ შეთავაზებული იყო თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებების დაწყება. ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის მიერ 2014 წლის 17 ნოემბერს ჟენევაში გამართულ EFTA-ს მინისტერიალზე მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება საქართველოსთან შესაბამისი მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე.

2015 წლის 4 თებერვალს თბილისში გამართულ საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას შორის თანამშრომლობის ერთობლივი კომიტეტის მეორე სხდომის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების პირველი რაუნდი გაიმართება 2015 წლის სექტემბრის დასაწყისში, ივნისის თვისთვის კი გაიცვლება შეთანხმების ტექსტი. მოლაპარაკებები ოთხ რაუნდად წარიმართება და დაახლოებით ერთი წლის ვადაში დასრულდება.

2014 წლის მონაცემებით, საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 75.22 მლნ. აშშ დოლარი, რაც 22%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ექსპორტი გაიზარდა 348%-ით და 14.64 მლნ. აშშ შეადგინა. იმპორტი გაიზარდა 4%-ით და 60.58 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

გიორგი კვირიკაშვილი EBRD-ის ფორუმის ფარგლებში თავის იტალიელ კოლეგას შეხვდა

საქართველოსა და იტალიას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ ისაუბრა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა თავის იტალიელ კოლეგასთან პიერ კარლო პადოანთან შეხვედრაზე. EBRD-ის ფორუმის ფარგლებში თბილისში ჩამოსულ იტალიის დელეგაციას ქვეყნის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი ხელმძღვანელობს.

„პიერ კარლო პადოანი, იტალიის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი არის ძალიან გამოცდილი ადამიანი, ძალიან ბევრი საერთაშორისო ინსტიტუტის ბორდშია ნამუშევარი და აქვს უდიდესი გამოცდილება. გვქონდა ძალიან საინტერესო საუბარი სამომავლო ურთიერთობებზე. ჩვენ გვაქვს 300 მილიონი დოლარის სავაჭრო ბრუნვა წელიწადში, ასევე გვაქვს ძალიან ბევრი საინვესტიციო ურთიერთობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იტალიასთან ურთიერთობა ინფრასტრუქტურის მიმართულებით“ – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მინისტრის თქმით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად მზადდება ძალიან მნიშვნელოვანი საინვესტიციო პორტფელი მომავალი წლების ინვესტიციებისთვის. „ეს არის 3 მილიარდის ოდენობის საინვესტიციო პორტფელი და ამ მიმართულებით თანამშრომლობა გვექნება იტალიურ კომპანიებთან, ვინაიდან იტალიას აქვს მთიანი რეგიონების დაგეგმარების განსაკუთრებით კარგი გამოცდილება. ამ მიმართულებით იტალიასთან გვექნება ძალიან სასარგებლო და ნაყოფიერი თანამშრომლობა,“ – აღნიშნა ვიცე-პრემიერმა.

„ის ფაქტი, რომ EBRD-ის ყოველწლიური სამიტი საქართველოში ტარდება, მოწმობს იმაზე, თუ რამხელა პოტენციალი გააჩნია ამ ქვეყანას, როგორც ევროპული ოჯახის ნაწილს. ჩვენ აქ ვართ იმისთვის, რომ მხარი დავუჭიროთ საქართველოს შემდგომ პროგრესს ევროპაში და ასევე, კონკრეტულად ჩემი ქვეყნის, იტალიის გადმოსახედიდან განვამტკიცოთ ის ძალიან კარგი ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც ჩვენს ქვეყნებს შორის არსებობს. დიახ, ვფიქრობ, რომ იტალიური კომპანიებისთვის საქართველოში არის ძალიან კარგი შესაძლებლობა ინვესტიციების განსახორციელებლად. ექსპორტის ხელშეწყობის, ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის კუთხით კარგად შეიძლება ვითანამშრომლოთ საქართველოსთან“ – განაცხადა იტალიის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრმა.

დღეისათვის საქართველოსა და იტალიას შორის თანამშრომლობა აქტიურად მიმდინარეობს ვაჭრობის, სამოქალაქო ავიაციის, ტრანსპორტის, ტურიზმისა და ეკონომიკის სხვა მნიშვნელოვან სფეროებში. იზრდება იტალიასთან სავაჭრო ბრუნვის, ასევე ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლები. 2015 წლის 4 თვის მონაცემებით, გაზრდილია იტალიიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობაც. არსებული მონაცემებით, იტალიიდან საქართველოში შემოსული ინვესტიციების ოდენობა, ამ ეტაპისთვის, 263.18 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს.

ბავშვობა არც თუ ისე ვარდისფერ ფერებში მაგონდება

დღეს, საქართველოში სამწუხაროდ მრავალი ქალია ძალადობის მსხვერპლი, რის შედეგადაც შელახულია მათი მორალური და ფიზიკური უფლებები. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ მათ უმრავლესობას არ შესწევს ძალა იმისა, გაუმკლავდნენ მოძალადეს. მათ უმოქმედობას სხვადასხვა მიზეზები აქვს...

გთავაზობთ ინტერვიუს სტუდენტ გოგონასთან, რომელიც ბავშვობაში არაჯანსაღ ოჯახში იზრდებოდა, რამაც მასზე ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინა.

– ეკა, მოდით ბავშვობიდან დავიწყოთ ჩვენი საუბარი.

– ბავშვობა არც თუ ისე ვარდისფერ ფერებში მაგონდება. დავიბადე ოჯახში, სადაც ჩემი მშობლები ძალიან წვრილმან რაღაცეებზე მუდმივად კინკლაობდნენ. მამა-ჩემს არასოდეს მოწონდა დედა-ჩემის გაკეთებული საქმე. არადა დედაჩემი არაჩვეულებრივი დიასახლისი იყო. სახლი ყოველთვის წესრიგში ჰქონდა, უგემრიელეს კერძებს ამზადებდა, მაგრამ მამა რაღაც მიზეზს მაინც მოუძებნიდა ხოლმე. როდესაც ბოლოს და ბოლოს სახლში სიმშვიდე დაისადგურებდა, რაც ძალიან იშვიათად ხდებოდა, კვლავ ყველაფერი თავიდან იწყებოდა. ერთ დღეს, როცა სკოლიდან დავბრუნდი, დედა სამზარეულოში ფუსფუსებდა, თან ცრემლებს იწმენდდა, ცდილობდა, რომ არაფერი შემემჩნია. ცოტა ხნით ჩემს ოთახში შევედი, მალევე გამოვბრუნდი, სამზარეულოში შევვარდი, მეც ვტიროდი, დედამ მაგრად ჩამიკრა გულში. დედამ მითხრა, რომ მამა სახლიდან წავიდა.

– შემდეგ თუ გეხმიანებოდათ ან თუ გეხმარებოდათ.

– არა, მას შემდეგ აღარც გვინახავს, დღემდე არ ვიცით სად არის. რამდენიმე წელი სიმშვიდეში ვცხოვრობდით. მიხაროდა, რომ სახლში მოსულს მოძალადე, ლოთი მამა არ დამხვდებოდა, მაგრამ ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთ „მშვენიერ“ დღეს ახლობელი გვესტუმრა, მითხრა, რომ დედასთან მარტო სურდა საუბარი. მე მეგობართან წავედი, როცა შინ დავბრუნდი, შევატყვე, რომ დედა რაღაცას ძალიან განიცდიდა. არ მიკითხავს რაზე ესაუბრა ჩვენი ოჯახის „კეთილისმსურველი.“ ერთი კვირის შემდეგ იგი კვლავ გვეწვია. მისი სისტემატური სტუმრობა ჩვენთან თითქმის ორი თვე გაგრძელდა და ერთხელ როცა სკოლიდან დავბრუნდი, მითხრა, რომ ჩემთან სურდა საუბარი. მან ძალიან ლამაზად ამიხსნა, რომ მე მალე სკოლას დავამთავრებდი, გავთხოვდებოდი, დედა კი მარტო დარჩებოდა. ამიტომ აუცილებელი იყო მისი გათხოვება. საქმროს ვინაობაც გამიმხილა.

– დედა გათხოვებაზე დათანხმდა?

– დიახ, ეგონა ამჯერად გაუმართლებდა. ერთი სიტყვით, თავი რომ არ შეგაწყინოთ დედაჩემი მეორედ გათხოვდა. მამინაცვალს კარგი შემოსავალი ჰქონდა. ეკონომიურად ამოვისუნთქეთ. სამი თვის განმავლობაში კარგად ვიყავით, მაგრამ მერე თანდათან დაიძაბა ჩვენი ურთიერთობა. ხშირად ნასვამი ბრუნდებოდა სახლში, როგორც მერე გაირკვა ძალიან ბევრი ვალები ჰქონდა, რომლის გადახდა უჭირდა. ვიღაცეები აკითხავდნენ, კამათობდნენ, იგინებოდნენ, ერთმანეთს ემუქრებოდნენ. შემდეგ კამათი დედაჩემთან გრძელდებოდა, თითქმის ყოველ დღე სვამდა, ძალიან გვინდოდა, წასულიყო ჩვენი სახლიდან, მაგრამ ის არსად წასვლას არ ფიქრობდა. ურთიერთობები ჩვენსა და მას შორის უფრო და უფრო დაიძაბა. მოთმინება მაშინ აივსო, როცა დედაჩემი ერთ დღეს ნაცემი დამხვდა. მინდოდა პოლიციაში გამეცხადებია მომხდარის შესახებ, მაგრამ დედამ არ გამიშვა. მას შემდეგ მამინაცვალი იშვიათად მოდიოდა, ხოლო როცა გამოჩნდებოდა, აუცილებლად მთვრალ მდგომარეობაში იყო და კვლავ აყალ-მაყალს ატეხდა ხოლმე. რამდენიმე თვის გასვლის შემდეგ ტელევიზიით შევიტყვეთ, რომ საგურამოს მიმართულებით (სადაც მას აგარაკი ჰქონდა) მოხდა ავარია და მძღოლი ადგილზევე გარდაიცვალა. სწორედ ეს მძღოლი ჩემი მამინაცვალი გახლდათ.

დედაჩემის ჯანმრთელობის მდგომარეობა ამდენი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად თანდათან გაუარესდა. ექიმთან წავიყვანე, ტუბერკულოზი აღმოაჩნდა მძიმე ფორმებში. ექიმმა მირჩია აბასთუმანში წამეყვანა. დედა უარზე იყო, თან იმ წელს უნივერსიტეტში ვაბარებდი და არ უნდოდა მარტო ვყოფილიყავი. მდგომარეობა კიდევ უფრო დაუმძიმდა, განუწყვეტლივ ახველებდა ვეღარც ლაპარაკობდა. ჩემი მეგობრების დახმარებით მოვახერხე დედაჩემის აბასთუმანში წაყვანა. იმ წელს უნივერსიტეტში ჩავაბარე. დედაჩემს ტელეფონით შევატყობინე, რომ სტუდენტი გავხდი, ძალიან გაიხარა, მალე ჩამოდიო მითხრა, შევპირდი, რომ ორ დღეში აუცილებლად ვნახავდი. მეორე დღეს დედაჩემი აბასთუმანში გარდაიცვალა.

...მე ახლა მეორე კურსის სტუდენტი ვარ უნივერსიტეტში. ძალიან კმაყოფილი ვარ სტუდენტური ცხოვრებით. არაჩვეულებრივი მეგობრები მყავს. ჩემს ცხოვრებაში არის ერთი ყმაწვილი, რომელსაც სერიოზულად მოვწონვარ. ცოლობაც მთხოვა, მაგრამ მე ისეთი შეშინებული ვარ მამაკაცის არსებობით ოჯახში, რომ სასწრაფოდ სხვა თემაზე გადამაქვს ხოლმე საუბარი. რა ვქნა, მეშინია ოჯახის შექმნის.

– ეკა, მოდით ისევ წარსულში დავბრუნდეთ, დედას არასოდეს უფიქრია, რომ მის პრობლემაში ვინმე ჩაერია?

– არა, რატომღაც ფიქრობდა, რომ ამ პრობლემას თვითონვე მოაგვარებდა, მაგრამ სამწუხაროდ ვერ შეძლო...

– ეკა გისურვებთ, ბედნიერი ოჯახი შექმნა და პრობლემები არ გქონოდეს შენს მეორე ნახევართან, მაგრამ ალბათ ხარ ინფორმირებული იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც ეხმარებიან ქალბატონებს დაძლიონ სხვადასხვა სახის ძალადობები და იცხოვრონ ჯანსაღი ცხოვრების წესით.

– დიახ, ამჟამად ვიცი, რომ ასეთი ორგანიზაციები არსებობს. მადლობა თქვენ, რომ დაინტერესდით ჩემი პრობლემით და იმედი მაქვს წარმატებით ვითანამშრომლებთ.

მასალა მომზადდა: ქალები რეგიონის განვითარებისათვის „ვსაუბრობთ და ვმოქმედებთ გენდერული ძალადობის დასაძლევად“ – პროექტის ფარგლებში.

ქეთევან კუკულავა

სიმღერა მპვიდობას და კეთილდღეობას მოითხოვს...

ნანა კალანდაძე

– როგორი ბავშვობა გქონდათ?

– თითქოს ჩვეულებრივი, თუმცა მაინცდამაინც ორდინალური შემთხვევა არა მგონია იყოს, როცა 4 წლის ბავშვი უკრავს, რა თქმა უნდა, ადვილ, თუმცა კლასიკურ ნაწარმოებებს. მახსოვს, ტელევიზიაში მიმიწვიეს. ორი ნაწარმოები უნდა დამეკრა. მაშინ ფუნიკულორზე იყო ტელესტუდია. ცოტა რამ შემორჩა ჩემს მეხსიერებას, კერძოდ, მეცვა დედას შეკერილი ულამაზესი ჟოლოსფერი კაბა... პიანინოსთან მჯდომს ფეხები იატაკამდე არ მწვდებოდა და რაღაც ყუთი შემიდგეს ფეხქვეშ... სტუდიაში კედელთან იდგა ჩვეულებრივი პიანინო და არა როიალი... ოპერატორს ეკეთა უზარმაზარი ყურსასმენები... ასე, აქა იქ... უფრო მკაფიოდ მახსოვს წამყვანი ლამაზი ქალი, ძალიან ლამაზი მწვანე თვალებით და ლამაზად დავარცხნილი თმით, რომელიც, როგორც მრავალი წლის შემდეგ გავიგე, ქალბატონი ლია მიქაძე ყოფილა.

მე, რასაკვირველია „ერთადერთი და განუმეორებელი“ არ ვყოფილვარ, მაგრამ დამეთანხმებით, არც ისე ხშირია, როცა მოგვიანებით, მუსიკალურ სკოლაში მისაღებად შენგან ელიან კარგ სმენას, რითმის შეგრძნებას, რაღაც მუსიკალური უნარების გამოვლენას და შენ საკონცერტო პროგრამით მიდიხარ. ქართული მუსიკალური პედაგოგიკის ნამდვილი მეტრები მისმენდნენ. დაკვრა რომ დავამთავრე, ხელები გამისინჯეს და მკითხეს ვინაობა პედაგოგისა, რომელმაც მომამზადებინა პროგრამა. ქალბატონი თამარ დაფქვიაშვილის სახელმა შთაბეჭდილება მოახდინა.

იმ დროს ნიჭიერთა ათწლედის დირექტორი გახლდათ ბატონი გივი გოგი სვანიძე. მისი და კომისიის გადაწყვეტილებით პირდაპირ მეორე კლასში მიმიღეს. ჩავირიცხე პროფესორ თამარ ჩარექიშვილის კლასში, რომლის ერთგულიც დავრჩი მთელი სამუსიკო სასწავლო გზის მანძილზე.

ბავშვობაო, მეკითხებით, რა თქმა უნდა, სხვა ბავშვებისგან განსხვავებით, უფრო დატვირთული ვიყავი, მოკლებული მრავალ გართობას; სადაც არ უნდა ვყოფილიყავით დასასვენებლად, დედა სულ ინსტრუმენტის ძებნაში იყო, დღეში ორი საათი მაინც რომ დამეკრა. ასე იყო ჩემს საყვარელ ჩოხატაურშიც: მეზობლებთან და ნათესავებთან მივდიოდი ხოლმე სამეცადინოდ, თუმცა, ბავშვი ბავშვია, ერთი სული მქონდა მიმეფუჩეჩებინა და მერე მეთამაშა ჩემს ტოლებთან. ყველგან ღია გულით და ღია კარით მხვდებოდნენ. სათქმელ-მოსაგონარის მეტი რა არის, რომელი ინტერვიუ დაიტევს... ნეტავ იმ დროს...

– კონსერვატორიაში უნდა ჩაგებარებინათ, მაგრამ?..

– მაგრამ... სულელური შემთხვევის გამო ხელი დავიზიანე დიდი ხნით, რამაც ჩემს პიანისტობას შეუშალა ხელი. დიპლომი ფილოლოგის მაქვს და ჩემი სპეციალობით მთელი ცხოვრება ვმუშაობდი. სახელმწიფო უნივერსიტეტში (დღეს უბრალოდ ჯავახიშვილს უწოდებენ და, ჩემი აზრით, „საუნივერსიტეტოდ“ არ ჟღერს) წარმატებულმა სტუდენტობამ ბევრწილად განაპირობა ის, რომ ჯერ კიდევ სწავლის დასრულებამდე ვმუშაობდი სერიოზულ თანამდებობაზე. იყო ასეთი „სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის თარგმანის კოლეგია“, სადაც 27 წელი ვიმუშავე და უზარმაზარი პროფესიული და ცხოვრებისეული გამოცდილება შევიძინე. ამაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩვენს დირექტორს, აწ განსვენებულ ზურაბ მიქელაძეს. იგი უნივერსიტეტის მათემატიკური ლოგიკის კათედრიდან მოვიდა ჩვენთან. უაღრესად საინტერესო პიროვნება გახლდათ. მასთან ურთიერთობა ცხოვრების დიდი გაკვეთილები იყო. რაც დრო გადის, ამას უფრო ვგრძნობთ თითოეული ჩვენთაგანი, ვისაც მის გვერდით მუშაობა მოგვიწია. ის ჩვენი უფროსიც იყო და უფროსი მეგობარიც. მუსიკალური განათლებაც ჰქონდა, თავად უკრავდა შესანიშნავად, და, რა გასაკვირია, რომ ჩემი სიმღერების მისეული შეფასება ძალიან მაინტერესებდა. როცა ტელევიზიით პირველად გაჟღერდა ჩემი სიმღერა, ერთი სული მქონდა მივსულიყავი სამსახურში და გამეგო ჩემი თანამშრომლების აზრი, განსაკუთრებით ბატონი ზურაბის შეხედულება მაინტერესებდა, რადგანაც ვიცოდი, პირში მეტყოდა ყველაფერს, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე. მახსოვს, კიბეზე ავდიოდი, ფანჯარა გამოაღო (ყოველთვის ყველაზე ადრე მოდიოდა სამსახურში და სამუშაო პირობებს გვიმზადებდა) და მომაძახა: „მაგ პატარა თავში ასეთ ჰარმონიებს როგორ ატევო“ და მიხურა ფანჯარა; მადლობის თქმაც ვერ მოვასწარი. ამ ორიოდე სიტყვით ბევრი რამ მითხრა და ძალიან გახარებული შევუდექი ჩემს მთარგმნელობით-ფილოლოგიურ სამსახურს. მას შემდეგ სულ კითხვებით მავსებდა და ჩემს „პატარა თავში“ გაჩენილი ყოველი ახალი ნოტი აინტერესებდა. კი ბატონო, ასეთი იყო ის თაობა, განსაკუთრებით ასეთი ინტელიგენტი და განათლებული ადამიანები.

– სიმღერების წერა როდის დაიწყეთ?

– ხშირად ვფიქრობ ამაზე და მივხვდი, რომ ზუსტი პასუხი არ მაქვს. სკოლაში რომ დავწერე პირველი

სიმღერა, თუ იმას სიმღერა ერქვა, მახსოვს. ლენინის საიუბილეოდ (რა ვქნა, საბჭოთა თაობიდან მოვდივარ) ყველგან ათასნაირი კონკურსი და ღონისძიება ტარდებოდა; ჩვენი სკოლაც არ უნდა ჩამორჩენილიყო. ჰოდა, ამ „დიად“ თარიღთან დაკავშირებით მუსიკალური ნაწარმოებების შექმნა დაგვავალეს, ვისაც როგორ შეგვეძლო. მე ილია ჭავჭავაძის „პოეტზე“ დავწერე სიმღერა...ჩემმა არაჩვეულებრივმა მასწავლებლებმა უკომენტარო ღიმილით მიიღეს ჩემი ნაშრომი.

ჩემი უფრო სერიოზული ნამუშევრები მეგობრების წრეში სრულდებოდა, მაგრამ სანამ ერთ-ერთმა მათგანმა არ „გამამხილა“, უმრავლესობამ არ იცოდა, რომ ჩემს „შედევრებს“ მღეროდნენ ხოლმე. დიდ და სერიოზულ სცენაზე (თბილისის ოპერის თეატრში) ჩემი სიმღერები ტრიო „თბილისის“ მიერ შესრულდა. აქვე მინდა დიდი სინანულით მოვიგონო მათი არაჩვეულებრივი მეორე ხმა ნუგზარ აფხაიძე. ის ძალიან დიდი დანაკლისია როგორც ქართული ესტრადის, ასევე, თქვენ წარმოიდგინეთ, საოპერო ხელოვნებისთვისაც. დიახ, კლასიკური ვოკალის არაერთი მესვეური ხედავდა მასში შესანიშნავ საოპერო მომავალს. რას ვიზამთ, ასე ინება განგებამ... ღმერთმა კარგად ამყოფოს ყველა, ვინც ჩემს სიმღერებს ასრულებს. ხშირად ვამბობ და ვიტყვი, რომ მადლობელი ვარ ბედის, რადგანაც მიმუშავია და ვმუშაობ ყველა იმ მომღერალთან და ანსამბლთან, ვისაც სიმღერა მოეკითხება ჩვენს ქვეყანაში.

– კერძოდ ვინ ასრულებს თქვენს სიმღერებს?

– ხომ გითხარით, გათამამებული ვარ ისეთი შემსრულებლებით, როგორებიც არიან: ნატო მეტონიძე, ნუკრი კაპანაძე, ეკა მამალაძე, ლიზა ბაგრატიონი, თამარ ჭოხონელიძე, ირმა სოხაძე, თამთა ცქვიტავა, ნეკა სებისკვერაძე, ლაშა ღლონტი, აჩიკო ნიჟარაძე, მერაბ ვარდოსანიძე...ანსამბლები „თბილისი“, „ქართული ხმები“, „შვიდკაცა“, „თეატრალური“ კვარტეტი“, ტრიოები „პალიტრა“, „ჰარმონია“...ეს არასრული სიაა. განსაკუთრებით საინტერესოა მუშაობა ახალგაზრდა თაობის შემსრულებლებთან. მინდა გამოვყო ნატალია ქუთათელაძე, რომელიც, მოგეხსენებათ, უდიდესი ნანი ბრეგვაძის ოჯახის წარმომადგენელია. ნამდვილად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ იგი მისი გენიალური ბებიის და არაჩვეულებრივი დედის გვერდით ჩამოყალიბდა მომღერლად, მაგრამ მისი თვითმყოფადი ნიჭის დამსახურებაა, რომ ის ძალიან კარგად გრძნობს თავს როგორც კლასიკურ შემსრულებლად, ასევე ესტრადასა და ჯაზში. მოხარული ვარ, რომ ჩემი სიმღერები ჯერ კიდევ პაწაწინა ასაკში შეასრულეს მარიამ როინიშვილმა, სოფო ნიჟარაძემ. მინდა უსაზღვრო წარმატებები ვუსურვო ყველა ახალგაზრდას ჩვენი ქვეყნის სასახელოდ აქაც და უცხოეთშიც.

– სიტყვამ მოიტანა და რას გვეტყვით უცხოეთთან თქვენს ურთიერთობაზე?

– უცხოეთთან და საქართველოში უცხოელებთან ურთიერთობა ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების დიდი ნაწილია. 1993 წლიდან აქტიური ურთიერთობა მაქვს ჰოლანდიასთან. არაერთხელ ვიყავი მიწვეული ეგრეთ წოდებულ მასტერკლასების ჩასატარებლად. თუმცა მე მთლად მასტერკლასს (ისინი ასე უწოდებდნენ) ვერ დავარქმევდი ჩემს საქმიანობას. ეს უფრო ქართული კულტურის, კერძოდ ჩვენი ტრადიციული სასიმღერო მემკვიდრეობის გაცნობა იყო. ვიდეო და აუდიო ჩანაწერების დახმარებით ვსაუბრობდი საქართველოზე, მის ტრადიციებზე, მუსიკალურ საგანძურზე და ასე შემდეგ, ზოგადად, წარმოდგენის შესაქმნელად ქვეყანაზე, რომელზეც, მეტწილად არაფერი იცოდნენ, ეს საკმარისზე მეტი იყო. მუსიკალურ წრეებში ჩემს საქმიანობას მეტი დატვირთვა ჰქონდა, რადგანაც ვხვდებოდი გუნდებს და ვასწავლიდი ქართულ სიმღერებს, მათ შორის ჩემს სიმღერებსაც. დღეს მრავალი ჰოლანდიური გუნდის პროგრამაშია შესული ჩემი 8 სიმღერა და ძალიან მიხარია, რომ კვლავაც მიგზავნიან მოთხოვნებს ახალი სიმღერების მიწოდების თაობაზე. ჰოლანდიელებისთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო ანსამბლ „თბილისის“ საგასტროლო ტურები. ჩემი იქაური მეგობრების დიდი ძალისხმევით მოვახერხე ამ ტურების ორგანიზება იმ ავადსახსენებელ 90-იანებში, როცა, პრინციპში, არავის ემღერებოდა, თუმცა, დამეთანხმებით, სწორედ ასეთ დროს უცხოეთისთვის ჩვენი ქვეყნის კულტურული კუთხით შეხსენება-გაცნობა ძალიან დროული და საჭირო გახლდათ.

ჰოლანდიასთან ჩემი განსაკუთრებულად ახლომეგობრულმა ურთიერთობებმა მოგვიანებით საქართველოშიც იჩინეს თავი. აქ ჩამოსული ჰოლანდიელები ჩემი მეგობრების რეკომენდაციით ხშირად მიკავშირდებოდნენ. მალე გამომიჩნდნენ მოსწავლეებიც, რომელთაც აინტერესებდათ ქართული სიმღერების შესწავლა.

ჩვენს ქვეყანაში თანდათან იზრდებოდა დიპლომატიური წრეები. დღეს, უამრავი უცხოელი (სხვათა შორის, ნებისმიერი ასაკის) მოსწავლე მყავს. ისინი მღერიან ქართულ და უცხოენოვან სიმღერებს და პარალელურად ეცნობიან საქართველოს კულტურულ ტრადიციებს. ამაზე შეძლებისდაგვარად ვზრუნავ და ვიმედოვნებ, უკვალოდ არ ჩაივლის; ყოველ შემთხვევაში, ახლა რომ პატარები არიან, ამათ თაობას ხომ ემახსოვრებათ, ოდესღაც სად ცხოვრობდნენ; რომ ეს არა რუსეთი, არამედ საქართველოა თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით, თავისი ხალხით, ტრადიციებითა და კულტურით.

– უცხოეთიდან საქართველოს დავუბრუნდეთ. ცოტა ხნის წინ ჩოხატაური ახსენეთ. უფრო დაწვრილებით ხომ არ გვიამბობთ თქვენს ურთიერთობაზე ამ კუთხესთან?

– რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით. გურიაზე, კერძოდ ჩოხატაურზე საუბარი არ მომბეზრდება. აქ ჩემი მამულია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და, მიუხედავად იმისა, რომ ჩოხატაურში არც დავბადებულვარ, არც სკოლაში მივლია და არც მიცხოვრია, მაინც განსაკუთრებულია ეს ადგილი ჩემთვის. სიზმრად ძალიან ხშირად ვხედავ ჩვენს სახლს, ხმაც კი მესმის ხოლმე რკინის კიბის, ცისფერი ჭიშკრის, უბრალო ხის საფოსტო ყუთის, რომლის გაჭრიალება ყოველთვის მახარებდა, რადგანაც შეიძლება ჩემი მეგობრების წერილი ყოფილიყო...კი, ბატონო, ერთი კვირითაც რომ ჩამოვსულიყავი, მინიმუმ 2 წერილს ვღებულობდი, სად იყო მაშინ ინტერნეტი და მობილური... ტელეფონითაც კომუტატორით უნდა გესარგებლა. ყოველთვის ცუდად ისმოდა ხოლმე და მოსაუბრეები გაჰყვიროდნენ, რომ ხმა მიეწვდინათ ყურმილის მეორე მხარეს. მამიდაჩემი ისე დაჩვეული იყო ასეთ „საუბარს“, რომ მოგვიანებით,

როცა თბილისში ჩვეულებრივ ტელეფონზე საუბრობდა, ძალაუნებურად ყვიროდა. რას იზამ, ჩვეულება... მამიდა ვახსენე, ჩემი საყვარელი მამიდა, რომელიც დიდხანს შემორჩა ჩოხატაურში, შეინახა მამა-პაპისეული მიწა და მის ყველა ძმისშვილ-დისშვილს ჩაგვინერგა ამ კუთხის და სახლ-კარის უსაზღვრო სიყვარული. ელენა კალანდაძეს, ანუ „ელენა მასწავლებელს“ აქ იცნობდა ყველა, ვისაც პირველი საშუალო სკოლის დაწყებითი სწავლება ჰქონდა გავლილი, ანუ პრაქტიკულად ყველა ჩოხატაურელი. სხვათა შორის, უფრო ახალგაზრდა თაობის საყურადღებოდ, მამიდაჩემს უამრავი დამსახურების ჯილდო ჰქონდა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში დაწყებითი სკოლების დაარსებისთვის. საამაყო სხვა ბიძა-მამიდებიც მყავდა, მაგრამ თავს არ შეგაწყენთ. ჩოხატაურისადმი სიყვარულის მთავარი სტიმული ჩემთვის იყო მამაჩემი, რომელსაც დროთა უკუღმართობის გამო თითქმის 17 წელი მოუწია გადასახლებაში ყოფნა ციმბირსა და ყაზახეთში. იქიდან დაბრუნებულმა კი, მიუხედავად იმისა, რომ თბილისში ცხოვრობდა, ჩოხატაურში, ჩვენი ოჯახის ძველ ნასახლარზე, ააშენა გურული ოდა და ზაფხულს არ გააცდენდა, რომ არ ჩავეყვანეთ. ზოგჯერ ვხუმრობ, მამისეული კარ-მიდამო მაქვს ჩოხატაურის „რუსთაველზე“ მეთქი. ყველაფერი, რომ იტყვიან, ერთი ხელის გაწვდენაზეა. ოდესღაც მშვიდობის ქუჩას ახლა ჩვენი სათაყვანო ნოდარ დუმბაძის სახელი ჰქვია.

ახლა იმ სახლის ადგილას სხვა ოჯახი ცხოვრობს, სხვა სახლში. იქვე კი ჩემი მიწაა თავისი პატარა „ქუხნა სახლით“. ბედნიერი ვარ, რომ დიდი ხნის უნახავი შარშან ჩავედი და მოვინახულე იქაურობა. რა თქმა უნდა, აქ აღარც ძველი სასტუმროა, აღარც რაიკომი, აღარც აბანო... ძველი ხიდიც სხვანაირია და უნივერმაღიც... მაგრამ, ეს ხომ ასე უნდა იყოს. დრო მიდის, ზოგი რამ იკარგება, ზოგიც იცვლება, მთავარია, გული გვქონდეს და იმ მიტოვებულ სახლსაც მოევლება და იმ ღობესაც. უფალს ვთხოვოთ, მოგვცეს ძალა და კეთილი ახლობლების გარემო.

მიხარია, რომ მიუხედავად მატერიალური პრობლემებისა, ჩოხატაურში კულტურული ცხოვრება ასე თუ ისე აქტიურია. მოქმედებს სახალხო თეატრი, ბავშვთა აღზრდის ცენტრი. შარშან არაჩვეულებრივი საჩუქარი მივიღე – ჩოხატაურელი ბავშვების მიერ ამოქარგული წმინდა გიორგის ხატი. ვაკურთხებინე და საპატიო ადგილი მივუჩინე ჩემს სახლში. ჩემი მხრით მეც გადავეცი მცირე ძღვენი ჩემი საბავშვო სიმღერების კრებულის სახით, რომელიც შარშან გამოიცა თბილისის მერიის ხელშეწყობით. ვიმედოვნებ, ჩოხატაურელი ბავშვები მოიწონებენ და შეიყვარებენ ამ სიმღერებს.

– რა შემოქმედებითი საქმიანობა და გეგმები გაქვთ?

– მუდმივი სამსახური დიდი ხანია აღარ მაქვს. ათ წელზე მეტია ფილოლოგობიდან მთლიანად გადმოვერთე მუსიკისკენ და დაკავებული ვარ მართლაც შემოქმედებითი საქმიანობით. თუმცა, ალბათ ფილოლოგობამ უაღრესად დიდი როლი შეასრულა ჩემ მიერ სიმღერების ტექსტების შექმნაში.

როგორც მოგახსენეთ, მყავს ქართველი და უცხოელი მოსწავლეები. ვარ ქალთა საერთაშორისო ასოციაციის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე და აქაც, დიპლომატთა და საქართველოში აკრედიტებულ უცხოელთა მეუღლე ქალბატონებს „ვამღერებ“ (გურული გავურიე) გუნდში, რომელსაც „თუთარჩელა ინტერნეიშნალ“ ჰქვია, რადგანაც ქ. რუსთავის ქალთა გუნდ „თუთარჩელასთან“ (უნიჭიერესი ხელმძღვანელი თამარ ბუაძე) ვმღერით კონცერტებსა და ფესტივალებზე. დაახლოებით ნახევარი წლის წინ მომმართა ვაჟთა ტრიო „ბალადას“ წევრებმა, რათა მათი სამხატვრო ხელმძღვანელი გავმხდარიყავი. მომეწონა მათი ბალანსი, გემოვნება, მღერის მანერა, რაც მთავარია, პიროვნულად მომეწონენ, ზრდილი, განათლებული ახალგაზრდები არიან და დავთანხმდი. ძალიან სასიამოვნოა მათთან მუშაობა. ჭეშმარიტად არიან ქალაქური ლირიკული სასიმღერო ტრადიციების გამგრძელებლები. რა გასაკვირია – სამივე ქუთაისიდან გახლავთ. როგორც ყველა ქართველი, ქედს ვიხრი ამ დიდებული ქალაქის წინაშე და მიხარია, რომ მათი სახით მეძლევა ქუთათურებთან ურთიერთობის კიდევ ერთი საშუალება, კიდევ ერთი იმიტომ, რომ ჩემი მეუღლის გვარი და ოჯახი წარმოშობით ქუთაისიდან გახლავთ.

თუ ყველაფერი ჩვენი სურვილის თანახმად იქნება, მალე გამოვუშვებთ ტრიო „ბალადას“ კომპაქტ დისკს, რომელიც მსმენელს მათი უკეთ გაცნობის საშუალებას მისცემს.

კიდევ ერთ სიახლეს გაგანდობთ: დაახლოებით 3 თვის წინ შევკრიბე, ჩემი აზრით, ძალიან საინტერესო ქალთა გუნდი, სადაც ჩვენი თეატრისა და კინოს მსახიობები არიან გაერთიანებულნი. მე ამ გუნდს დავარქმევდი ნიჭიერ ქალთა გუნდს, სადაც მართლაც რომ არა მხოლოდ სამსახიობო, არამედ მრავალმხრივი ნიჭით მოსილი ქალბატონები შეიკრიბნენ. მე ბედნიერი ვარ მათთან ურთიერთობით. ვიმედოვნებ, თავს მოვაწონებთ მსმენელს. ჩვენს ქვეყანაში არ არის სამოყვარულო გუნდის ტრადიცია. ამ ტიპის გუნდის შექმნის იდეა მომაწოდა საერთაშორისო საგუნდო მუსიკის ფესტივალის დირექტორმა, ქალბატონმა მაია ჩაჩავამ, ვისიც ძალიან მადლობელი ვარ, რომ სწორედ მე „ამომირჩია“ ამ საქმისთვის. მეც არ დავაყოვნე და მოვუხმე მსახიობ ქალებს, რომლებიც უდიდესი ხალისით შეუდგნენ საქმეს. 2 მაისს, საგუნდო ფესტივალის დასკვნით კონცერტზე ფართო მსმენელის წინაშე წარვდექით 2 სიმღერით, რასაც უზომო წარმატება მოჰყვა. ქალბატონმა ნანული სარაჯიშვილმა ნამდვილი ფურორი მოახდინა მანანას სიმღერის შესრულებით. სამომავლოდ ბევრი საინტერესო რამ მაქვს ჩაფიქრებული.

სხვა გეგმებიც მაქვს, ჯერ ცოტათი დაუკონკრეტებელი, ამიტომაც მომავალი შეხვედრის დროს მოგახსენებთ.

ჩვენი საქმე სიმღერაა. ეს კი ისეთი პროფესიაა, მშვიდობას და კეთილდღეობას მოითხოვს ქვეყანაში. ამიტომაც ყველას ვუსურვებ ღმერთის წყალობას, ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიმშვიდეს, სიბრძნეს, ნაშრომის შეფასება-დანახვას და იმას, რომ მასწავლებელს ემასწავლებლებოდეს, მხატვარს ეხატებოდეს, ინჟინერს ეინჟინრებოდეს და სიმღერის შემქმნელ-მომღერალს ემღერებოდეს.

მადლობა უფალს, რომ მომცა უნარი, სიტყვითა და სიმღერით გამოვხატო ჩემი სათქმელი.

დიდი მადლობა თქვენ. წარმატებებს გისურვებთ.

ქეთევან კუკულავა

სუვენირები საქართველოდან

გურამ ბერძენიშვილი

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გამოიცა კატალოგი „სუვენირები საქართველოდან“. კატალოგი უკვე გამოცემული ორი კატალოგის ახლებურ, სრულყოფილ ვერსიას წარმოადგენს და ემსახურება ტრადიციული ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას. მასში თავმოყრილია უძველესი მიმართულებები: კერამიკა, ოქრომჭედლობა, ბატიკა, მინანქარი, კვანძური ხელოვნების ნიმუშები, ჭედურობა, თექა და სხვა.

კატალოგი აერთიანებს 100-ზე მეტ ავტორს და 18 სახელოსნოს მიერ წარმოებულ უნიკალურ ნიმუშებს და ხელს უწყობს მათ პოპულარიზაციას. კატალოგის მეშვეობით დამთვალიერებელი გაეცნობა უძველესი ტექნოლოგიითა და მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებულ ნამუშევრებს, რომელშიც ქართული კულტურის ტრადიციები და ისტორიაა თავმოყრილი.

ძალიან სასიხარულოა, რომ კატალოგში „სუვენიერები საქართველოდან“ შესულია ჩოხატაურის სამხატვრო სკოლის პედაგოგის გურამ ბერძენიშვილის კვანძური ხელოვნების ნიმუშები (სამაჯურები, საყურეები). რომლებიც შესრულების მაღალი დონით გამოირჩევა.

– გურამ, პირველ რიგში გილოცავთ, თქვენი ნამუშევრები ასეთ მნიშვნელოვან კატალოგში შევიდა. რომლის საშუალებითაც მას მრავალი დამთვალიერებელი გაეცნობა.

– უღრმესი მადლობა.

– ამ რთული პროფესიის დაუფლებას წინ ხატვის გაკვეთილები უძღოდა.

– დიახ, მე ვსწავლობდი თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ სამხატვრო სკოლაში, სადაც შესანიშნავი პედაგოგები მასწავლიდნენ, ესენი იყვნენ: ნათელა მაყაშვილი, ნოდარ მუმლაძე, ნინო ჩხაიძე და სხვა. ვეუფლებოდით – ფერწერას, გრაფიკას, გობელენს, ბატიკას. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში (გამოყენებითი ხელოვნების სპეციალობა). ვსწავლობდი ცნობილი პროფესორის გივი ყანდარელის ჯგუფში, რომელმაც ძალიან დამაინტერესა და შემაყვარა კვანძური ხელოვნება.

– გურამ თქვენ სისტემატურად მონაწილეობდით გამოფენებსა და კონკურსებში, ორჯერ გახდით საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტი. ამჟამად ეწევით პედაგოგიურ საქმიანობას ჩოხატაურის სამხატვრო სკოლაში, რას იტყვით თქვენი მოწაფეების შესახებ?

– ძალიან ნიჭიერი და მონდომებული ბავშვები არიან. მოხარული ვარ, რომ ბევრი მათგანი დაინტერესდა კვანძური ხელოვნებით. მოგეხსენებათ, ამ დარგის ათვისება ძალიან დიდ ნებისყოფას და შრომას მოითხოვს. მახარებს, რომ მოსწავლეები იმდენად არიან დაინტერესებულები, რომ სახლშიც აგრძელებენ მეცადინეობას. თითოეული მათგანი ცდილობს, თავიანთი ფანტაზიით შექმნან ნამუშევრები, რაც მისასალმებელია. ჩვენ უკვე რამდენიმე გამოფენაში მივიღეთ მონაწილეობა. ასევე სასწავლო წლის ბოლოს, შემაჯამებელ გამოფენაზე ჩემი მოსწავლეები საინტერესო კოლექციას შესთავაზებენ დამთვალიერებელს.

შემიძლია ვთქვა, რომ უკვე ვამაყობ ჩემი მოსწავლეებით, იმედი მაქვს, რომ სამხატვრო სკოლის დამთავრების შემდეგ, დაინტერესებული ახალგაზრდები უმაღლეს სახელოვნებო განათლებას მიიღებენ და თავის დროზე, მნიშვნელოვან სიტყვას იტყვიან კვანძურ ხელოვნებაში.

– კიდევ ერთხელ გილოცავთ, რომ თქვენმა ნამუშევრებმა მოიპოვა ხელოვნებათმცოდნეების აღიარება, რის შედეგადაც ასეთ პრესტიჟულ კატალოგში მოხვდით. გისურვებთ პედაგოგიურ და შემოქმედებით წარმატებებს.

– უღრმესი მადლობა.

ქეთევან კუკულავა

ანტიგონე ოზურგეთის სცენაზე

ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მცირე სცენაზე წარმატებით განხორციელდა ჟან ანუის ტრაგედია – „ანტიგონე.“ ჟან ანუი ფრანგული დრამატურგიის ერთ-ერთი ყველაზე სახელმოხვეჭილი და ორიგინალური დრამატურგი იყო. საოცრად პოეტური და ამავე დროს უბრალო ენა, გადამწყვეტ როლს თამაშობს მისი პიესების პოპულარიზაციაში.

„ანტიგონე“ წლების მანძილზე სისტემატურად იდგმება ცნობილი რეჟისორების მიერ, როგორც უცხოეთში, ასევე საქართველოში და რაოდენ სასიხარულოა, რომ ეს პიესა ამჟამად გურიაში, ოზურგეთის თეატრში განახორციელა – ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, რეჟისორმა ვასო ჩიგოგიძემ, მხატვარი გია გვიჩია, მუსიკალური გამფორმებელი გოგა მახარაძე, ქორეოგრაფი მარიკა ქვეითაია, რეჟისორის ასისტენტი მაკა მამულაიშვილი.

ცივ და პირქუშ სცენურ სამყაროს შევყავართ ანუის ტრაგედიაში. სცენაზე განლაგებული სკამების კონცეფცია ტახტისათვის ბრძოლის მიმანიშნებელია. ქორო – (ლევან საღინაძე) გვაუწყებს, რომ სცენაზე გათამაშდება ტრაგედია და გვაცნობს თითოეულ პერსონაჟს: ანტიგონე (თამარ მდინარაძე), იგი პატარა, გამხდარი ქალიშვილია, რომელსაც სურს უეცრად გადაიქცეს ტრაგიკულ გმირად და მარტოდმარტო აღდგეს თავისი ბიძის კრეონტის წინააღმდეგ... ფიქრობს იმაზე, რომ უნდა მოკვდეს, თუმცა სიცოცხლე ძალიან სწყურია. მშვენიერი და მხიარული ისმენე- (შორენა გვეტაძე) ანტიგონეს და გახლავთ, ხოლო ჰემონი- (გიორგი დოლიძე) კრეონტის ვაჟი, ანტიგონეს საქმროა. ახოვანი და ჩაფიქრებული ჭაღარა კაცი კი კრეონტია – (ალექსანდრე ლომიძე), იგი მეფეა, მას ძალიან მძიმე ხვედრი, ხალხის წინამძღოლობა დაეკისრა. წინათ, ოიდიპოსის მეფობის ჟამს კრეონტი სასახლის პირველი კაცი იყო და უყვარდა მუსიკა, ლამაზ ყდიანი წიგნები, თებეს ანტიკვარულ დუქნებში შევლა, მაგრამ ოიდიპოსი და მისი ვაჟი დაიხოცნენ. კრეონტმა მიატოვა მისი წიგნები და ანტიკვარული ნაკეთობები და მეფის ადგილი დაიკავა. საღამოობით ხშირად ფიქრობდა, ხომ არ აჯობებდა ეს ბინძური საქმე უფრო უხეში ვინმესთვის გადამებარებიაო... მაგრამ მეორე დღეს მის წინაშე ყოველთვის წამოიჭრებოდა საკითხი, რომელიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვდა. ხანშიშესული ქალი კი, რომელიც განუწყვეტლივ ქსოვს კრეონტის ცოლია, ევრიდიკე – (ზაირა თოთიბაძე), იგი გულკეთილი ქალია, მაგრამ ვერაფრით ეხმარება ქმარს. აქვეა ძიძა – (ბელა კიკვაძე), რომელიც ხშირად ამბობს, რომ ანტიგონე „საძაგელი ხასიათის“ გოგონაა. პაჟი – (მარი ხანთაძე) მუდამ კრეონტის გვერდითაა, მაგრამ მას მარტოობას ვერ უმსუბუქებს. ფერმკრთალი ახალგაზრდა, რომელიც კედელზე მიყრდობილი ოცნებობს, მაცნეა – (ვახტანგ ჩხარტიშვილი), სწორედ, მან უნდა გვამცნოს კრეონტის ოჯახში დატრიალებული ტრაგედია, ამიტომ არავითარი სურვილი არ აქვს, არც საუბრის, არც სხვებთან ერთად ყოფნის... სახეგარუჯული სამი კაცი, ბანქოს რომ თამაშობენ, მცველები არიან. (გენადი ნიკოლაიშვილი, ივანე ჩხაიძე, ზაზა ჯინჭარაძე), ცუდი ბიჭები არ გეგონოთ, მათაც ჰყავთ ცოლი, შვილები, აწუხებთ ყოველდღიური საზრუნავი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, გაუგონარი სიმშვიდით შეუძლიათ წაგაცალონ თავი.

წარმოდგენა დაიწყო. ფეხშიშველი ანტიგონე ფრთხილად აღებს კარს და შემოიპარება ოთახში. იქვე ძიძაა ჩასაფრებული, რომელმაც ნახა, რომ ანტიგონე საწოლში არ ყოფილა. ანტიგონე სიტყვას ბანზე უგდებს ძიძას, რომელიც დაჟინებული მოითხოვს უპასუხოს, თუ სად იყო მთელი ღამე. ბოლოს კი სწორ პასუხს გებულობს. ანტიგონე თავისი ძმის დასამარხად გაიპარა. იმ ძმისა, რომლის დამარხვა კრეონტის მიერ აკრძალულია.

აქედან იწყება ორთაბრძოლა სცენაზე. ამ ორთაბრძოლის კულმინაცია კი ანტიგონესა და კრეონტის დიალოგია.

კრეონტის აზრით ადამიანს ინსტიქტები უნდა ამოძრავებდეს და თავდახრილი მიყვებოდეს წინაპართა მიერ გაკვალულ გზას.

ანტიგონე, რომელიც ბავშვობიდან სრულყოფილი ბედნიერების მოტრფიალე იყო, ვერ ეგუება კრეონტის სიყალბესა და უსუსურობას. მთელი სპექტაკლი არის უშეღავათო ბრძოლა ანტიგონესა და კრეონტს შორის.

თამარ მდინარაძის ანტიგონე ხან ნაზი, მოსიყვარულე, უსაზღვროდ შეყვარებული თავის საქმროზე ჰემონზე, ხან კი უტეხი, შეუდრეკელი და მებრძოლია. მსახიობმა უხვი ფერებით გააფერადა მისი გმირი. სწრაფ გარდასახვებს მაყურებელი ასევე სწრაფი რეაქციით – მხურვალე აპლოდისმენტებით პასუხობდა. შეიძლება ითქვას, რომ თამარ მდინარაძე, ჭეშმარიტად არის საქართველოში ანტიგონეს ერთ-ერთი ბრწყინვალე შემსრულებელი.

აღსანიშნავია, რომ თითოეული მსახიობი განსაკუთრებულ მობილიზებას და პასუხისმგებლობას გრძნობდა და შეძლეს კიდეც თავიანთი ჩვეული პროფესიონალიზმით გაეცოცხლებინათ ეს რთული სამყარო.

„ანტიგონე“ ოზურგეთის თეატრში ახალი შემოქმედებითი პერიოდის დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ. მაყურებლის გულწრფელი აპლოდისმენტები იყო დასტური იმისა, რომ სპექტაკლმა გაიმარჯვა. შეიძლება ითქვას, რომ ოზურგეთელების „ანტიგონე“ ჭეშმარიტად დაიმკვიდრებს მნიშვნელოვან ადგილს ქართული თეატრალური ცხოვრების ისტორიაში.

უნდა ითქვას, რომ სპექტაკლის დამდგმელმა რეჟისორმა ვასო ჩიგოგიძემ კიდევ ერთხელ გვიჩვენა თავისი ორიგინალური სადადგმო ხერხები და კვლავ ნათლად დავინახეთ, მისი მრავალფეროვანი ინდივიდუალური შესაძლებლობები.

ჟურნალი გურია REGION-ი ულოცავს ბატონ ვასო ჩიგოგიძეს და შემოქმედებით ჯგუფს სპექტაკლის წარმატებას. გვჯერა, ოზურგეთის თეატრის მცირე სცენაზე კვლავ მრავალი საინტერესო სპექტაკლი განხორციელდება.

ქეთევან კუკულავა

თეატრი უნდა გიყვარდეს, როგორც სიცოცხლე

საქართველოს სახალხო არტისტი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის ლაურეატი, სამგზის წლის საუკეთესო ქალი, „ღირსების ორდენოსანი“ გურანდა გაბუნია დაიბადა 1938 წლის 26 აგვისტოს. გურანდა გაბუნიამ წლების მანძილზე წარმატებით შეასრულა შემდეგი როლები: მარგარიტა – ვ.კოროსტილევის „მარტოობის დღესასწაული,“ ბარონესა – გ. გორინის „ბარონ მიუნჰაუზენის ცხოვრება და გარდაცვალება,“ პიერეტა – რ. ტომას „რვა მოსიყვარულე ქალი“, ადა-ლ.როსებას „პრემიერა,“ ემილია – უ.შექსპირის „ოტელო“ ნინო-ლ.როსებას „პროვინციული ამბავი,“ სიდედრი – მ.ჩიკამაცუ „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე,“ გულინდი – კ.გოცის „ლურჯი ურჩხული,“ მაკროვა- ა.აფინოგენოვის „შიში,“ ცოლი – გ.ერისთავი, ა.გრანსი „ისევ ვოდევილები,“ ცეცილია – ედუარდო დე ფილოპო „ხელშეკრულება,“ გონერილა – უ. შექსპირი „მეფე ლირი,“ ცაცა – ლ.როსებას „სახლის ანგელოზები,“ ყაჩაღების წინამძღოლი – ე.შვარცი „თოვლის დედოფალი,“ ვალია – ვ. ეროფეევის „დაუსრულებული სიზმარი,“ კლეოპატრა – უ. შექსპირის „ანტონიუსი და კლეოპატრა,“ გაბრიელა – ჟ.მარსანი „მაყურებლისთვის ამის ნახვა აკრძალულია,“ ძიძა – ჟ. ანუის „ანტიგონე,“ ირინე – ს. კლდიაშვილის „ქარიშხალი,“ დედოფალი – ა. სულაკაურის „სალამურა,“ ნათელა – ლ.იოსელიანის „ჩვენი ერთი საღამო,“ ჟოზე – ო.იოსელიანის „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი,“ როქსანა – როსტაბის „სირანო დე ბერჟერაკი“... ასევე ცნობილია მისი კინოროლები: პლატონის მეუღლე – „მზე შემოდგომისა,“ დარეჯანი – „დღეს ღამე უთენებია,“ ჭორიკანა – „აურზაური სალხინეთში,“ ბიცოლა – „თბილისი ჩემი სახლია,“ რუსუდანი – „ერთი ცის ქვეშ“ და სხვ.

გურანდა გაბუნია

– ქალბატონო გურანდა, როგორი ბავშვი იყავით?

– ძალიან ცელქი ბავშვი ვიყავი, ბიჭის თვისებები მქონდა. სკოლაში რასაც ვიტყოდი, ყველა მიჯერებდა. მათემატიკა არ ვიცოდი საერთოდ და დღესაც არ ვიცი. ერთი კლასელი მყავდა ძალიან კარგად იცოდა მათემატიკა, ამოცანას რომ გამოიყვანდა, ხელს დააფარებდა, ვინმეს რომ არ გადაეწერა. მე შევაგულიანე კლასელები და ერთ მშვენიერ დღეს, როცა კლასში შემოვიდა, პალტო დავაფარეთ თავზე და კარგადაც ვცემეთ, მერე კი ვუთხარით: თუ კიდევ არ გადაგვაწერინებ, ჩვენც იგივეს გავიმეორებთ-თქო. საერთოდ ძალიან აქტიური ბავშვი ვიყავი, ხელოვნება ბავშვობიდან მიყვარდა, თითქმის ყველა ღონისძიებაში ვმონაწილეობდი. ვსწავლობდი რამდენიმე სკოლაში: ფოთში, სოხუმში, ზუგდიდში, თბილისში და ისევ სოხუმი. მეთერთმეტე კლასში რომ ვიყავი, მამამ მთხოვა იქ გადავსულიყავი სკოლაში. მამა იქ მუშაობდა, რეჟისორი იყო და თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობდა წლების მანძილზე, დედა მსახიობი იყო. მამას ხშირად დავყავდი სპექტაკლებზე. კარგად მახსოვს „ანტონიუსი და კლეოპატრა“ რომ ვნახე, გაოგნებული ვიყავი ვერიკო ანჯაფარიძის თამაშით.

– მსახიობობა როდის გადაწყვიტეთ?

– სკოლის დამთავრების შემდეგ დედას ვუთხარი, ჩემი გადაწყვეტილება, დედაც დამეთანხმა და მოსამზადებლად გურამ საღარაძესთან მიმიყვანა. ბატონი გურამი არაჩვეულებრივი მსახიობი და პედაგოგი იყო. მოვამზადე ლექსი, პროზა, იგავ-არაკი. პირველივე წელს ჩავაბარე თეატრალურ ინსტიტუტში – სამსახიობო ფაკულტეტზე.

– ვის ჯგუფში სწავლობდით?

– ძალიან გამიმართლა, დოდო ალექსიძის ჯგუფში მოვხვდი. ჩემთან ერთად უნიჭიერესი ახალგაზრდები სწავლობდნენ: ჯულიეტა ვაშაყმაძე, ბელა მირიანაშვილი, სოსო გოგიჩაიშვილი, ნოდარ ფირანიშვილი, მალხაზ გორგილაძე... ეს იყო ყველაზე ბედნიერი წლები ჩემს ცხოვრებაში. დილით მივდიოდით ინსტიტუტში და ღამე ვბრუნდებოდით სახლში. საოცრად აქტიური ცხოვრება გვქონდა.

– ბატონი ოთარ მელვინეთუხუცესი სად და როდის გაიცანით?

– მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა „მოკვეთილი,“ სადაც ჩონთას ოთარი ასრულებდა. სტუდენტები წავედით სპექტაკლზე. სარეჟისოროზე სწავლობდა ჩვენი მეგობარი ნუგზარ გაჩავა, რომელმაც ოთარი გამაცნო. რომ გავიცანი იმ დღიდან დავიწყეთ მე და ოთარმა ერთად სიარული. მაშინ ტელევიზორი არ იყო და მთელი დღე ერთად დავდიოდით კინო იყო ეს თუ თეატრი. მახსოვს 8 მარტს მოვიდა პაემანზე ყვავილის გარეშე (ლენინის მოედანზე მერიასთან საათის ქვეშ ვხვდებოდით ერთანეთს). ძალიან გამიკვირდა და თან გული დამწყდა, მაგრამ რომ მომიახლოვდა, გამიღიმა, პიჯაკი გადაიწია და იების კონა დამანახა.

– რამდენი წლის იყავით რომ გათხოვდით?

– 18 წლის გავთხოვდი. ერთი პატარა სარდაფი გვქონდა კავშირის ქუჩაზე, ფანჯარა თითქმის მიწასთან იყო, კედლებიდან წყალი მოდიოდა, მაგრამ ბედნიერები ვიყავით.

– ორი დიდი მსახიობი ცხოვრობდით ერთ ოჯახში. არ იყო ეს ძნელი?

– არა, არა მე არ ვარ ოთარისნაირი დიდი მსახიობი. ის მოვლენა იყო. ვასო კიკნაძემ როცა მემორიალური დაფა მოიტანა და ჩვენს სახლზე გააკრეს უამრავი ხალხი მოვიდა – მსახობები, რეჟისორები, ჩვენი ახლობლები და მეგობრები. ვასომ თავის სიტყვაში თქვა: – წავიდა ჩვენგან უკანასკნელი ტრაგიკოსი, საუკუნეები უნდა ალბათ იმას, რომ ასეთი მსახიობი დაიბადოსო.

– მარჯანიშვილის თეატრში პირველად რომელ სპექტაკლში მიიღეთ მონაწილეობა?

– სანამ მარჯანიშვილში მოვიდოდი, მე უკვე ნამუშევარი ვიყავი რუსთაველისა და სხვა კულტურის თეატრებში რობერტ სტურუასთან და ლილი იოსელიანთან. რამდენიმე წელი „სუხიშვილებშიც“ ვცეკვავდი. მარჯანიშვილის თეატრს მაშინ დავუკავშირდი, როცა რუსთავიდან მსახიობთა დიდი ნაწილი უკან დაბრუნდა. პირველი სპექტაკლი მარჯანიშვილის

თეატრში, მონაწილეობა მივიღე სპექტაკლში „რას იტყვის ხალხი.“ მთავარ როლს ბრწყინვალედ ასრულებდა მედეა ჯაფარიძე. ჩემი მისვლა ამ თეატრში რეჟისორ მედეა კუჭუხიძესთან არის დაკავშირებული, ძალიან მადლიერი ვარ მისი, ჩემს წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვის. თუ კი რაიმე საინტერესო ვითამაშე, მასთან ვითამაშე.

– კიდევ რომელ რეჟისორებთან მუშაობდით?

– წილად მხვდა ბედნიერება მემუშავა ისეთ რეჟისორებთან, როგორიცაა: თემო აბაშიძე, ვასილ ყუშიტაშვილი, არჩილ ჩხარტიშვილი, თემურ ჩხეიძე, ლევან წულაძე, დავით საყვარელიძე და სხვა. არ შემიძლია არ აღვნიშნო ლილი იოსელიანთან მუშაობა მ. გორკის „ფსკერზე.“ მან ნათლად დამანახა თეატრალური სამყარო. ქალბატონი ლილი უაღრესად საინტერესო რეჟისორი და დიდი პედაგოგი იყო.

– თქვენ და ბატონი ოთარი ბევრ სპექტაკლში ერთად თამაშობდით, იყო თუ არა რთული მასთან სცენაზე მუშაობა, როგორი პარტნიორი იყო ის?

– ძალიან იოლი და საინტერესო იყო ოთართან მუშაობა, კარგი პარტნიორი იყო, ბევრ რამეს ვსწავლობდი მისგან. არასოდეს დამავიწყდება ლალი როსებას „პროვინციული ამბავი,“ რომელშიც მონაწილეობას ვღებულობდით ოთარი, ნანი ჩიქვინიძე, კოტე მახარაძე, გიზო სიხარულიძე და მე. ეს სპექტაკლი 20 წელი იყო ჩვენი თეატრის რეპერტუარში.

– რა არის თქვენთვის თეატრი?

– ჩემთვის თეატრი ყველაფერია. პრინციპში სცენაზე უფრო მეტ დროს ატარებს მსახიობი, ვიდრე სახლში. იგი არასდროს არ გაქრება, იმიტომ, რომ ცოცხალი ორგანიზმია. თეატრში გაქვს შესაძლევლობა მაქსიმალურად გამოხატო შენი ემოცია, განწყობა, მაყურებელს დაანახო შენი შინაგანი სამყარო. მახსოვს, მარჯანიშვილში დაიდგა „მე ბებია, ილიკო და ილარიონი“ ბებიას ქართული სცენის კორიფე სესილია თაყაიშვილი ასრულებდა. დარბაზში უცხოელი მაყურებელი იყო. სპექტაკლის დამთავრებისთანავე ერთი ფრანგი კაცი სცენაზე ავარდა, მუხლებზე დაეცა და თვალცრემლიანმა უთხრა: – შენ არ თქვა, რომ ქართველი ბებია ხარ, შენ ჩემი ბებია ხარო... სესილია არ თამაშობდა, ის ცხოვრობდა სცენაზე. თეატრი უნდა გიყვარდეს, როგორც სიცოცხლე, როგორც შენი დედა და მამა. სხვანაირად ვერ იქნები თეატრში.

– გამორჩეულად თუ გიყვართ რომელიმე როლი?

– არა, გამორჩეულად არცერთი როლი არ მიყვარს. სერგო ზაქარიაძე ხშირად ამბობდა: ჩემი როლები, ჩემი შვილებიაო.

– რას უსურვებთ ჩოხატაურის თეატრს.

– საერთოდ სახალხო თეატრში სხვადასხვა პროფესიის ადამიანები მონაწილეობენ, რომლებსაც სურთ თავიანთი შემოქმედებითი შესაძლებლობის გამოვლენა და ძალიან უყვართ თეატრი. მთავარია, გულწრფელი დამოკიდებულება გქონდეს შენი გმირისადმი. მე ძალიან მიყვარს სახალხო თეატრების სპექტაკლების ყურება. იმედს ვიტოვებ, რომ მომეცემა საშუალება ვნახო ჩოხატაურის სახალხო თეატრის სპექტაკლები.

ქეთევან კუკულავა

თბილისის კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი

თბილისის კონსერვატორიაში ფესტივალ „მომავლის ვარსკვლავის“ გალაკონცერტზე ჩოხატაურის სამუსიკო სკოლის ბიჭების გუნდმა გაიმარჯვა. მათი ხელმძღვანელია თინათინ გურგენიძე და კონცერტმეისტერი მარინა მამალაძე.

ჯავშნოსანი ეპიპაქის საარაკო გმირობა

„პატიოსანი, ვაჟკაცი ადამიანი ყველგან აკეთებს იმ საქმეს, რასაც მისგან მოითხოვს ცხოვრება, ომია – იბრძვის, მშვიდობაა – შრომობს და ყველგან მობილიზებული და ორგანიზებულია. ამავე დროს ბუნებით საოცრად კეთილი და გულისხმიერია“.

ვინ ვართ ქართველები, როგორ ვცხოვრობდით, რას ვაკეთებდით, რას ვქმნიდით (კარგსაც და, სამწუხაროდ, ცუდსაც), როგორ ვიბრძოდით და როგორ ვშრომობდით, როგორ მოვაღწიეთ დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ თავს გვეხვია (და გვახვევია დღესაც) ურიცხვი მტერი. რა ძალამ გააძლებინა ერთი მუჭა ხალხს მსოფლიო ტრაგიკულ ქარტეხილებში, რომლებმაც წალეკეს მსოფლიო ცივილიზაციის სწორუპოვარი ნიმუშები, გაქრნენ ხალხები, პირისაგან მიწისა აღიგავა ერთ დროს სახელგანთქმული და ვრცელი სახელმწიფოები? პასუხი, რომელიც თითქოს ყველამ ვიცით, ასეთია – ქართველი კაცის საოცარმა ძალამ და ნიჭმა, ბრძოლისა და შრომის უნარმა, და, რაც მთავარია – ღვთის რწმენამ.

როგორ უნდა ვიცხოვროთ მომავალში, რათა არ გაქრეს ქართველთა სახსენებელი, ჩვენი ქვეყანა – საქართველო, რომელიც ჩვენმა დიდმა წინაპრებმა შეინარჩუნეს და ჩვენ გადმოგვცეს? – ეს კითხვები ყველა ქართველს აწუხებს.

ერთი ჩვეულებრივი ქართველი კაცის პორფილე გორგოშიძეს ცხოვრება გარკვეული თვალსაზრისით სანიმუშო გახდა ყველასთვის. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 1918 წლის მოვლენები, თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველთა თავგანწირულ ბრძოლას ვლადიმერ (ვალოდია) გოგუაძის ხელმძღვანელობით. სწორედ მაშინ გადაწყდა საქართველოს დამოუკიდებლობის ბედი და რომ არა გოგუაძისა და მისი თანამებრძოლების საარაკო გმირობა, ჩვენს სამშობლოს დაღუპვა ელოდა. ამ ბრძოლის გამორჩეული მონაწილე გახლდათ პორფილე გორგოშიძე.

თავის საბრძოლო წარსულს ის არ მალავდა და არც თავი მოჰქონდა ამით, რადგან ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდა, პოლიტიკა არ აინტერესებდა (საკვირველი ამბავი ქართველისათვის და, განსაკუთრებით გურულისათვის), შეიძლება ეს გარკვეული სიფრთხილის მაჩვენებელია. მაშინ ღიად ვერავინ დაწერდა საკუთარი თუ საზოგადო პოლიტიკური შეხედულებების შესახებ, თუ თავად არ იყო დაკავებული პოლიტიკური საქმიანობით. პორფილე თავდაუზოგავად შრომობდა და პატიოსნებით იყო განთქმული.

პორფილე გორგოშიძე დაიბადა 1892 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ ლიხაურში. 1914 წელს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და ისიც სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. რუსეთ-თურქეთის ფრონტზე ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისთვის ორგზის დააჯილდოვეს გიორგის ჯვრით, რაც, იმდროინელი შეფასებით, გმირობის ტოლფასი იყო.

განსაკუთრებით დრამატული იყო 1917 წლის რევოლუციის შემდეგ საქართველოს ეროვნულ ჯარში სამსახური. მთელი რუსეთის იმპერია ქაოსმა მოიცვა, მძვინვარებს სამოქალაქო ომი, ბოლშევიკების აგიტაციის შედეგად რუსეთის ჯარმა დატოვა თურქეთის ფრონტი და საქართველო, ფაქტობრივად, უიარაღოდ და ჯარის გარეშე, პირისპირ დარჩა თურქეთის წინააღმდეგ. პატრიოტებმა დაიწყეს მოხალისეთა რაზმების ჩამოყალიბება, რომელიც წინ უნდა აღდგომოდა თურქეთის რეგულარულ არმიას. ამ დროს ქართული ჯავშნოსანი მატარებლის მცირერიცხოვანმა რაზმმა (სულ 80-მდე მებრძოლი) ვალოდია გოგუაძის ხელმძღვანელობით საარაკო გმირობა გამოიჩინა, გაანადგურა თურქეთის სახელგანთქმული გალიპოლის დივიზია, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, დაღუპვას გადაარჩინა საქართველო. სწორედ ამ



ჯავშნოსანი მატარებლის მებრძოლი იყო პორფილე და მასთან ერთად მისი უმცროსი ძმა – ალექსანდრე. ამ ბრძოლებში პორფილე მძიმედ დაიჭრა, ძლიერ დაუზიანდა მარცხენა ფეხი და მარჯვენა ხელი.

თითქოს პატარა ამბავი მოხდა – 25 კაციანმა რაზმმა გაანთავისუფლა თურქების ქვეითი ჯარით გარშემორტყმული ყარალაშვილის შტაბი - „რაია მერე, მამაფერი ამბავი უცხო ხილი სულ არაა გურული კაზახიზა“. პორფილე ჯავშნოსნის უფროსის „მაგიერი“, ანუ მისი მოადგილეა. სხვა ეპიზოდებშიც ჩანს, რომ ის ერთ-ერთი ხელმძღვანელია და მისი გადასაწყვეტია ჯავშნოსანთან და მებრძოლებთან დაკავშირებული მრავალი საკითხი, თუმცა ოდნავადაც არ ამახვილებს ყურადღებას საკუთარ როლსა და მნიშვნელობაზე.

გმირი ჯავშნოსანი

ახლა თურქეთი მოდის ბათუმზე და ბარცხანიდგან ვუწევთ წინააღმდეგობას, მაგრამ მალე ვტოვებთ და მივდივართ, გაზაფხულდა, 1918 წელია მარტის შუა რიცხვები, ყარაიაზის მიდამოებში დაგვიძახეს:

– მდინარე ჩოლოქს იქით, მდინარე ოჩხამურის ხიდეში ჩავარდნილია ნომერ პირველი ჯავშნიანი. უშველეთ.

6 საათის სირბინით ჩავედით, დღის 11 საათია, მივედით და იმარჯვიან ამოსაღებათ. მხოლოდ პარაოზია ჩაწეული, ლიანდაგი გაუფუჭებიათ, გავშალეთ ხაზში და წავედით წინ სამი კილომეტრით. Dდა კიდევ მივდივართ, რომ მივცეთ საშვალება პარაოზის ამოღების, მარა ამ დროს შევამჩნიეთ ქობულეთიდგან აქეთ დაახლოებით 1 კ. ცხენოსანი ჯარი, რაც შეიძლება სიჩქარით მოდიან და ჩავესაფრეთ. მარჯვნივ და მარცხნივ, ვართ 60 კაცი.

– ბიჭებო ხომ ატყობთ, დაზვერვაზე მოდიან, ხიდემდის წყნარად იყავით, ჩამოუშვათ უნდა და როდესაც საკმარისი იქნება და მერმედ ჩვენია, გასაქანი არ ექნებათ და დამაყურეთ, ვერაფერს ვერ შეგვამჩნევენ.

მალექცევით უკან დარჩენილია კიდევ ნახევარი კილომეტრი, ამ დროს ერთ დურაქს გაუვარდა თოფი, თუ განგებ

გაისროლა, რას იზამ. მოუსვეს უკან, დავაყარეთ ზალპი და რა ვიცი, ცხენიდან ბევრი გადმოვარდა და ამან კი:

– მომკალით, განგებ არ მიქნიაო.

ახლა ღამდება, პარაოზიც ამოღებულია და მივდივართ ნატანებისაკენ. ჩოლიქის პირზე არ ვართ გადმოსული და ქობულეთში აქედან ჩვენც შევებით სროლაში და მალე ჩაწყნარდნენ. პირველი ჯავშნიანი წავიდა თბილისისაკენ, რამდენიმე დღეები დავრჩით აქ. დაზვერვას ვაკეთებთ მდინარე ჩოლოქამდის, ჩოლოქს გაღმიდან დიდძალი შეშა არის, ლიანდაგის გასწვრივ, დაგროვილია ორთავე მხარეს.

ახლა ღამდება, ვდგევართ სამტრედიაში. პარაოზი კი გასარეცხად რკინიგზის სახელოსნოშია. ჯავშნოსანზე შტატის 72 კაცია, მეხანიკი გაგნიძეა, მოადგილე ჭელიძე, მატარებლის უფროსმა და რამდენიმე ბიჭმა, ლანჩხუთის რაიონის მცხოვრებლებმა, 22-მა მეომარმა, ისევე ფერშალმა ხუხუნაშვილმა, მოითხოვეს:

– სახლში მივირბენთ ამეღამ და დილას თქვენ ჩამოიარეთ და ჩვენ ლანჩხუთში დაგხვდებით.

პორფილე გორგოშიძე

1918 წელია, 17 აპრილი შაფათი, დაღამდა. სხვათაშორის რუსი სპეციალისტი, რომელმაც წინ ზარბაზნის კრუგთან მოაწყო სწრაფად გასაჩერებელი ვესტინგაუზი (რუსულათ), ესეც წასულია სამტრედიაში, მალე მოვალო. ღამის 12 საათია. იძახიან მილიციის შენობაში, საჩქაროდ თხოულობენ ჯავშნოსანის უფროსს. იძახის მთავარი შტაბი:

– აბა, მისი მაგიერი.

– რას გვიბრძანებთ?

– მომისმინეთ, მდგომარეობა ასეთია: ოზურგეთი თურქეთის მიერ დაკავებულია და ნასაკირალის გორებზე დასავლეთიდგან აღმოსავლეთის გასწვრივ გამაგრებულნი არიან, რომლებსაც გადმოუარიათ აჭარა, გორი, ტალახადგან და შემდეგ სოფელი ლიახურიდგან და შემდეგ 5 საათამდე თურქი გამაგრებულია მდინარე ჩოლოქის ხიდის გაღმიდან. გენერალი მაზნიაშვილი ნატანებში დაგხვდებათ, რომელსაც ყავს 40 ჯარისკაცი გორელი და კახელი. მდინარეს გადმოღმიდან თხრილებში.

ჯავშნოშნების უფროსი წამოსულია. ჯავშნიანიც გახაზირდა და გადმოიარა. მილიციის უფროსმა – „სამი კაცი მყავსო, ერთი თქვენთან წამოვაო“. აღარ წამოსულა. ჩვენ კი წავედით საჩქაროთ. სუფსაში რომ ჩავედით, შევჩერდით. ორი ცალი პურის ფქვილი გვაქვს ვაგონ ჩიზგისში და გამოვიტანეთ ერთი, დავუძახეთ აფხაზავას, მაგი მეფურნეა.

– ეს ერთი გამოგვიცხვე, როდესაც დავბრუნდებით, დაგვჭირდება. ჩვენი საცხოვრებელი ვაგონები აქ რჩება.

გოგვაძეც ჩამოვიდა, ცოტა თათბირი და გაუდექით. ნატანებში დაგხვდა გენერალი მაზნიაშვილი, მიუახლოვდით ხიდეს, დილა-ბინდია, მარჯვენა მხარეს მაქვს გადმოღებული ზარბაზნის კრუგის ერთი კარი და ვიმზირები. აკოპიდგან ჩვენებმა რომ დაგვინახეს დაბალი „ურაა“ დაგვიძახეს – ს.ს.ს. და ხმა აკოპებში ჩაწყნარდა. ხიდეზე. გავხედე მარცხენა მხარეს თურქების თავები ზღვასავით ღელავს. ისევე მარჯვენა მხარეს, რაც შეშები და ხიდები იყო ერმილე ნაკაშიძის მიერ კარიერზე მოტანილი, ყველა მარჯვენა და მარცხენა მხარეს გაუკეთებიათ სიმაგრეებათ. ჩვენი მიზანია წასვლა მაქამდე, სანამ დამთავრდებოდეს სიმაგრეები და შემდეგ გავხსნათ ცეცხლი, ჯავშნიანის მოძრაობაში ვიბრძოლოთ, ჯერ კიდევ დილის სიბნელეა და ნელ-ნელა მივდივართ წინ. უცბათ წინა პირველი და მეორე გოგორაც და სწრაფად დავკარი ხელი ვესტინგაუსს და ცნობა მეხანიკს: წინა ორი გოგორა შპალებზე დაესო და ამავე დროს კოხივით ასტეხეს სროლა ყოველი მხრიდგან და იმ წამსვე ამუშავდა ჩვენგანაც სამი ზარბაზანი. პირდაპირ ვაყრით თავზე. 14 იამფრქვევი „მაქსიმა“, მაქსიმა ცელავს, წინა ჯავშნიანზე მეტი იერიშია მოტანილი. ასე მიდის ადუღებული სროლა. დღის პირველი საათია, რომ აწყდა ზარბაზანი, ამავე წამში ვხურავ ზარბაზნის კრუგის კარებს, რომ მომხვდა მარჯვენა ხელის გულში რაზრივნოი ტყვია და დაგლიჯა. სროლა კლებულობს, ტყვია ბეური მოცივა შითაც, ღია უჯრედებიდან, ტყვიამფრქვევის ფარებიდგან როცა მუშაობს მოთესვით, დახვრიტა ტყვიამ, კავშირის მავთულები დაწყვეტილია. გოგუაძე პარაოზშია. ტყვიამფრქვევის პირველი ნომრები დაწყვეტილია, პირში და შუბლში აქვენ ტყვია. ხელი და ბარკალი დაფშვნილი მაქვს. ამავე დროს 120 ბომბიან იაშიკს ვხსნი, რომლებსაც შეუძლია ვაწოდებ და სროლილობენ გარეთ, ძმაი ჩემი სამ ადგილზე დაიჭრა, მკვდრები არიან ბოლქვაძე, რომელსაც ვუთხარი სუფსაში

– პოლნი კავალერია გერმანიის ფრონტიდგან მიდიხარ და ჩვენთან წამოსვლას ვერ დაგაძალებთ.

– მე თქვენთან ყოფნა მინდაო.

მკვდრები არიან ცეცხლაძე, გოგუაძე, გორდელაძე და სულ წინა ჯავშნიანში 7 კაცი მკვდარია, 12 დაიჭრა, 6 დაუჭრელია. უკანა ჯავშნიანს დიდათ ზიანი არ მოსვლია, მსუბუქად დაჭრილია 6 კაცი.

დღის 2 საათი იქნება, შეწყნარდა სროლა და ამბავის გასაგებად გადმოვიარე საწყობ ვაგონთან და გავხედე ვაგონს, ქვეშ და მის გარშემო – მკვდრების გვამების გორებია დადგმული. მდინარე ჩოლოქზე გადმოვიდნენ ჩვენებიც აკოპებიდგან. პარავოსთან მივედი, მეხანიკ გაგნოძეს მკლავი მოტეხილი აქვს. მისი ადგილი ჭელიძეს უჭირავს, ჩვენი მდგომარეობა გადავეცი და გამოვბრუნდი ჩემს ადგილზე, თოფის ხმა არსად არ ეყურება. ქრისტიფორე ლომჯარია, ბ. სალუქვაძე, ა. ცეცხლაძე, ბ. ცეცხლაძე და სხვა. ტყვია არ გაკარებიათ, ასკოლკებით დაჩარჩმული არიან. ამავე დროს მოვიდა სანიტარული ერთი ვაგონი პარაოზით, თურქეთმა მოთხოვა პერემირი. დაჭრილები გადავედით სანიტარულში, ამასთან ერთად მოვიდა მუშა ვაგონი და დანკრატები. დაჭრილები წამოგვიყვანეს ნატანებში, მოგვათავსეს სადგურის უკან შენობაში ღამის პირველ საათამდის და შემდეგ გადაგვიყვანეს ქუთაისის საავადმყოფოში.

სოფელ ნატანებში შეიარაღებული „პატრონტაჟებით“ ჩასვლა და ბრძოლის მოწინავე ხაზზე გასვლა, დიდ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ დატვირთვას ატარებდა. ამ ფაქტით, ბოლშევიკთა ტყუილზე დაფუძნებულ პროპაგანდას ნიღაბი ჩამოეხსნა. ჩოლოქის ბრძოლამ, რომლის მთავარი გმირი ჯავშნოსანი მატარებელი №4-ის ეკიპაჟის მეთაური ვალოდია გოგუაძე იყო, საოცარი სიმამაცე გამოიჩინა. საბედისწერო მომენტში, ჯავშნოსანის ეკიპაჟის უმაგალითო რისკზე წასვლამ, აშკარად წარმოაჩინა, როგორი გმირობის ჩადენა შეუძლია ოკუპანტების წინააღმდეგ მებრძოლ მცირერიცხოვან ქართველობას. ჯავშნოსანი მატარებლის ეკიპაჟის ჩატარებული საბრძოლო ოპერაციები საქართველოს საზღვრისპირა ზოლის გამაგრებასთან ერთად, ქვეყნის ხელისუფლების სიძლიერის დემონსტრირება იყო.

ლელა სურმავა

მსურს, სოფელ ამაღლებაში აღდგეს კულტურის სახლი

ლამარა დოლიძე დაიბადა 1932 წლის 13 მარტს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ამაღლებაში. ხელოვნებისადმი მიდრეკილება ბავშვობიდანვე გამოამჟღავნა. თავის თანატოლებთან და და-ძმებთან ერთად ხშირად მართავდა კონცერტებს და პატარა წარმოდგენებს, რომელთა შემფასებლები მეზობლები იყვნენ. სკოლაში სწავლის დროს კი ლამარა დოლიძეს ბადალი არ ჰყავდა გურული ხუმრობების თქმაში. იგი იყო სიმღერის გუნდის სოლისტი, ასევე აქტიურად მონაწილეობდა დრამატულ წრეში.

სკოლის დამთავრების შემდეგ ბევრი არც უფიქრია და სწავლა განაგრძო ქუთაისის აკ. ვასაძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში. აქაც გამოიჩინა თავი, იგი სასწავლებლის ყველა ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდა. ერთ-ერთ ღონისძიებას ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის რეჟისორი ტიტე გაფრინდაშვილი დაესწრო, რომელსაც ძალიან მოეწონა ნიჭიერი ახალგაზრდები და რამდენიმე მათგანი თეატრში მიიწვია, მათ შორის იყო ლამარა დოლიძე.

ტიტე გაფრინდაშვილის მიერ ქუთაისის სახელმწიფო თეატრის სცენაზე განხორციელდა „შამილი," სადაც ლამარა დოლიძემ შამილის ორი ცოლი განასახიერა. ნიჭიერმა გოგონამ საოცარი უშუალობითა და ბუნებრივობით განასახიერა ორი რადიკალურად განსხვავებული ხასიათის პერსონაჟი. სპექტაკლს ძალიან დიდი წარმატება ხვდა წილად. რეჟისორმა ტიტე გაფრინდაშვილმა ლამარა დოლიძეს დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა და სახელმწიფო თეატრში მიიწვია, მაგრამ იგი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა. მუშობა დაიწყო სოფელ ამაღლების კლუბის გამგედ, ასევე პარალელურად მონაწილეობდა ჩოხატაურის სახალხო თეატრში. მის მიერ განსახირებული როლები კი მაყურებლის მეხსიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდა.

პირველად ლამარა დოლიძე ჩოხატაურის თეატრში რეჟისორმა და დრამატურგმა როსტომ ყენიამ მიიწვია, მისსავე მუსიკალურ სპექტაკლში, ლამარა დოლიძემ შესანიშნავად შეასრულა მუსიკალური ნომრები და მაყურებლის მქუხარე აპლოდისმენტებიც დაიმსახურა. შემდეგ შექმნა კაკანოს საინტერესო სახე – ნ.დუმბაძე, გ. ლორთქიფანიძე „მე ვხედავ მზეს." იგი ღრმად ჩაწვდა ამ პერსონაჟის სულიერ სამყაროს და მისი განცდები ბუნებრივად გადმოცა.

1964 წელს, კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ჩატარდა სახალხო თეატრების დათვალიერება. სადაც 18 კოლექტივი მონაწილეობდა. ჩოხატაურის სახალხო თეატრმა წარმოადგინა შ. როყვას „დედა," ლამარა დოლიძის სახასიათო პერსონაჟმა მართამ ჟიურის დიდი მოწონება დაიმსახურა. იგი ქების სიგელით დაჯილდოვდა.

სახალხო თეატრმა წარმატებით აღადგინა ჰაჯიბეკოვის „არშინ მალ-ალან," სადაც ლამარა დოლიძის – გულჩორამ საუკეთესოდ შეასრულა მუსიკალური ნომრები.

ფერთა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა ქუჩარას ცოლი ლირსა – „ვარყვარე."

„საბრალდებო დასკვნა" – ორი როლი: გამომძიებელი და დედა. არ იყო ადვილი ერთ სპექტაკლში, უდანაშაულოდ დაჭერილი შვილის დედისა და ამავე დროს გამომძიებლის სახის განსახიერება, მაგრამ ლამარა დოლიძემ შეძლო ეს ორი როლი მისთვის ჩვეული პროფესიონალიზმით განესახიერებინა.

მაყურებელს კარგად ახსოვს ენაკვიმატი გურული ქალი კესარია – „მე ვხედავ მზეს;" საოცარი იყო მის მიერ შესრულებული ოლღა ბებია – „მე ბებია, ილიკო და ილარიონი." ყოველი მისი მანერა თუ სიტყვა, საოცრად დამაჯერებელი და შთამბეჭდავი იყო.

ლამარა დოლიძე ერთ-ერთი მოწინავე იყო საკლუბო დაწესებულებების მუშაკთა შორის. იგი მრავალი ღონისძიებების ორგანიზატორი და უშუალო მონაწილე გახლდათ. კლუბთან არსებული აგიტ.მხატვრული ბრიგადა, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა ძალიან საინტერესო და სახალისო სკეტჩებით იყო ცნობილი, ამ შემოქმედებით ჯგუფს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებშიც იცნობდნენ და მაყურებლის დიდ მოწონებასაც იმსახურებდა.

ლამარა დოლიძემ თავისი უანგარო და თავდადებული შემოქმედებითი ღვაწლით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩოხატაურის კულტურული ცხოვრების წარმატებაში.

დღეს მისი ოცნებაა თავის მშობლიურ სოფელ ამაღლებაში აღდგეს კულტურის სახლი, სადაც ახალგაზრდებს ექნებათ საშუალება წარმოაჩინონ საკუთარი შემოქმედება და ასევე მოიწვიონ გამოჩენილი ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეები.

P.S. ქალბატონი ლამარა ამაყობს, რომ მისმა შვილმა გია ხვინჩიაშვილმა წარმატებით დაამთავრა საქართველოს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი, რომელიც დღეს ჩოხატაურის სახალხო თეატრის მსახიობი და ანსამბლ „ნართის" სოლისტია და მის საქმეს ღირსეულად აგრძელებს.

ქეთევან კუკულავა

ლეგენდა ნატანებზე

– უბედურება დიდო ბატონო! საშინელი ყვირილით სუფრასთან მოვარდა გურიელის ერთგული მსახური მალაქია და ბატონს ფეხებში ჩაუვარდა.

– რაო, რა მოხდა, მტერი დაგვესხა?

– თავად არ ვიცი, დიდო ბატონო, ალბათ მტერია ურჯულო, მტერი.

– შეწყდეს ნადიმი, ხმალი ვიშიშვლოთ, მუხდალი მტერი უნდა შევმუსროთ.

– დიდო ბატონო, გთხოვთ, მომისმინოთ, შეღაღადა მუხლებში ჩავარდნილმა მსახურმა ბატონს – რაც მოხდა, ყველაფერი ჩემი ბრალია, ნატა ასულმა საბრალო ნუკრი მე ჩამაბარა მოსავლელად. გალიაში მყავდა შემწყვდეული, ხოხბებთან ერთად უსაქმურად, რა გამაჩერებდა, მზარეულებს ვშველოდი, თვალი კი გალიისკენ მეჭირა. უეცრად, რაღაც აჩრდილს მოვკარი თვალი, აჩრდილი თქვენი სუფრიდან გამოვიდა, მე უმალ გალიას მივაშურე, ხმაური შემომესმა, ვიღაც იძახდა, ნუკრი გაიქცაო. მგონი ის აჩრდილი ყვიროდა, გალიასთან რომ მივვარდი, კარები ღია იყო. გალიაში ნუკრი აღარ დახვდა. შეშინებული ხოხბები ერთმანეთში ირეოდნენ, ფრთხიალებდნენ. მიშველეთ, ნუკრი მომტაცეს მეთქი, ვიყვირე მე ბედშავმა. ჩემს ყვირილზე უმალ ნატა ასული მომეშველა, ვინ მოგტაცა ჩემი საბრალო ნუკრი? – შემომძახა. ნატას ხმაზე ნუკრი ჩვენს წინ გაჩნდა ანაზდად. მერე თითქოს ვიღაცამ დააფრთხო, კამარა შეკრა და გაიქცა. ნატა ნუკრს გამოუდგა, ტყის პირას ისევ აჩრდილი შემოგვხვდა სულ ახლოს, ჩვენებურს არ ჰგავდა, მგონი თათარი იყო, რაღაც საშინლად დაიღრიალა, ზურგზე მათრახი გადამიჭირა და ცხენი ტყეში შეაგდო.

– ნატა, ნატა, რა იქნა ბებერო ქოფაკო, დაიღრიალა გურიელმა.

მსახური მთლად მოიკუნტა, ბატონის ფეხებთან დაეცა და რაღაცას ბურტყუნებდა გაურკვევლად.

– ნატა, რა იქნა მეთქი, ისევ დაიქუხა ბატონმა და ფეხის ქნევით მოხუცი მოიშორა.

– ნატა მოგვტაცეს, იმ შავცხენიანმა აჩრდილმა მოგვტაცა ნატა. რაღაც არაადამიანური კვნესითა და ქალური კივილით ამოიკვნესა მოხუცმა და მიწას დაემხო ქვითინით.

– ვაი სირცხვილო! ვინ გამიბედა თავს ლაფის დასხმა, ჩქარა მდევრები, სწრაფი მდევრები, რომ არ მოგვასწრონ ამ ტყიდან გასვლა – ბრძანა ბატონმა და მოსუფრენიც უმალ წამოიშალნენ.

გურიელმა სწრაფად აფრინა მდევრები, ოდიშის გზას თავად ნაკაშიძე გაუყენა, მთისკენ ჭაბუა თაყაიშვილი აფრინა თავისი მფრინავი ამალით. ყველაზე უმთავრესი დავალება კი თავად ბაგრატს მისცა.

– შენ, ბაგრატ ჩემო, შენი მდევრებით, გასწი შეკვეთილს შეჰკარ ბოღაზი, რომ მტერმა ზღვით არსად გაგვასწროს. ეგ თავდგირიძის ხრიკები არის, იგი შვილისთვის ნატას ხელს მთხოვდა და რომ არ მივეცი ნებით, თანხმობით, ძალით, ქურდულად მომტაცა იგი. ჩემს შერცხვენას არ ვაპატიებ, მწარედ ვანანებ. ქადილით დაამთავრა სიტყვა მთავარმა და ფრთხილად მოახტა ბედაურს, სადავეები მთელი ძალით მოქაჩა, ცხენი ჭიხვინით ყალყზე გაუვალ ჭაობიან ტყისაკენ. თავადის კვალში ჩადგნენ ყველაზე გამოცდილი მხედრები. მხედრები იმედიანი შეძახილებით ამხნევებდნენ ბატონს და მტერთან შესაბმელად ილტვოდნენ.

– ქალებისა და ლაქია მზარეულების გარდა ყველანი მდევრებად გამოუდგნენ ნატას. სტუმარი აფხაზი და თავადი ლევან გუგუნავა არსად ჩანდნენ. სადღაც გაუჩინარებულიყვნენ იდუმალ.

მეორე დღეს საღამო მწუხრისას გაწბილებული დაბრუნდა ქანცგაწყვეტილი გურიელი თავის სასახლეში. ნატას მოტაცების ამბავი ელვისსისწრაფით მოედო მთელ გურიას. ყველანი წუხდა და ნანობდა მშვენიერი ნატას მოტაცებას: ახლობლები სასახლისკენ მიიჩქაროდნენ მთავართან საახლებლად, მდაბიო გლეხები სასახლის ირგვლივ იკრიფებოდნენ გულმოკლული ოხვრითა და ქადილით.

ნატა, ხომ მდაბიოთა მფარველი ანგელოზი იყო, ხალხს მისი იმედი ჰქონდა, სულკურთხეულ დედას ჰგავსო, იტყოდნენ: დედამისივით კეთილი და მოწყალე იყო, ჭკუა-გონებით კი მამას ჯობდა. ნეტავი მაგის დედოფლობას მოვსწებოდით, ოხრავდნენ სასახლის ეკლესიასთან თავმოყრილი ქვრივ-ობლები.

მაგი ასე არ ჩაივლის ხალხო, ომიანობა იქნება, ჩხუბი ატყდება ჩახლეჩილი ხმით ჩიფჩიფებდა ასწელს გადაცილებული ბრმა მოხუცი და ჯოხის ბაკუნით წინ მოუძღოდა სასახლისაკენ მიმავალ ხალხს.

ოსმალოს ბატონს მოუტაცია თურმე ჩვენი ნატა, თავისი მახინჯი შვილისთვის ნდომებია ცოლად, ქოთქოთებდა მოხუცი დედაბერი – ახლა ჯარით მოდის თურმე საომრად, ქალი მოგვტაცეს და კიდევ ომს რას გვემუქრება ეს ოხერი. მოყვრობა თუ უნდა, მოყვრად მოვიდეს. შემრიგებლური კილოთი ჩაერია დედაბერს მეორე შაოსანი ქალი.

– ვის უნდა მათი მოყვრობა, ჩვენი ბატონი თათარს არ მიათხოვს ქალს – რიხით წარმოთქვა ისევ იმ ბრმა მოხუცმა.

– ჩვენი გათათრება ნდომია თურმე და იმიტომ მოდის ჯარით ეგ ურჯულო.

– მოვა და მოვიდეს, ჩვენ თათარი ვერას დაგვაკლებს.

– შენ რა გენაღვლება ბერიკაცო, სიტყვა გააწყვეტინა ისევ იმ შაოსანმა ქალმა – ახალგაზრდებმა იკითხონ თორემ.

– თათარი თუ მოვიდა, გურიელი ებრძოლოს, ჩვენთან რა უნდა, რას გვემართლება უხინკო გლეხებს.

– თათრის ბატონობას ისევ გურიელის ბატნობა გერჩიოს, შე აბდალა.

– ხალხო, მოდით პირობა შევკრათ, თოფ-იარაღი ავიღოთ. ვეახლოთ ბატონს, ვეცეთ ურჯულო თავდგირიძეს და დავიხსნათ ჩვენი ნატას ასული – ომახიანად შესძახა ხალხს თეთრ ცხენზე ამხედრებულმა პირტიტველა ჭაბუკმა

და ხალხს სასახლისაკენ გაუყვა.

სასახლეში გულის შემზარავი მდგომარეობა იყო. ყველანი მწუხარებას მოეცვა, აქა იქ ქალების თავშეკავებული ქვითინი ისმოდა. მამაკაცებს თავი მხნედ ეჭირათ, მაგრამ რაღაც საშინელ სინდისის ქენჯნას განიცდიდნენ. გურიელი დაჭრილი ვეფხვივით სასახლის დიდ დარბაზში დაბორიალებდა. ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა. ნიადაგ სასახლის ფართე ფანჯარას გასცქეროდა, იქნებ ვინმე იმედიანი მდევრები დაბრუნდნენო.

უეცრად, სასახლის სადარბაზოს კარები გაიღო, დარბაზში მოურავი შემოვიდა აქოშინებული.

– მალემსრბოლი მოვიდაო, დიდო ბატონო, თავად ბაგრატის გამოგზავნილი.

– რასა უწყისო, ნეტა, ბაგრატი?

– თავად ბაგრატი ჯარს ითხოვს ბატონო, ჩოლოქს გაღმაა გასული.

– ურჯულოებთან ომი სწადია? რიხით წარმოსთქვა თავადმა, ძარღვებში ახალგაზრდული მხნეობა და ძალა იგრძნო. ომის ჟინი აღეძრა. თვალებში იმედის და შურისძიების ნაპერწკალი აუკიაფდა.

– დიდო ბატონო, აბა რას ბრძანებ. ამაზე ფიქრი შიშის ზარსა მცემს. მგონი თათარი აქ მართალია, სჯობს, ჩვენს მხარეში მოვნახოთ მტერი. შიშნარევი ხმით შეაპარა სახლთუხუცესმა გურიელს.

– ეგ მართალია, თათრებთან ჩხუბის ძალა და ღონე ჩვენ არ შეგვწევს.

– სიბრძნეს ღაღადებთ დიდო ბატონო, გვიბრძანე თათარს რა შევუთვალო – შვებით ამოისუნთქა მოურავმა.

– უკუიქეც თქო, აუწყეთ ბაგრატს – მცირე პაუზის შემდეგ წარმოთქვა გურიელმა და ფართე სავარძელში ჩაეშვა თავჩახრილმა.

მოურავს სახეზე დაძაბულობა მოეხსნა, წელში გასწორდა, მუხლებში კანკალი შეუჩერდა, გული დაუწყნარდა, არ ეგონა, თუ ბატონი ასე ადვილად გაიმეტებდა ბაგრატს, მაშველს არ გაუგზავნიდა. ასე სამარცხვინოდ უკუქცევას უბრძანებდა. სიხარულისგან ენაც დაება, ბატონს მორჩილად თაყვანი სცა და დარბაზიდან გავიდა.

დამწუხრებული თავადი დიდხანს ოხრავდა და ბორგავდა სავარძელში თავჩახრილი. გულში ათასი ეჭვი და ფიქრი უტრიალებდა. ნატა ასულის გატაცება ისე არ ადარდებდა, როგორც სირცხვილის ჭამა და თავლაფის დასხმა. საქვეყნოდ სახელოვან მთავარს მთელი ამალით გარემოცულს თვალდახელშუა ქალი მოსტაცეს. „კაცის ხელი ამას ვერ იქმნიდა“ – დროდადრო წამოიძახებდა თავადი,– „ალბათ ეშმაკმა, ან ჭინკამ მომტაცა ასული ჩემი“ – წამოიძახებდა და თვალებში უმალ ცრემლების ტბა აკიაფდებოდა, აბრწყინდებოდა, ადიდდებოდა, მაგრამ კი არ გადმოიღვრებოდა, უმალ ჩაშრებოდა, ჩაიკარგებოდა.

ეს შვილის დაკარგვის სინანულის და სიბრალულის ცრემლები იყო. ასე ტბასავით რომ ჩაუდგებოდა თავადს ბებერ თვალებში. ამ ცრემლებს გადმოღვრა და ბოღმის ჩამორეცხვა, წაღება არ შეეძლო. ბატონის სიბრაზისა და რისხვის ძალა მას უმალვე აქრობდა, აშრობდა და თვალებში ისევ საშინელი კაეშანი და სევდა ისადგურებდა.

– აბა, რას მეტყვი ჩემო ჭაბუა. შენ მუდამ იყავ ჩემი ბრძენი მრჩეველი, თითქოს ვედრებით მიმართა ბოლოს გურიელმა მის გვერდში მჯდომ სახლთუხუცესს.

– დიდო ბატონო, ვით გაგიბედო, რომ ეჭვი სულსა და გულს მიღრღნის.

– სთქვი, რასაც ფიქრობ, რაც გულში გიდევს, მორჩილად დაუყვავა მთავარმა ერთგულ მსახურს.

– სტუმარზე ცუდის თქმა და ჩივილი ჩვენი ზნე-წესი არ არის, ვიცი, მაგრამ გული, კი, რაღაცას მითქვამს და ვერ დავმალავ მას თქვენს წინაშე.

– სახლთუხუცესო! გული მერევა, ქარაგმების დრო არის განა? – თქვი, ვისზეც ეჭვობ, ვინ არის მტერი, რომ ავადინო მის სახლ-კარს მტვერი.

– შერვაშიძეზე ვეჭვობ, ბატონო – შიშნარევი ხმით გამოცრა სახლთუხუცესმა. შერვაშიძის ხსენებაზე ბატონო ფეხზე წამოდგა, თვალებში რისხვა აენთო.

– ამას რას ვყურობ სახლთუხუცესო. საშინელი მუქარით წარმოსთქვა თავადმა.

– ის კადნიერად მაშინ მოიქცა, როს ნადიმიდან სადღაც გაიქცა. რატომ არ გთხოვათ თქვენ ნება ამის, თუ ის არ იყო ქურდი იმ ღამის?

– სახლთუხუცესო, – ისევ მუქარის კილოთი დაიწყო ბატონმა – სჩანს, რომ სიბერე მოგჭარბებია და ძველებურად ვეღარ ბრძენკაცობ, მოყვარეს მტრად თვლი, მტერს კი მოყვარედ.

– მაშ სადღა არის თქვენი სტუმარი, რად არ გეახლა თქვენს ამალაში, რომ მდევრობაში ეცადა ღონე, ვით შვლის ნუკრებთან გამოიჩინა.

სახლთუხუცესის სიტყვებმა ბატონი შეაფიქრიანა, მოუსვენრობა დაეტყო, ბოლოს მძიმედ წამოდგა სავარძლიდან, ღია ფანჯარას მიაპყრო მზერა და მისგან გაიქნია, კედელზე ირიბად დაკიდებულ ხანჯალს შეხედა, მიწვდა, ჩამოიღო, ფიცხლად მოზიდა, ხანჯალი ხელიდან გაუვარდა, ფოლადი ჟრიალით დაეცა ფიქლის იატაკზე.

ბატონი საშინლად შეკრთა, თითქოს ხანჯალი იატაკს კი არა, გულის ფიცარზე დასცემოდა. ხანჯლის ხელიდან გავარდნა ცუდად ჰქონდა დაცდილი. ჩოლოქთან ომში ხელიდან ხანჯალი რომ გაუვარდა, მეორე დღეს ვაჟი მოუკლეს თათრებმა. ნათლად მოაგონდა ყოველივე ეს და სევდიანად ამოიოხრა. მაშინ, ძე მომიკლეს ურჯულოებმა, ახლა კი ასული წამართვეს, მტერმა დამჯაბნა და მოყვარემ იჭვებით გული დამიღრნა – ბორგავდა ბატონი.

– ნირწამხდალი სახლთუხუცესი ბატონის დამშვიდობებას ლამობდა, მაგრამ სიტყვის ამოღებას ვერ ბედავდა, მოურავი კი გაკერპებული იდგა დარბაზის კუთხეში, თვალებში სისხლი ჩასდგომოდა, ხელები დოინჯზე შემოედგა, თითქოს საჭიდაოდ ემზადებაო.

– სახლთუხუცესო! – მჭვუნვარე ბატონს ცეცხლზე ნავთს უმატებ, არა – ქორივით დააცხრა მოურავი სახლთუხუცესს – მე თავად ვნახე, რომ შერვაშიძე პირველ მდევრად მისდევდა ნატას, მაგრამ სადღაა შენი ლევანი, ტახის მოკვლისთვის ჯილდო რომ ერგო. ბატონმა ხმალი მისთვის უბოძა, რომ შინისაკენ გაქცეულიყო და არ ხლებოდა ბატონს მდევრებში, ვით კეთილშობილ თავადს შეშვენის?

– ჰო, გუგუნავა სადღაა ნეტავ, – იკითხა მოურავის სიტყვაზე ბატონმა – განა ლევანმაც მიმუხთლა ვითომ?

– მეც ეს მაფიქრებს, დიდო ბატონო – კვერი დაუკრა ისევ მოურავმა.

– ღმერთს ნუ სცოდავ, შენ მოურავო, დიდო ბატონო, არ დაიჯერო, ჩემი გაზრდილი თავადი ლევანი საძრახის სამე არ ჩაიდენდა. ღმერთისა და კაცის სიყვარულს შთაგონებული, წვრთნაც არ სჭიროდა, თქვენს სამსახურში სანთლად იწვოდა, თავს გასწირავდა. გულმხურვალედ ღაღადებდა სახლთუხუცესი და სევდიან გულს მალამოდ ეცხებოდა, სულს უმშვიდებდა.

(გაგრძელება ჟურნალის №5-ში)

ნიკოლოზ თოიძე

თავისუფლება

ჯუძლვნი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს – 26 მაისს

შესასვლელ კართან დიდი წითელი აბრა იყო დაკიდებული, რომელზეც ოქროს ასოებით ეწერა: „შინაგან საქმეთა სამინისტრო. დაწესებულება ა. ს. № 7, 356“, რაც ნიშნავდა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული შრომა-გამოსასწორებელი კოლონია №7-ს, ხოლო 356 საფოსტო ინდექსის აღმნიშვნელი ციფრი გახლდათ.

შესასვლელი კარი ჩადგმული იყო ეგრეთ წოდებულ საკონტროლო გამშვებ პუნქტში, რომელიც თავის მხრივ რკინის დიდი ელექტრონული ალაყაფის კარის გაგრძელებას წარმოადგენდა.

სამორიგეო ოთახში სამარისებური სიჩუმე სუფევდა, თუმცა იქ რამდენიმე გუშაგი იყო. ერთნაირ ფორმაში გამოწყობილი სამხედროები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, ტყუპის ცალები გეგონებოდათ. მათი ერთნაირად ცივი, არაფრისმთქმელი თვალები ოთახში ჩამოწოლილ სიჩუმეს კიდევ უფრო მეტ სიმკაცრეს მატებდა. ხანდახან კედელში ჩამონტაჟებული რადიოგადამცემი ახმაურდებოდა, რომელზეც მორიგე მკვირცხლად პასუხობდა და ბრძანების მიღების შემდეგ ზემდეგი უფროსის ნებას სასწრაფოდ აღასრულებდა.

სამორიგეო გამშვები პუნქტიდან საკმაოდ მოზრდილი ეზოს გადაღმა ადმინისტრაციული კორპუსი, ბლოკი აღმართულიყო. ეზოს ორივე მხრიდან რამდენიმე მეტრის სიმაღლის კედელი მიჰყვებოდა აქა-იქ ჩადგმული საგუშაგო კოშკურებით, რომლებზეც მორიგე რიგითები ორ საათში ერთხელ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. არცერთი ხე. არაფერი მცენარის მსგავსი. ტიტველ მიწასაც კი ვერსად ნახავდით. მთელი ტერიტორია სულ ბეტონით ან ასფალტით იყო დაფარული, რომელზეც თეთრი საღებავებით იყო დახაზული სამოძრაო-სავალი გზები თუ პირადი შემადგენლობის შეკრების ადგილები.

ადმინისტრაციული ბლოკი სამსართულიანი კაპიტალური შენობა გახლდათ. პირველ სართულზე პაემნების ოთახები და პირადი შემადგენლობის საძილე ბარაკი იყო განთავსებული. მეორე-მესამე სართულებზე კლუბი, წითელი, ანუ ლენინის ოთახი და დაწესებულებების ხელმძღვანელების კაბინეტები იერარქიის მიხედვით.

ადმინისტრაციული ბლოკის უკან იწყებოდა ეგრეთ წოდებული ზონა, სადაც მსჯავრდებულები ცხოვრობდნენ. რამდენიმე საცხოვრებელ ბარაკსა და გრძელ სასადილოს გარს ერტყა სამმეტრიანი კაპიტალური კედელი, აქა-იქ ჩასმული სათვალთვალო კოშკურებით.

საცხოვრებელი ბლოკის, ანუ ზონის გაგრძელებას წარმოადგენდა სამუშაო ბლოკი, ესე იგი სამუშაო ზონა, სადაც იძულებითი შრომითი თერაპიის წყალობით „კურნავდნენ“ მსჯავრდებულებს. საცხოვრებელი ბარაკების ნაცვლად რამდენიმე დახურული საწარმოო შენობა ჩაედგათ. აქაც ვერაფერს ნახავდით მცენარის მსგავსს, მხოლოდ ბეტონი და ასფალტი დახაზული ბილიკებით.

კომპლექსი ისე წინდახედულად იყო დაპროექტებული, რომ თითქმის სამივე ბლოკის ყველა წერტილიდან, განსაკუთრებით კი, ადმინისტრაციული კორპუსის მესამე სართულიდან, სადაც ხელმძღვანელთა კაბინეტები იყო განლაგებული, თავისუფლად შეიძლებოდა მთელი ტერიტორიის გაკონტროლება და უმნიშვნელო გადაადგილების შემჩნევაც კი. ყველაფერი გამჭვირვალე იყო, თვით შენობებიც კი; თითქმის ყველა შენობაზე იყო გაკრული უზარმაზარი სტენდები და პლაკატები, რომლებზეც დიდი წითელი ასოებით გამოეხატათ კომუნისტური იდეოლოგიის მხარდამჭერი ლოზუნგები.

მესამე სართულის კორიდორი გრძელი წითელი ხალიჩით მოეფინათ. რამდენიმე დიდ ტყავგადაკრულ კარებს ამშვენებდა გვერდზე მიკრული წითელი აბრა, რომლებზეც ოქროსფერი ასოებით ეწერა კაბინეტის მფლობელის თანამდებობა, გვარი და სამხედრო წოდება. ერთ-ერთი აბრა სხვებთან შედარებით ცოტა დიდი იყო და უფრო მსხვილი ასოებით ეწერა: დაწესებულების უფროსი, პოლკოვნიკი.

საინტერესო იყო უფროსის კაბინეტიც. გრძელი, ლათინური „T“ ასოს მსგავსი მაგიდა გვერდებზე შეწყობილი ათიოდე სავარძლით ოთახის ცენტრს ავსებდა, რომლის თავშიც პოლკოვნიკის ფორმაში გამოწყობილი მხარბეჭიანი, გულზვიადი გამომეტყველების მამაკაცი იჯდა და გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდა საბუთებს. მაგიდაზე იდგა რამდენიმე ტელეფონის აპარატი და რადიოგადამცემი. კედლები სავსე იყო კომუნისტური იდეოლოგიის მამების სურათებით. კუთხეში მოზრდილი დივან-სავარძელი და რამდენიმე საფერფლე იატაკზე. მაგიდის გასწვრივ თეთრი ზოლი იყო იატაკზე გავლებული, რაც იმის მაუწყებელი გახლდათ, რომ ამ ოთახში ყველას არ ჰქონდა სავარძელში ჩაჯდომის უფლება. როგორც ჩანდა, ბევრი აქ მყოფთაგან ამ თეთრ ხაზზე გამწკრივებული უსმენდა თავიანთ უფროსს. საყოფაცხოვრებო ფუფუნების ერთადერთი საგანი ფერადი ტელევიზორი იყო, რომელიც ამ მომენტში გამორთული გახლდათ.

პოლკოვნიკმა დროებით შეწყვიტა კითხვა, სავარძელში გადაწვა და ჩაფიქრდა. რამდენიმე წუთის შემდეგ წამოიწია, რადიოგადამცემი ჩართო და ჩვეული მკაცრი ხმით გასცა განკარგულება: – შემოიყვანეთ მსჯავრდებული!

შემდეგ მძიმედ წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და მზერა მსჯავრდებულთა საცხოვრებელს მიაპყრო, თითქოს უნდოდა თვალნათლივ დაენახა, როგორ შეასრულებდა მო-

რიგე ოფიცერი მის ბრძანებას. ამის დაფიქსირება კი მისი კაბინეტიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სავსებით შესაძლებელი გახლდათ.

რამდენიმე წუთში ოფიცერმა ოთახში მსჯავრდებულის ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა შემოიყვანა. მკვირცხლად უპატაკა უფროსს ბრძანების შესრულების შესახებ და უხმო თანხმობის მიღების შემდეგ ასევე მკვირცხლად დატოვა ოთახი.

მსჯავრდებული დაახლოებით ოცდახუთი წლის, ეროვნებით ქართველი ახალგაზრდა გახლდათ, რომელსაც ჯერჯერობით გაურკვეველი მიზეზების გამო თავის მდგომარეობასთან შეუფერებლად ამაყად ეჭირა თავი.

– აბა, რას აპირებ? რას იტყვი? მგონი, დღეს შენი სასჯელის ვადა იწურება?

მკაცრად გამოსცრა კბილებში პოლკოვნიკმა და მზერა უფრო დაძაბა, რომ პასუხის ჭეშმარიტებაში არ შემცდარიყო და მსჯავრდებულის ყველა ფიქრი და აზრი ესაჭიროება.

– მოქალაქე პოლკოვნიკო! ჩემი სასჯელის ვადა კი არ იწურება, არამედ უკვე ამოიწურა. ასე რომ, მე მსჯავრდებული აღარ ვარ, გთხოვთ, სუბორდინაცია დაიცავით. დღეს 26 მაისია. მე თავისუფალი ვარ. ნახვამდის, მოქალაქე პოლოვნიკო! იმედი მაქვს, აღარასოდეს შევხვდებით! – ნიშნის მოგებით დაამთავრა ახალგაზრდამ და პოლკოვნიკს თვალი თვალში გაუყარა. რითაც, ალბათ, იმ წუთში დაწყებული თავისუფლების დემონსტრირება სცადა.

პოლკოვნიკის სახეზე შეშფოთებული გაკვირვება გამოიხატა. მას უკვირდა, მიუხედავად იმ საკმაოდ დიდი ვადისა, რომელიც ამ უტიფარ ქართველს მის დაწესებულებაში გაატარებინა, კიდევ როგორ ამაყად იდგა და ბედავდა რაღაც სისულელეების თქმას. უკვირდა, ამ გამჭვირვალე გარემოში როგორ გამოეპარა, თუ რა ხდებოდა ამ ტუტუცი ახალგაზრდის თვალში. შიშიც გაუჩნდა. შიში იმისა, რომ მას შეიძლება დაეკარგა გამჭვირვალე რენდგენის უნარი. მან მსჯავრდებულის პირადი საქმე გადაშალა, თითქოს უნდოდა კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყო, მართლა 26 მაისს მთავრდებოდა თუ არა სასჯელის ვადა. დარწმუნდა. ამან უფრო გააღიზიანა, მაგრამ მაინც დამშვიდება ამჯობინა. გადაწყვიტა, სარეზერვო გეგმით ემოქმედა. მსჯავრდებულს სავარძელი შესთავაზა. ტელევიზორიც ჩართო დაბალ ხმაზე და ახალგაზრდას მიმართა:

– ესე იგი მსჯავრდებული აღარ ხარ? კეთილი და პატიოსანი, თავისუფალი ბრძანდები. მაგრამ იცი კი, რა არის თავისუფლება? შეძლებ კი თავისუფლად ცხოვრებას? შენ ხომ მთელი ცხოვრების უმეტესი ნაწილი აქ, ჩვენს დაწესებულებაში გაატარე. მე ეჭვი მეპარება.

– ეგ თქვენი პრობლემა არ გახლავთ! – უკმეხად შეაწყვეტინა ახალგაზრდამ. იგი ვერ ხვდებოდა პოლკოვნიკის სარეზერვო გეგმის მზაკვრულ არსს.

– თავისუფლება ბევრისათვის გაუგებარია და შეუცნობადი, – დინჯად გააგრძელა პოლკოვნიკმა, – განსაკუთრებით შენისთანა ყმაწვილისათვის. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ მიუხედავად სასჯელის ვადის ამოწურვისა, მაინც საშიში ხარ. საზოგადოებისთვის და შენი ნანატრი თავისუფლება ცოტათი შევზღუდეთ, რაც შემდეგში გამოიხატება: შენ დარჩები, დარჩები ორგანოში, რომლებიც ჩვენთან თანამშრომლობენ და ისინი იქნებიან შენი მეთვალყურენი. ყოველდღე შემოწმებები, დაკითხვები და ასე შემდეგ. აქედან კი შენს მშობლიურ ქალაქში ჩვენი ბადრაგი გაგაცილებს, რადგან შენ ნდობით აღჭურვილი პირი არ ბრძანდები. გასაგებია? ნიშნის მოგებით თქვა პოლკოვნიკმა, სიგარეტს მოუკიდა და საუბარი განაგრძო, მაგრამ მსჯავრდებული მას აღარ უსმენდა. იგი მხოლოდ ახლა მიხვდა პოლკოვნიკის ცბიერ განზრახვას და მწარედ ჩაფიქრდა. მზერა კი დიდ ფერად ტელევიზორს მიაპყრო, სადაც პირდაპირ რეპორტაჟს გადმოსცემდნენ აფრიკის რომელიღაც ქვეყნიდან. ეს ქვეყანა ამერიკულ ჯარს გაეთავისუფლებინა თავიანთი დიქტატორისაგან და ახლა ამერიკელები აფრიკის ამ ქვეყნის თავისუფლებას ზეიმობენ.

– FREEDOM! – ხმამაღლა ყვიროდნენ ამერიკელები, – გაუმარჯოს თავისუფლებას! – აჰყვა მათ ხალხი, მაგრამ არავინ იცის, სჯეროდათ კი მათ ამ უცხოელების მიერ მოტანილი უცხოური თავისუფლების. არავინ იცის.

–FREEDOM! – თავისუფლება! – ყვიროდა ხალხი ამ საოცარ უცხოურ სიტყვას ისე, რომ უმეტესობამ არც იცოდა მისი მნიშვნელობა. ზეიმობდნენ სამხედროები. მიმდინარეობდა სამხედრო აღლუმი. აქაც იყვნენ მრავალფეროვანი რიგითები, რომლებიც ტყუპებივით ჰგავდნენ ერთმანეთს და გულზვიადი გენერალი, რომელიც ზუსტი ასლი იყო ჩვენი ნაცნობი პოლკოვნიკისა. ისინი მხოლოდ სამხრეებით განსხვავდებოდნენ.

მსჯავრდებულმა შემთხვევით დაიჭირა ეს არცთუ ისე უცნაური მსგავსება და პირზე ღიმილი გამოესახა. ღიმილის დანახვამ პოლკოვნიკი უფრო გააღიზიანა. მან იმწამსვე გასცა მსჯავრდებულის წაყვანის ბრძანება. კარებიდან გასვლისას მსჯავრდებული შემოტრიალდა, პოლკოვნიკს თვალი თვალში გაუყარა და კბილებში გამოსცრა:

– წადი შენი დედაც... მაგრამ ეს არავის გაუგონია, რადგან ქართულად იყო ნათქვამი.

ნუ შეგაშინებს, ჩემო ქვეყანავ,
უკუღმართ დღეთა სწრაფი ტრიალი,
შენთან ვარ, ჩემო თვალის სინათლევ,
მომავლის წრფელი გულის ტრფიალით.

მღვდელმონაზონი სერაფიმე ფილია

ჩაის კომპანიამ „მილმართი“ ორიენტაცია პროდუქციის ხარისხზე აილო

ქვეყნის მეჩაიეობის ერთ-ერთ ძირძველ კუთხეში, გურიაში, მდებარეობს სოფელი შემოქმედი, სადაც ერთხელ თუ მოხვდი, არასოდეს დაგავიწყდება. მისი ბუნება წელიწადის ყველა დროს თვალისმომჭრელია, ტყუილად არ შეურქმევიათ უზენაესის სახლი.

„შემოქმედის ექსპერიმენტული ჩაის საწარმო“ დაარსდა 1975 წელს, რომელიც 2002 წლიდან შედიოდა ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტში. საწარმომ თავიდანვე გაითქვა სახელი უმაღლესი ჩაის წარმოებით. აქ ხშირად სტუმრობდნენ სპეციალისტები: ინგლისიდან, იაპონიიდან, შრი ლანკიდან და ირანიდან...

1975-1976 წლებში შემოქმედის ექპერიმენტული ჩაის საწარმოში, იაპონიიდან ჩამოიტანეს ჩაის გადამუშავების ტექნოლოგიური ხაზი, რომელიც მუშაობდა მაღალხარისხოვანი ჩაის პროდუქციის მიღებაზე (ჩაის ფოთოლი იკრიფებოდა 2-3 დუყი და მისი გადამუშავებით მიიღებოდა ელიტარული ჩაი), მაგრამ საამქრომ იმუშავა მხოლოდ 2 წელი, რადგან საბჭოთა პერიოდში ძირითადი აქცენტი პროდუქციის ხარისხზე ჰქონდათ, იაპონური ხაზი კი ამის საშუალებას არ აძლევდა.

საქართველოში მიმდინარე პროცესებმა აჩვენა, რომ საჭირო იყო არა რაოდენობა, არამედ ხარისხიანი პროდუქციის წარმოება, რომელიც თავისთავად კონკურენციას გაუწევდა უცხოეთიდან შემოტანილ ჩაის. 1990 წლის შემდეგ საქართველოს ჩაის ბუჩქებში არანაირი სასუქები არ შეტანილა, რაც წინაპირობა გახდა იმისა, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ეწარმოებინათ.

წლების განმავლობაში, ზემოთ მოყვანილი იაპონური ხაზებიდან ბევრი განადგურდა, მაგრამ დარჩენილი ნაწილი საწარმოს მიერ იქნა აღდგენილი და ამუშავებული, რისთვისაც გამოყენებული იქნა სპეციალისტების დიდი გამოცდილება ქართულ ტექნოლოგიაში. დაიწყო ხარისიხანი მწვანე ჩაის და შავი ჩაის წარმოება.

2011 წელს შემოქმედის ექპერიმენტული ჩაის ბაზაზე შეიქმნა შპს „მილმართი“, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია უმაღლესი ხარისხის მწვანე და შავი ჩაის წარმოებაზე.

ადგილობრივად წელიწადში დაახლოებით 3 ათასი ტონა ჩაი მოჰყავთ და მისი დიდი წილი ექპორტზე გადის – მათ შორის ნედლეულის სახით. მაგალითად, აზერბაიჯანში საქართველოდან გადის ჩაის ნედლეული, იქიდან კი ქართული ჩაი დაფასოებული ბრუნდება უკან, როგორც აზერბაიჯანული პროდუქტი. ბოლო წლებში, ადგილობრივ ბაზარზე ქართული ჩაის ბრენდების შექმნა-დამკვიდრებას ცდილობენ. „შემოქმედი“ ერთ-ერთი მათგანია.

შპს „მილმართის“ დირექტორი გიორგი მაისურაძე თვლის, რომ იმპორტირებული იაფი და დაბალხარსიხიანი ჩაის, რომელიც საღებავებითა და არომატიზატორებით არის გაჯერებული, ადგილობრივი პროდუქციით უნდა ჩაენაცვლოს. ხოლო ექსპორტზე გატანის პარალელურად საქართველოში გაყიდვების ქსელში შეტანა უნდა გაიოლდეს. ამ პროცესს სახელმწოფომ უნდა შეუწყოს ხელი, რომ ადგილობრივი წარმოება განვითარდეს.

– ჩვენი საწარმო ორინეტირებულია უმაღლესი ხარისხის ეკოლოგიურად სუფთა მწვანე და შავი ჩაის წარმოებაზე. ჩაი იკრიფება ხელით, ძირითადად მაისის თვეში, მაღალი ხარისხის სპეციალური ნედლეულიდან (2-3 ფოთლოვანი დუყი), რომელიც იზრდება გურიაში, სადაც არ არის გამოყენებული სასუქი, პესტიციდები და შხამქიმიკატები.

– როგორ დაიწყო თქვენი საქმიანობა?

– 2011 წელს გადავწყვიტეთ მის ბაზაზე ახალი წარმოება აგვეღორძინებინა, მაგრამ პრინციპულად შევცვალეთ მიდგომა და თუ საბჭოთა პერიოდში ჩაის წარმოებისას ძირითადი აქცენტი რაოდენობაზე კეთდებოდა, ჩვენ ორიენტაცია ხარისხზე ავიღეთ. შევისყიდეთ საწარმო, რაც მისგან იყო დარჩენილი, ხაზი გადავაიარაღეთ და ადგილობრივებისგან ნედლეულის მიღება დავიწყეთ. დანადგარები მეტწილად ხისაა, რაც პროდუქციის ლითონთან შეხებას მინიმუმამდე ამცირებს. ეს კი მაღალი ხარისხის ჩაის მიღების შესაძლებლობას გვაძლევს. 90-იანი წლებიდან ადგილობრივ ჩაის პლანტაციებში სასუქი თითქმის არავის შეაქვს და მაღალი ხარისხის პროდუქციის მიღების წინაპირობა ესეც გახდა. წარმოების ფეხზე დაყენება მთლიანად ჩვენი სახსრებით მოვახერხეთ და ბანკის კრედიტი არ დაგვჭირვებია. გურიაში დღესაც სინანულით იხსენებენ იმ დროს, როცა ყველა ჩართული იყო ჩაის კრეფაში, ადგილობრივებს ამით შემოსავალი ჰქონდათ, ამიტომ ქარხნის ამუშავებას ყველა სიხარულით შეხვდა.

– როგორ დამკვიდრდა ახალი პროდუქცია ბაზარზე?

– პირველი პროდუქცია ადგილობრივ ბაზარზე გამოვიტანეთ, თავდაპირველად მას, უბრალოდ, ქართული ჩაი დავარქვით. ჩვენ გავთვალეთ – მიგვეთითებინა მომხმარებლისთვის, რომ პროდუქცია ქართულია, გათვლამ გაამართლა. „შემოქმედის“ ჩაის ადრევე იცნობდნენ, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მალე ჩვენი ჩაი ბაზარზე სწორედ ამ სახელწოდებით გამოჩნდა. პროდუქციას ახლაც ნახევრად ვფუთავთ. სამომავლოდ გვსურს ევროპიდან ავტომატური შესაფუთი დანადგარი ჩამოვიტანოთ, მაგრამ ეს სოლიდურ ინვესტიციას საჭიროებს. ჩვენ პროდუციას კი მეტი პოპულარიზაცია სჭირდება, რათა ადგილობრივმა მომხმარებელმა იცოდეს, რა უპირატესობა აქვს ქართულ ჩაის იმპორტირებულთან შედარებით. მაღალი ხარისხის, პრემიუმკლასის ჩაი საქართველოში იმპორტით საკმაოდ ცოტა შემოდის და დიდი ფასი აქვს. სამ-ოთხჯერ ძვირია ჩვენ მიერ წარმოებულ იმავე ხარისხის ჩაიზე. ხოლო ის იმპორტირებული პროდუქცია საკმაოდ დაბალი ხარისხისაა. ასევე ჩვენ არაჯანსაღ კონკურენციაში

გვაყენებს. ჩაის განბაჟება შეღავათიანი პირობებით ხდება მაშინ, როცა ადგილობრივ ბაზარზე ჩვენი პროდუქცია იბეგრება. არის მონაცემები, რომ შემოდის კონტრაბანდული და ფალსიფიცირებული ჩაის პროდუქციაც.

– რა რაოდენობის წარმოების მოცულობა გაქვთ?

– დაახლოებით 10 ტონაა, მაგრამ გვაქვს პოტენციალი, რომ წარმოება გავაორმაგოთ. პროდუქციის სრული მოცულობის მხოლოდ ნახევარი იყიდება ადგილობრივ ბაზარზე, დანარჩენი კი მცირე პარტიებით საზღვარგარეთ გადის. ჩვენი ჩაი მიეკუთვნება პრემიუმ სეგმენტს და ქართულ ბაზარზე წარმოდგენილია ხუთი პოზიციით: შავი და მწვანე (გრეხილი მსხვილი) 100 გრ. შავი (გრეხილი წვრილი) 50 გრ. შეფუთვით. ასევე შავი და მწვანე ერთჯერად პაკეტებში (25*2გრ.), „შემოქმედი“ -ს სახელით. მონაწილეობას ვიღებთ ბოლო წლებში ჩატარებულ ყველა ჩაის გამოფენებში, სადეგუსტაციო ღონისძიებებსა და კონკურსებში, სადაც ჩვენი პროდუქცია განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს ჩაის სპეციალისტებისა და მომხმარებლების მხრიდან. ადგილობრივი ბაზრის გარდა ჩვენი პროდუქცია გადის ექსპორტზე: რუსეთში, ჩეხეთში, თურქეთში...

– ბოლო დროს გაიზარდა მწვანე ჩაის პოპულარობა ჩვენთანაც და უცხოეთშიც.

– მსოფლიოში ხარისხიანი მწვანე ჩაის დეფიციტია. მაგალითად, ქართული ჩაი, კრიზისის პერიოდში შუა აზიის ბაზრებზე ჩინურმა ჩაიმ ჩაანაცვლა. იქ მიღებულია დღეში ათ ჭიქაზე მეტი მწვანე ჩაის დალევა და ვინც ინტენსიურად მიირთმევდა ჩინურ მწვანე ჩაის, გულ-სისხლძარღვთა პრობლემები გაუჩნდა. ქართული მწვანე ჩაი კი ტანინის დაბალი შემცველობითა და ნაზი არომატით გამოირჩევა. ამის შემდეგ კვლავ გაჩნდა მოთხოვნა ქართულ ჩაიზე – მიუხედავად იმისა, რომ ის ჩინურზე ძვირია. ჩაის წარმოება რთული პროცესია, მაგრამ ხარისხიანი პროდუქცია საკმაოდ მომგებიანიც არის, რადგან ჩაის შენახვის ვადა სამი წელია.

ლელა სურმავა

მწვანე ჩაის დადებითი და უარყოფითი თვისებები

მწვანე ჩაი – გახდომის ყველაზე მარტივი და პოპულარული საშუალებაა, მაგრამ რამდენადაა უსაფრთხო ეს „სიმარტივე“ ჯანმრთელობისთვის?

ყველაფერი ზომიერი სასარგებლოა. ჩემთვის ეს ერთ-ერთი საუკეთესო გამოთქმაა. მწვანე ჩაი მდიდარია ნივთიერებებით, რომლებიც აახლებს ადამიანის სისხლძარღვთა კედლების უჯრედებს, ხელს უშლის ადრეული სტადიის სიმსივნეების ზრდის პროცესს. ყოველდღიურად ორი ჭიქა მწვანე ჩაის დალევა კუჭისა და ღვიძლის კიბოს განვითარებისგან დაგიცავთ. ასევე, ის კარგად მოქმედებს გულის მუშაობაზე.თუ მწვანე ჩაის ნაყენს დროდადრო პირის ღრუში გამოივლებთ, ბაქტერიები განადგურდება და კარიესისგან დაცული იქნებით. ორგანიზმის გამოფიტვისა და სისხლნაკლებობის დროს, ძალიან სასარგებლოა ნესვი. ის სწრაფად შეითვისება ორგანიზმის მიერ, ოფლმდენია, ხელს უწყობს კენჭების დაშლას და გამოდევნის მას თირკმელებიდან და შარდმდენი გზებიდან. ის უებარი წამალია კუჭის შეკრულობის დროსაც. საკვებად გამოიყენეთ ისეთი პროდუქტები, რომელთა ჭამა უმადაც შეიძლება, რადგან, თერმული დამუშავების დროს ისპობა სასარგებლო ელემენტების და ვიტამინების დიდი ნაწილი. უმი ბოსტნეული ორგანიზმს იცავს კიბოსგან, ამაგრებს გულსა და სისხლძარღვებს, აქვს ბევრი სასარგებლო თვისება, რაც ხარშვის დროს იკარგება (დაახლოებით 50 პროცენტი).

მწვანე ჩაის სასარგებლო თვისებები უძველესი დროიდანაა ცნობილი. ჯერ კიდევ ბუდისტი მონარქები იყენებდნენ მწვანე ჩაის სამკურნალო მცენარის სახით.

მწვანე და შავი ჩაი მზადდება ერთი და იმავე ნედლეულისგან, მაგრამ გამოიყენება სხვადასხვა ტექნოლოგია. იმდენად, რამდენადაც მწვანე ჩაი ექვემდებარება ნაკლებ გადამუშავებას, ის ინარჩუნებს უფრო მეტ სასარგებლო ნივთიერებებს, რომლებიც დადებითად მოქმედებენ ჩვენს ორგანიზმზე. იგი ეფექტურად ებრძვის რადიაციულ დაავადებებს, მისი მიღება სასარგებლოა იმათთვის, ვინც ხანგრძლივად მუშაობს კომპიუტერთან, ან უბრალოდ უყურებს ტელევიზორს. ის არის ათეროსკლეროზის, გულის დაავადებების, თავის ტვინის სისხლძარღვების პროფილაქტიკის ერთ-ერთი საშუალება. მწვანე ჩაის მიღება ასევე რეკომენდირებულია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის. მწვანე ჩაიში შემავალი ნივთიერებები ასტიმულირებენ სისხლის მიმოქცევას, სასარგებლოა ღვიძლის დაავადებების, რევმატიზმის დროს.

გახსოვდეთ, რომ მიუღებელია მწვანე ჩაის რძესთან შერევა, ან შაქრის დამატება, ვინაიდან ამის შემდეგ მნიშვნელოვნად მცირდება ყველა სასარგებლო ნივთიერების შემცველობა. თუ თქვენ მიჩვეული ხართ ტკბილი ჩაის მიღებას, მაშინ შეგიძლიათ დაუმატოთ ცოტა თაფლი. რეკომენდირებულია დღეში არანაკლებ სამი ჭიქა მწვანე ჩაის მიღება.

სიცოცხლის ხანგრძლივობა ბუნების წიალიდან მოდის

უბრალო თელაველი კაცი, დომენტი გაგნიძე თავისი ინტუიციითა და ალღოს მეშვეობით, უფლის შთაგონებით და წყალობით გახდა სახალხო მკურნალი. ბალახეული ინგრედიენტებისაგან ნაზავი პროდუქტით, ყოველგვარი ქიმიური ნივთიერებების შერევის გარეშე, შექმნა პარასამკურნალო პრეპარატები – დომენტოლი და გაგენოლი.

სწორედ, ამ ბალახეული პროდუქტებით ასეულობით ადამიანი გამოჯანმრთელდა, გაუხანგრძლივდა სიცოცხლე და მდგომარეობა გაუუმჯობესდა. მკურნალმა ბევრი ლოგინს მიჯაჭვული პაციენტი საწოლიდან წამოაყენა, გადააგდებინა ინვალიდის ეტლი და ყავარჯენი.

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, დომენტი გაგნიძე მასთან მისულ პაციენტს უკან არ გააბრუნებს და მკურნალობს, იმ ავადმყოფებსაც, რომლებსაც კლასიკური მედიცინა ვერ შველის, საავადმყოფოდან მშვიდი სახითა და გონებით იმედგადაწურულებს სახლში უშვებენ, მხოლოდ ის დარჩათ, მკურნალს მიაკითხონ და ტკივილით გათანგულები მოახლოებულ სიკვდილს დაელოდებიან.

დომენტი გაგნიძე ამ ავადმყოფებს სიცოცხლეს გაუხანგრძლივებს და ტკივილს უყუჩებს. ამას ადასტურებს მის არქივში არსებული ასობით და ათასობით სამადლობელი წერილი.

გავიკეთე ანალიზი ჰეპატიტზე ქართულ-ფრანგულ ერთობლივ ჰეპათოლოგიურ კლინიკა „ჰეპაში“. დამისვეს დიაგნოზი C ჰეპატიტის I გენოტიპი. ექიმმა მითხრა, რომ ეს დიაგნოზი სიცოცხლისთვის ძალიან საშიშია და გამოიწვევს მცრე ხანში – ერთ ან ორ წელიწადში მძიმე შედეგს (გარდაცვალებას). მათ მითხრეს, რომ ამ დაავადების სამკურნალოდ საჭიროა 10 000 ევრო, ისე რომ განკურნების გარანტია არ მექნება. ამ თანხის გადახდის საშუალება არ მქონდა. ტელევიზიით შევიტყვე თქვენს შესახებ, დავიწყე დომენტოლით და გაგენოლოთ მკურნალობა. ჩავიტარე მკურნალობის ერთი სრული კურსი (36 ნემსი). შემდეგ იმავე ცენტრში ჩავიტარე ანალიზი, საოცარი შედეგი აჩვენა – ჩემს ორგანიზმში სისხლში არსებული ვირუსის რაოდენობა 7 000 000 ერთეულით შემცირდა და დავიდა 3 000 000-მდე. ექიმები ასეთი ფანტასტიკური შედეგით გაოცებული დარჩნენ.

თქვენი პრეპარატებით ისევ ვაგრძელებ მკურნალობას და ძალიან კმაყოფილი ვარ. ამ წერილს გწერთ თქვენი პაციენტის დედა.

14. 02 2011 წელი

აფხაზეთის ომის ვეტერანი ვარ, როგორც დევნილს პრეპარატები მკურნალმა უფასოდ გამომიყო.

- ნაღვლის ბუშტის ანთება შენელებულია, უწინ თუ ნაღველი თავისი სადინარების მეშვეობით ისხმებოდა კუჭში, ახლა ამას ადგილი არ აქვს.
- მაწუხებდა კუჭის ტკივილი, ახლა ისე ხშირად აღარ მაწუხებს.
- აზრის გაფანტვა, რომელიც ახლა თავს მახსენებს, მაგრამ არც ისე ხშირად, როგორც ადრე.
- მაწუხებს გულის არითმია, გულის კუნთის ტკივილი, პარასამკურნალო პრეპარატების მიღების შემდეგ ოდნავ შენელებულია.
- სახსრების ტკივილი, ასევე წელისა და მუხლების არეში. ვფიქრობ, მეორე და მესამე კურსის მიღების შემდეგ ღვიძლის გადიდებისგან განვიკურნები.
- მაწუხებდა თვალებიდან ცრემლდენა.

გთხოვთ, მეორე და მესამე კურსის გასაგრძელებლად გამომიყოთ დომენტოლის და გაგენოლის პრეპარატები.

ა. ჩეგიანი
25. 01 2011 წელი.

ავადმყოფი დაავადებული იყო C ჰეპატიტით, გართულებული ფორმა მეოთხე ფიბროზით. ჰქონდა მაღალი აქტივობის მაჩვენებლები. პირველი კურსის შემდეგ (36 ნემსი) შედეგით ექიმი გაოგნებული დარჩა, ძალიან კარგი მდგომარეობა მიიღო.

დ. კოხრეიძე

ნოდარ დოლიძეს კუჭის სიმსივნე აწუხებდა. საყლაპავი სულ დაფარული იყო. ოპერაციაზე უარი განაცხადეს. ვერც საჭმელს ჭამდა, ვერც წყალს სვამდა. დაიწყო დომეტოლისა და გაგენოლის პრეპარატების მიღება. ფეხზე დადგა, მოძლიერდა. ექიმებმა ერთი თვის სიცოცხლის ვადა მოგცვეს, უკვე სამი თვე გავიდა.

ლალი დოლიძე

დაავადებული ვიყავი ცეროზით 1 კატეგორია, ქრონიკული პროსტატიტით და აზოტით. გავიკეთე დომენ-



ტოლისა და გაგენოლის 12 ნემსი. ამჟამად საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. მომიწესრიგდა საჭმის მონელება, ძილი, მომემატა ენერგია, მომეხსნა ჭვალები, დავმშვიდდი. უკეთესად ვგრძნობ თავს.

ჯერო გამახარია

ვარ 44 წლის. მქონდა შუასაყრის ლიმფომა. ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში გავიკეთე ოპერაცია. ჩავიტარე ქიმიური ტერაპიის 8 კურსი და სხივური თერაპიის 2 კურსი. ამჟამად ვმკურნალობ დომენტოლისა და გაგენოლის პრეპარატებით. შედარებით უკეთესი მდგომარეობა მაქვს.

ემზარ გოგოხია

2007 წელს ჩემს მეუღლეს ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში გავუკეთე ოპერაცია. ამოაცალეს ორი ნეკნი, ჰქონდა სიმსივნური წარმონაქმნი. თქვენი წამლების ერთი კურსის მიღების შემდეგ კარგი შედეგი აქვს. პრეპარატებმა სრულად განკურნა სახსრების დაავადება პოდაგრა.

ასმათ ბექაური

ნერვიულობის ნიადაგზე 35 წლის ასაკში დამემართა ინსულტი, წამერთვა მარცხენა ხელი და ფეხი. ვეღარ ვსაუბრობდი. დომენტოლისა და გაგენოლის კურსის შემდეგ ავამოძრავე ფეხი და ვსაუბრობ.

ნინო პეტრიაშვილი

გავიკეთე სარძევე ჯირკვლის ამპუტაცია, ასევე საშვილოსნოს. დამინიშნეს ქიმიო თერაპია, რომლის მიმართ უარყოფითად ვიყავი განწყობილი. პარასამკურნალო პრეპარატებით – დომენტოლით და გაგენოლით მკურნალობა დავიწყე. ძალიან კმაყოფილი ვარ. არაფერი არ მაწუხებს.

ლილი ეხვაია

დომენტოლი და გაგენოლი არის პარასამკურნალო სამედიცინო პრეპარატები, იმუნოსტიმულატორი. დამზადებულია ეკოლოგიურად სუფთა, ველურად მზარდი, უნიკალური ქართული სამკურნალო ბალახებისგან. ადამიანის იმუნურ სისტემას აძლიერებს, რაც ბუნებრივად ისეთ დაავადებებს კურნავს, როგორიც არის სხვადასხვა ორგანოების სიმსივნეები, ნერვული და სისხლძარღვთა სისტემების პათოლოგიები, სუნთქვისა და საჭმლის მომნელებელი ორგანოების ფუნქციის დარღვევა, მსოფლიო საზოგადოებისთვის გადაუჭრელ პრობლემად ქცეული სხვადასხვა წარმოშობის ჰეპატიტები და სხვა მრავალი. საუკეთესო შედეგს იძლევა შიდსთან და ნარკომანიასთან. პრეპარატს უკუჩვენება არ აქვს.

ორგანიზმში არსებული დაავადებების სიმძიმიდან გამომდინარე, შესაძლოა მეორე და მესამე კურსი დაგჭირდეთ, 20-25 დღის დასვენების შემდეგ ჩაიტაროთ.

®

გასცე ის, რაც გაქვს - იგავი სიკეთეზე

მაღაზიის გამყიდველი დახლის უკან იდგა და დაბნეულად იყურებოდა ქუჩაში, როდესაც პატარა გოგონა ვიტრინას მიადგა. გოგონამ დაინახა, რასაც ეძებდა, აღფრთოვანებისგან თვალები გაუბრწყინდა, მაღაზიაში შევიდა და ფირუზის მძივი მოითხოვა.

– ჩემი დისთვის მინდა. შეგიძლიათ, ლამაზად შემიფუთოთ? – იკითხა მან.

გამყიდველმა გოგონას ეჭვით შეხედა:

– რამდენი ფული გაქვს?

გოგონამ ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, გადმოაბრუნა და დახლზე ხურდა დაყარა. თან იმედიანად იკითხა:

– საკმარისია?

იქ მხოლოდ რამდენიმე მცირე მონეტა იყო. გოგონამ ამაყად გააგრძელა:

– იცით, მე მინდა გავუკეთო საჩუქარი დას. მას შემდეგ, რაც დედაჩვენი გარდაიცვალა, უფროსი და ზრუნავს ჩვენზე, საკუთარი თავისთვის კი დრო არ რჩება. დღეს დაბადების დღე აქვს და დარწმუნებული ვარ, გაეხარდება ასეთი მძივი. ძალიან მოუხდება მისი თვალების ფერს.

მამაკაცმა პატარა ყუთი მოიტანა, შიგ ფირუზის მძივი ჩადო, შეფუთა და ბაფთა დაამაგრა.

– აიღე და ფრთხილად წაიღე! – უთხრა გოგონას.

გოგონა შინისკენ გაიქცა. სამუშაო დღე სრულდებოდა, როცა იმავე მაღაზიის ზღურბლი ახალგაზრდა ქალმა გადაკვეთა. მან ნაცნობი ყუთი დახლზე დადო, შესაფუთ ქაღალდთან და ბაფთასთან ერთად.

– ეს მძივი აქ იყიდეს? რა ღირდა?

– ნებისმიერი ნაკეთობის ღირებულება ჩვენს მაღაზიაში კონფიდენციალურად თანხმდება ჩემსა და კლიენტს შორის, – უპასუხა მაღაზიის მეპატრონემ.

– კი მაგრამ, ჩემს დას მხოლოდ რამდენიმე მონეტა ჰქონდა. მძივი კი ნამდვილი ფირუზისაა და ძალიან ძვირი უნდა ღირდეს. ეს საჩვენო არაა.

მამაკაცმა ყუთი აიღო, სიფრთხილით და სითბოთი განაახლა შეფუთვა, გადასცა გოგონას და უთხრა:

– მან ყველაზე დიდი ფასი გადაიხადა... მეტი, ვიდრე შეეძლო ნებისმიერ უფროსს: გასცა ყველაფერი, რაც ჰქონდა.

პატარა მაღაზიაში სიჩუმემ დაისადგურა. გოგონას, რომელსაც აკანკალებულ ხელში პატარა ყუთი ეჭირა, თვალებიდან ორი ცრემლი ჩამოუგორდა...

მკვლელობის ვერსია

– მიუსჯიან მამას? – უკვე მერამდენედ კითხულობს თეა და შეშინებული თვალებით შეჰყურებს სამართალდამცავთ.

– დამშვიდდით, მიუსჯელობა არ იქნება, ეს თქვენზე არანაირ გავლენას არ იქონიებს, პირიქით, სასჯელის მოხდის შემდეგ მამათქვენი სუფთა ხელებითა და სინდისით წარსდგება თქვენი ოჯახისა და საზოგადოების წინაშე.

– დაე, მოხდეს ისე, როგორც ამას კანონი და სამართალი ითვალისწინებს, – ბედს შერიგებული კილოთი წარმოთქვა თეამ და მის გვერდით მდგომ ბექას მიაპყრო იმედიანი მზერა.

– მე მინდა ცოდვა, რომელიც კისერზე მაწევს გამოვისყიდო, რაც მხოლოდ სასჯელის მოხდითაა შესაძლებელი... შენ ხომ გჯერა ჩემი შვილო?

– მჯერა... – სიყვარულით აღსავსე მზერით ამოხედა თეამ მამას.

– ჰოდა ასე...

– მალე გავა დრო... აი ნახავ, სულ მალე გავა დრო – ისეთი ტონით მიმართა ბექამ, თითქოს თავად ყოფილიყოს ამ ყველაფერში დამნაშავე.

ყველაზე მეტად თეას ამ სიტყვებმა მოგვარა შვება და კიდევ მეტი იმედით გახედა მომავალს.

სულ რაღაც ორიოდე კვირის შემდეგ კიდევ ერთი სამწუხარო ამბავი შეიტყვეს პოლიციის განყოფილებაში... ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე ნაპოვნი იქნა გვამი, რომელიც ხელთ არსებული პირადი საბუთების თანახმად, ლაშა გენოს ძე ინწკირველი აღმოჩნდა.

დადგინდა: ლაშა გენოს ძე ინწკირველი მოკლული იქნა თავში ბასრი საგნის ჩარტყმის ნიადაგზე.

გაირკვა: იგი მოკლული იქნა გაიოზ ვლადიმერის ძე უკლებას მიერ.

პოლიციის პოლკოვნიკმა ამცნო თანამშრომლებს, რომ ეს ის ლაშა ინწკირველია, რომელმაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია მათ უწყებას, ამხილა ბოროტმოქმედთა ბუნაგი, საბოლოოდ აღკვეთა მათი თარეში, რაც არ აპატიეს და ახალგაზრდა კაცი სიცოცხლეს გამოასალმეს.

ორგანოს მუშაკებს ისღა დარჩენოდათ, საფლავი გაეთხარათ და პატივი მიეგოთ ერთი უპატრონო, გზასაცდენილი ბიჭისთვის და ორიოდ ჭიქით მისი შესანდობარი შეესვათ.

– დედებმა... დედებმა დაგვღუპეს ჩვენ! ჩიტი რომ ჩიტია, ის არ ტოვებს თავის შვილს, დღენიადაგ მასზე ზრუნავს... ჩვენ კი დედებმა მიგვატოვეს, მიგვაგდეს და სამუდამოდ მიგვივიწყეს... იმათ თუ არა, ჩვენ გვენატრებოდნენ ისინი... მონატრებას გულისწყრომა ცვლიდა ...გულისწყრომას – სიძულვილი... ეს ჩემში, ლაშაში ყველაფერი პირიქით იყო მანამ, სანამ იმ წყეულმა ძმანაძემ არ ჩაავლო მაგრად ხელი და თავის კლანჭებში არ მოიქცია. ჩვენ სრულიად დაუცველნი აღმოვჩნდით არა მარტო დედებისგან, არამედ მთელი სამყაროსგან... ასე ჩამოვყალიბდით დამნაშავეებად... – გაიოზმა ლაპარაკი შეწყვიტა და უტყვი მზერა მიაპყრო დარბაზს, მუშტები მაგრად შეკრა და მსჯავრდებული ძმანაძის მისამართით ზიზღით შეჰყვირა, – უხ, ერთი ეს მიმახრჩობინა!...სწორედ მან აღიარა პირველად ჩემი თვალების სისასტიკე... სწორედ მან ჩამაგონა ბოროტება... მკვლელობა... მიმახრჩობინეთ!... სიმწრის ცრემლი ახრჩობდა გაიოზს. მისკენაც სცადა გაწევა, მაგრამ ამაოდ...

– ნეტავ ახლა დაანახა ჩემი თავი დედას... აქ ხომ დედებიცა ხართ, განა ნებისმიერ თქვენგანს არ გიყვართ თქვენი შვილი, არ იცავთ მას ავისგან, ბოროტისგან, არ გაწირავთ მათთვის სიცოცხლეს? მეც ხომ შვილი ვარ... ვიღაცის შვილი... მე რაღა დავაშავე... სადა ხარ დედა... არც ახლა შეგეცოდება შენი შვილი?..

დარბაზში ქვითინებდნენ. დიახ, შეიცოდეს... შეიბრალეს ეს ყოფილი მკვლელი... ჯალათი და შეიცოდეს იმაზე მეტად, ვინემ მისი შეცოდება იყო შესაძლებელი.

– სად არის დედა... სად არის სამართალი!... – არაადამიანური ხმით დაიღრიალა გაიოზმა, წუთით იყუჩა, თითქოს რაღაცას მიუგდო ყურიო და კვლავ მოყვა შფოთვას, – ჩემი ბრალი არაა... დედას დააბრალეთ... დედას... – ჩურჩულებდა გაიოზი და ყოველ ჯერზე ეცვლებოდა გამომეტყველება, – ლაშა... ინწკირველი?... ჩვენ ერთად გავიზარდეთ... ა-ჰა-ჰა-ჰა... როგორ გავიმეტებდი, – თავისთავს უწყრებოდა ჭკუას გადამცდარი გაიოზი და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა ფრაზებს, – ვინ მოკლა?... რა თქმა უნდა, დედამ ...კიდევ ერთი კაცი იყო, თუმცა მისი არც სახე მახსენდება არც სახელი... ჩემი ბრალი არაა... დედას გეფიცებით, არც ახლა გჯერათ ჩემი... ნურაფერს მაბრალებთ... შემეშვით... – ხელებს გამეტებით იქნევდა გაიოზი და მეტად და მეტად შმაგდებოდა.

გაიოზმა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დალია სული, ეს იყო მისი ბოლო!...

ზოგჯერ მათ საფლავზე ორი ახალგაზრდა ამოდიოდა ყვავილებით ხელში, ალბათ მიხვდებოდით, ესენი ლაშა და თეა იყვნენ. ისინი პატივს აგებდნენ ორ ნაადრევად დაღუპულ სიცოცხლეს, ორ უპატრონო, უშვილძირო, გზააბნეულ ახალგაზრდის ხსოვნას, რომელთაგანაც ერთმა შეძლო და სიკვდილამდე გამოისყიდა დანაშაული, მეორემ კი საფლავში ჩაიტანა მძიმე ტვირთად.

დასასრული

ირინა რამიშვილი

ისწავლეთ თმის გაშრობის საიდუმლოებანი

თმის გაშრობამდე აირჩიეთ სასურველი ვარცხნილობა. სანამ თმა ჯერ ისევ ნესტიანია, დაივარცხნეთ და დაყავით ნაწილებად: საქოჩრე, ზედა ნაწილი, კეფა და გვერდითი ნაწილები. გაშრობას ვიწყებთ კეფიდან, ვასწორებთ პატარ-პატარა მონაკვეთებს თანმიმდევრობით. ჰაერის ნაკადს ვამოძრავებთ თმის ძირებიდან ბოლოების მიმართულებით, რათა თმის ღერის ზედაპირი გლუვი გახდეს.

ფენის სახეობები

თანამედროვე თმის საშრობებს (ფენებს) სხვადასხვა სიმძლავრე აქვთ, 1000-დან 2000 ვატამდე. დალაქების აზრით, დიდი სიმძლავრის ფენი უფრო ხარისხიანად ვარცხნის და ასწორებს თმას. მოკლე თმა ასეთი სიმძლავრის ფენს არ საჭიროებს.

მოკლე თმის გასაშრობად საკმარისია 400-800 ვატი სიმძლავრის ფენი. უფრო გრძელი და ხშირი თმისთვის საჭიროა 1600-1800 ვატიანი ხელსაწყო. აღვნიშნოთ კიდევ ერთი ატრიბუტი, რომელიც აქვს პრაქტიკულად ყველა უკანასკნელი მოდელის ფენს. საუბარია ცივი ჰაერის მოწოდების ფუნქციაზე.

არ ღირს დავარცხნა ცხელ რეჟიმში, თუ:

- თმა დახვეული გაქვთ ქიმიურად
- თმა დასუსტებული და თხელია

ფენით გაშრობა თმის ტიპის მიხედვით

თუ ფენს მხოლოდ თმის გასაშრობად იყენებთ, საჭიროა ყველაზე ძლიერი ფენი, მაგრამ თუ თმის გასწორებაც გინდათ, საჭიროა ფენი სამი ფუნქციით:

- მაღალი ტემპერატურით – წინასწარ შესაშრობად.
- საშუალო ტემპერატურით – გასასწორებლად,
- ცივი ჰაერით – დავარცხნილი თმის გასაგრილებლად.

ქიმიურად დახვეული თმის გასაშრობად გამოიყენება ფენი დიფუზიური საცმით, საიდანაც ჰაერის ნაკადი გამოდის დაშლილი და თქვენი კულულები ინარჩუნებენ საჭირო ფორმას. ის საშუალებას იძლევა, ჰაერმა თანაბრად შეაღწიოს თმის ძირებში.

ტალღოვანი თმა

მოკლე და საშუალო სიგრძის ტალღოვანი თმის გასაშრობად გამოიყენება დიფუზიური საცმი მოკლე „თითებით“. გრძელი და ხშირი თმისთვის – გლუვი „თითებით“. დიფუზორი ღრუიანი „თითებით“ დაგეხმარებათ უფრო მოცულობითი ვარცხნილობის შექმნაში.

გრძელი თმა

როგორ დავივარცხნოთ გრძელი, ხვეული თმა, რომ ლამაზად გამოვიყურებოდეთ? როგორ მივცეთ ასეთ თმას მაქსიმალური მოცულობა?

- სველ, დავარცხნილ თმაზე შეიზილეთ მუსი ან ქაფი საშუალო ან ძლიერი ფიქსაციით, თმის მდგომარეობის შესაბამისად.
- შეიშრეთ ზედმეტი სისველე: სწორი თმა დიფუზორის გარეშე, ხვეული – დიფუზორით. ამასთან, საცმი მიმართული უნდა იყოს ზევით, ხოლო თავს ამ დროს წევენ ქვევით. მიაქციეთ ყურადღება: ამ ეტაპზე თმა ცოტა ნესტიანი უნდა დარჩეს.
- სწორ თმას რომ მოუცლობა მივცეთ, ფენს მიამაგრეთ დიფუზორი. გააგრძელეთ თმის გაშრობა საშუალო სიჩქარეზე დიფუზორის გადაადგილებით. მოცულობითი კულულების შექმნა ნაწილ-ნაწილ უფრო მოსახერხებელია.
- კულულის გაშრობისას უკეთეს შედეგს მიაღწევთ, თუკი მონაცვლეობით იხმართ დიფუზორს და ხელის გულს (კულული მოაქციეთ ხელის გულზე და შეკუმშეთ ხელის თავთან მიტანით).
- გაისწორეთ ყოველი კულული დიფუზორით და ხელის გულით. თმის ბოლოებისთვის საბოლოო ფორმის მისაცემად გამოიყენეთ ფენი-ჯაგრისი. ახლა მოდაშია, როცა თმის ბოლოები გარედან ან შიგნიდანაა შეხვეული. შესაძლებელია შერეული ვარიანტიც, რითაც მივიღებთ მშვენიერ საზეიმო ვარიანტს.

მოკლე თმა

მოკლე თმისთვის არსებობს ფენი-ჯაგრისები, რომლებიც არა მარტო აშრობს, არამედ ვარცხნის და მოცულობას მატებს თმას. ზოგიერთ ფენს ახლავს „შლემი“, ბიგუდებზე დახვეული თმის სწრაფად ან შედარებით ნელა გასაშრობად.

როგორ გავიშროთ?

გასაშრობი თმის ნაწილი მთლიანად დავახვიოთ ჯაგრისზე და მივმართოთ მასზე ჰაერის ნაკადი. დიდი დიამეტრის ჯაგრისი ქმნის მსხვილ ტალღას, ვარცხნილობა დიდხანს ძლებს.

საშუალო სიგრძისა და გრძელი თმა

ნაბიჯი 1. დახარეთ თავი. თმა ჩამოუშვით დაბლა.

ნაბიჯი 2. ჰაერით შებერვასთან ერთად, ივარცხნეთ ჯაგრისით თმის ზრდის საწინააღმდეგო მიმართულებით – უკნიდან წინისკენ.

ნაბიჯი 3. როდესაც თმა ნახევრად გაშრება, ასწიეთ თავი და მიეცით ვარცხნილობას დასრულებულიო სახე.

თმის ვარცხნის დროს, სანამ სხვა ნაწილზე გადახვალთ, პირველი ნაწილი კარგად გააშრეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვარცხნილობა დაგეშლებათ.

მოკლე თმა

ნაბიჯი 1. დაივარცხნეთ თმა სიგრძის შესაბამისი საცმით.

ნაბიჯი 2. „გაიარეთ“ ჯაგრისით თმის ზრდის საწინააღმდეგოდ: ამ დროს თავი გადმოხარეთ წინ. ფენი ისე გეჭიროთ, რომ ჰაერი მიმართული იყოს თმის ზრდის საწინააღმდეგოდ. ამ შემთხვევაში, თმის ქერცლოვანი ზედაპირი გლუვი ხდება და თმა ბზინვარებას შეიძენს. ნუ გამოაშრობთ თმას. გაშრობისა და დავარცხნისას ფენი არ უნდა გეჭიროთ 20 სმ-ზე უფრო ახლოს თმასთან.

გურული ხუმრობები

☺ ☺ ☺

გურული ციმბირშია ჯარში... დაიწყო პოლარული 6 თვიანი ღამეები. მიიღო დედის წერილი.

– სად ხარ ნენა, რაფერ ხარ?

– სად ვარ ნენა და შენ რომ ბაღნობაში მწყევლიდი, შენ არ დაგიღამდესო, ე, იქანა ვარ.

☺ ☺ ☺

გურულს ეკამათებიან ქალის ბუნებაზე. ერთი იცავს, არადა გურული მაგარი გამწარებულია და არ ინდობს არავის. ბოლოს მოპაექრე ეუბნება:

– არა, ბატონო, ყველა ქალს ერთ ქვაბში ნუ მოხარშავთ! – რეიზა, მიიწვავს თუ?!

☺ ☺ ☺

გურულს ჰკითხეს – შენი ახალი მეზობელი რომაა ამბაკო, რავარი კაცია?

– მაი არ მკითხო, ძამა, იმფერი მაკვარანცხია, ხელს რომ ჩამოგართუმს, თითები უნდა გადათვალო, რომელიმე ხომ არ აგწაპნაო.

☺ ☺ ☺

– გეიგე, ჩვენი კაკოიე რომ მომკვდარა?

– არ გადამრიო, როის, ბიჭო?

– დილის 4 საათზე.

– მაგიზა გეიღვიძა ასე ადრიანად მაგ უბედურმა?

☺ ☺ ☺

– ვაი დედა, ვაი დედა, რა მთავრობა მევიდა, სულ გაგვიყიდენ ყველაფერი – გაჰკივის გურული ქალი.

– რავა, ჩვენი იყო თუ? – ჰკითხა გაკვირვებულმა ქმარმა.

☺ ☺ ☺

– ვერ მეტყვი რომელი საათია? – ზრდილობიანად მიმართეს გურულს.

– რეიზა ვერ გეტყვი ძამა, გენდური თუ?!

☺ ☺ ☺

გურული მუშაობს ბიბლიოთეკარად. შემოვა ერთი მკითხველი და გურულს ეტყვის:

– „მთვარის მოტაცება“ მინდა.

– მერე მე პწკალა მიგიყუდო, ძამა?!

☺ ☺ ☺

გურული შედის სამძიმარზე და ესმის, ცოლი დასტირის ქმარს:

– შე საცოდავო, ისე წახვედი, ვერც წამალი დაგალევიე, ვერც საჭმელი გაჭამე, ვერც წყალი მოგიტანე.

გადეირია გურული.

– ამას მოუკლავს აი კაცი და ახლა ტირის?!

☺ ☺ ☺

გურულს ჰკითხეს, – შენმა მეზობელმა რომ სახლი დეიწყო, თუ დაამთავრა?

– გაჩერდი ერთი თუ ძმა ხარ, სახლი კი არა, მაი იმფერი ზარმაცია, მახათს ცოლი უყრისო.

☺ ☺ ☺

გურულმა სუფრაზე ერთს ჰკითხა – როგორ ხარ?

– ჯონჯოლივითო, – თუ ხარ სუფრაზე, კაია და თუ არა, კაცს არ გაახსენდებიო.

ჯანსაღი საკვების დახმარებით ჩვენს ორგანიზმში ყველა პროცესი წესრიგდება

ის, სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად, გვეხმარება ბევრი დაავადების დაძლევასა თუ განკურნებაში. ამ სტატიაში გაგაცნობთ დიაბეტით დაავადებულთა კვების თავისებურებებს, კონკრეტულად კი – რომელი საკვები ეხმარება მათ სისხლში შაქრის დონის გაკონტროლებაში.

პირველ რიგში, გასათავალისწინებელია, რომ დიაბეტის დროს იკრძალება სწრაფი ნახშირწყლების შემცველი საკვები: თეთრი ფქვილის პროდუქტი, ტკბილეული, ნამცხვრები, კანფეტები. უპირატესობა ენიჭება ნელ ნახშირწყლებს, რომელთა მიღების შემდეგ გლუკოზა სისხლში ერთბაშად არ ხვდება.

პარკოსნები – უჯრედისის და მცენარეული ცილის შესანიშნავი წყაროა, იწვევს დანაყრების შეგრძნებას და არეგულირებს სისხლში შაქრის დონეს. ჩაამატეთ მოხარშული ლობიო სალათებში, სუპებში, ბოსტნეულის კერძებში.

რძის პროდუქტები – კალციუმისა და ვიტამინ D-ს წყაროა. უმჯობესია ნაკლებცხიმიანი (თუმცა არა მთლიანად უცხიმო) მიირთვათ და რაც მთავარია ახალი, საღი რძისგან მომზადებული.

ზღვის თევზი – ჯანსაღ ცხიმებს შეიცავს, რომელიც ორგანიზმისთვის აუცილებელია. მოამზადეთ ღუმელში, ორთქლზე ან გრილზე.

ქერი – მდიდარია უჯრედისის განსაკუთრებული სახეობით – ბეტა-გლიუკანით და გვეხმარება შაქრის დონის კონტროლში.

ქერის მსგავსად, სასარგებლოა შვრიაც. უჯრედისი სისხლში შაქრის შეწოვის პროცესს ანელებს და ამგვარად მისი დონის კონტროლში გვეხმარება.

კენკრა – ეს ბუნებისგან ნაჩუქარი ტკბილეული და კანფეტია თუმცა მათგან განსხვავებით დიდი რაოდენობით უჯრედის და ანტიოქსიდანტებს შეიცავს.

ფინიკი – მშვენიერი დესერტია დიაბეტიკებისთვის, რომელშიც უფრო მეტი ანტიოქსიდანტი შედის, ვიდრე ფორთოხალში, ბულგარულ წიწაკაში და ყურძენში.

მწვანილი, სალათის, ჭარხლის, ისპანახის, ბროკოლის ფოთლები – შეიცავს ფოლის მჟავას, ამცირებს ჰომოცისტინის დონეს და იცავს გულს. მიირთვით ცოცხლად, როგორც სალათა, ლიმონის წვენით და ზეითუნის ზეთით.

ოსპი – უჯრედისის, ფოლის მჟავის და ცილის შესანიშნავი წყაროა.

სელის თესლი – შესანიშნავად არეგულირებს შაქრის დონეს. დაამატეთ ფაფებში, სალათებში, პურის ცომში.

ნიგოზი – ომეგა-3-ის კარგი წყაროა. დაამატეთ სალათებში ან მიირთით საკვების შუალედებში.

შავი შოკოლადი – ფლავონოიდების წყაროა. მისი მიღება მცირე რაოდენობით დასაშვებია, მაგრამ არ გადაამეტოთ.

ნებისმიერ შემთხვევაში, დიაბეტით დაავადებულმა პაციენტებმა რაციონი ექიმთან უნდა შეათანხმონ, რადგან ყველა ორგანიზმი ინდივიდუალურია და შესაძლოა დაავადება სხვადასხვაგვარად ვითარდებოდეს.

ლევან გოთუა სრულიად განსაკუთრებული ხელწერის შემოქმედი გახლდათ. ჩემთვის დიდი პატივი იყო მწერლის ოჯახის შემოთავაზება, შემექმნა მემორიალური კომპოზიცია მწერლის საფლავისათვის, კომპოზიციაში უნდა ასახულიყო მისი ქარტეხილიანი ცხოვრება, სულიერი განწყობა ჩამოყალიბდა „გმირთა ვარამის“ ფონზე. მთავარანგელოზი გაბრიელი ქვეყნად დიდი მწერლის, კლასიკოსის, პატრიოტის მოვლინებას გვამცნობს.

ჯემალ თუშურაშვილი
არმაზი

ედუარდ გიგილაშვილის ფოტო

ვანიკი ‘გოლიათი’